Theo Van Leeuwen, "Introducing social semiotics" Routledge, London and New York 2005 p.200

Theo Van Leeuwen, "Towards a semiotics of typography" Informative designe journal; John Benjamins publishing company 2006; p. 139 <https://www.yumpu.com/en/document/read/10713195/theo-van-leeuwen-towards-a-semiotics-of-typography-in-interaction->

Tatarashvili N. "German settlements and architectural heritage in Georgia". 240 pages. "Sezani" LLC, Ebilisi 2018 (in Georgian, German and English);
<https://www.tbilisiarchitecture.net/en/tbilisis-german-settlements/>

ქართულ კანონმდებლობაში გადაადგილების შეზღუდვის აღკვეთის ღონისძიების სახედ ღანერბვის პერსპექტივა

შესავალი

საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (შემდგომში სსსკ) ითვალისწინებს აღკვეთის ღონისძიების 5 სახეს: გირაოს, შეთანხმებას გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირად თავდებობას, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობას და პატიმრობას. როგორც პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, აღნიშნული 5 აღკვეთის ღონისძიებიდან ყველაზე ხშირად გამოიყენება გირაო და პატიმრობა (აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების სტატისტიკა წლების მიხედვით). ბოლო ათწლეულის განმავლობაში პატიმრობის გამოყენების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 26.8 % 2013 წელს დაფიქსირდა, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 2020 წელს, კერძოდ 47.5%. რაც შეეხება გირაოს, მისი გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2013 წელს – 66.3%, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 2020 წელს დაფიქსირდა და 50.8%-ს შეადგენდა (აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების სტატისტიკა წლების მიხედვით).

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენების სრული სურათის აღსაქმელად, პატიმრობისა და გირაოს დამოუკიდებლად გამოყენების მაჩვენებელთან ერთად, აუცილებელია საპატიმრო გირაოს გამოყენების მონაცემების გათვალისწინებაც. 2020 წელს გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით გამოყენებული იქნა 2025 (21.5%) პირის მიმართ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების სტატისტიკის სექტორის უფროსის 2022 წლის 12 ივლისის №916-22 წერილი.), 2021 წელს – 2763 პირის (24.2%) მიმართ, ხოლო 2022 წელს – 3158 პირის (25.1%) მიმართ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების სტატისტიკის სექტორის უფროსის 2023 წლის 21 ივნისის №550-23 წერილი). ამდენად, ნათელია, რომ უკანასკნელ წლებში პატიმრობის (საშუალოდ 40%) და საპატიმრო გირაოს (საშუალოდ 20-25%) საერთო რაოდენობა დაახლოებით 60-65 % აღწევს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

აღკვეთის ღონისძიებების გამოყენებაზე გავლენას ისიც ახდენს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი აღკვეთის ღონისძიების სახეებთან ერთად ითვალისწინებს სხვა ზომებსაც (სსსკ-ის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილი), რომლებიც მხოლოდ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად შეიძლება იქნეს გამოყენებული. ცალკეულ შემთხვევებში სავსებით შესაძლებელია, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნები დამატებითი ღონისძიებითაც მიიღწეოდეს (მაგალითად ელექტრონული მონიტორინგით), თუმცა კანონმდებლობის ფორმალისტური მიდგომა ზღუდავს მოსამართლეებს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში განსაზღვრონ აღკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად გამოსადე-

გი და იმავდროულად, ნაკლებად შემზღუდველი ღონისძიებები და დამატებითი ღონისძიების გამოყენების უფლებას მათ მხოლოდ აღკვეთის ღონისძიების რომელიმე სახის შერჩევის შემდეგ ანიჭებს.

სისხლის სამართლის პოლიტიკისა და აღკვეთის ღონისძიების მარეგულირებელი კანონმდებლობის უცვლელად დატოვების პირობებში, მომავალში ნაკლებად სავარაუდოა საპატიმრო და არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიების სახეებს შორის არსებული თანაფარდობის მნიშვნელოვნად შეცვლა. ამდენად, პატიმრობის გამოყენების მაჩვენებლის შემცირებისა და ბრალდებულის უფლებების ნაკლებად შეზღუდვის პირობებში აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევის ერთ-ერთ გზად აღკვეთის ღონისძიების ახალი სახის – გადაადგილების შეზღუდვის შემოღება შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში აღკვეთის ღონისძიების ახალი სახის – გადაადგილების შეზღუდვის დანერგვის პერსპექტივაზე მსჯელობის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ 100 000 მოსახლეზე პატიმართა რაოდენობის მიხედვით საქართველოს ევროპის საბჭოს წევრ 46 ქვეყანას შორის ბოლოდან მეორე ადგილზეა და მხოლოდ თურქეთს უსწრებს (ევროპის საბჭოს 2024 წლის 6 ივნისს გამოქვეყნებული პენიტენციური სტატისტიკის ყოველწლიური ანგარიში). 2023 წელს პატიმართა რიცხოვნობა 9868 პირს შეადგენდა (<https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika>). სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2023 წლის დაზუსტებული ბიუჯეტით 1 პატიმრისთვის განსაზღვრული საშუალო წლიური ხარჯი შეადგენდა 21 604 ლარს (აღნიშნული თანხა მოიცავდა ყველა ტიპის ხარჯს, გარდა კაპიტალური ხარჯისა). ამდენად, გადაადგილების შეზღუდვის კანონმდებლობაში გათვალისწინების საკითხს შესაძლოა დადებითი ეფექტი ჰქონდეს არა მხოლოდ ბრალდებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიმართულებით, არამედ პენიტენციური სისტემის განტვირთვისა და აღნიშნულიდან გამომდინარე, პატიმრობაში მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მათთვის დანიშნული სასჯელის აღსრულების პროცესში ინდივიდუალური მიდგომის პრინციპის მეტად გათვალისწინების კუთხითაც.

1. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი და საფუძველი

აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას აქვს ორმაგი დატვირთვა: ერთი მხრივ, ის უზრუნველყოფს ბრალდებულის მიმალვის, სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის განადგურების და ახალი დანაშაულის ჩადენის პრევენციას, ხოლო მეორე მხრივ, უზრუნველყოფს, რომ განაჩენი არა მხოლოდ იქნეს გამოტანილი, არამედ რეალურადაც აღსრულდეს.²

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის თანახმად, „დანაშაულთან ეფექტური ბრძოლა და მართლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეწყობა სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა.

2 იხ. 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ, 198-ე მუხლის პირველი ნაწილი (20/06/2024). აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანზე ასევე იხილეთ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმო ჩანაწერი №646, II-40.

სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების შეუფერხებელი განხორციელება, ... და დანაშაულებრივი საქმიანობის აღკვეთა უმნიშვნელოვანესი საჯარო ინტერესებია“. (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-26) „უდავოა, რომ ბრალდებულის სასამართლოში გამოცხადების გარანტირება, მისი მხრიდან შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთა, ისევე, როგორც საქმისათვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების დაცვა და განაჩენის აღსრულება ჯეროვანი მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებელი წინაპირობებია“.³

აღკვეთის ღონისძიების გამოყენება დაიშვება, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი პირის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის შესახებ და დადგენილია დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის გარემოებები, რაც ხელს უწყობს ობიექტურად შეფასდეს ბრალდებულის საშიშროება, მისი მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის მიზნით მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელების დასაბუთებულად პროგნოზირება.

სსსკ-ის მე-3 მუხლის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისთვის გათვალისწინებული მტკიცებულებითი სტანდარტი არის დასაბუთებული ვარაუდი. კოდექსის თანახმად, დასაბუთებული ვარაუდი არის ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობა, რომელიც მოცემული სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა ერთობლიობით დააკმაყოფილებდა ობიექტურ პირს, რათა დაესკვნა პირის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, 2015).

ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებას სჭირდება როგორც ფაქტობრივი, ისე პროცესუალური საფუძვლის არსებობა. ბრალდების მხარემ კუმულაციურად უნდა დაასაბუთოს, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებულია ბრალდებულის მიერ დანაშაულის და არა სხვა სახის სამართალდარღვევის ჩადენა (ფაქტობრივი საფუძველი).⁴ ფაქტობრივი საფუძვლის დამტკიცების შემდეგ მოსამართლემ უნდა იმსჯელოს პროცესუალური საფუძვლის დაკმაყოფილებაზე. ფორმალური/საპროცესო საფუძველი გულისხმობს, რომ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დადასტურებულია, რომ აღკვეთის ღონისძიების გამოყენებლობის შემთხვევაში რეალურად არსებობს ბრალდებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ხელის შეშლის საფრთხე მიმალვის, მოწმეებზე ზემოქმედების, მტკიცებულებათა განადგურების, ახალი დანაშაულის ჩადენის სახით (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015).

3 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის №№3/5/1341,1660 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-24.

4 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღკვეთის ღონისძიების საკითხს განიხილავს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის (c) ქვეპუნქტის ფარგლებში. სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკით, თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან დაკავშირებით. იხ. საქმე Mera-bishvili v. Georgia [GC], no. 72508/13, § 182, 2017 წლის 28 ნოემბერი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების საპროცესო და ფაქტობრივი საფუძვლების შემოწმების შემდგომ, მოსამართლემ უნდა იმსჯელოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების შეფარდების მიზანშეწონილობაზე და გადაწყვიტოს თუ რომელი აღკვეთის ღონისძიება უზრუნველყოფს უფრო უკეთ ბრალდებულის სათანადო ქცევას გამოძიებისა და საქმის სასამართლოში განხილვის დროს. აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევა – რომ ბრალდებულმა თავი არ აარიდოს სასამართლოში გამოცხადებას, აღიკვეთოს მისი შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობა, უზრუნველყოფილ იქნეს განაჩენის აღსრულება, შესაძლებელია სხვადასხვა სახის აღკვეთის ღონისძიებებით, რომელთაგან მოსამართლემ უნდა შეარჩიოს ყველაზე უფრო რელევანტური ღონისძიება.⁵

სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-9 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიების გამოყენების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ყოველთვის ეკისრება ბრალდების მხარეს. ბრალდების მხარემ უნდა დაასაბუთოს სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, რაც არ გულისხმობს შუამდგომლობის დასაბუთებისათვის გამორიცხვის მეთოდის გამოყენებას. მაგალითად, გირაოს გამოყენების მიზანშეწონილობის დასაბუთება არ უნდა მოხდეს პატიმრობის გამოყენების საფუძვლების არარსებობის მტკიცებით.⁶ ბრალდების მხარემ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე უნდა ამტკიცოს კონკრეტული აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისათვის საკმარისი საპროცესო საფუძვლების არსებობა.

გარემოებები, რომლებიც სასამართლომ უნდა შეაფასოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის განხილვისას სანიმუშოა. სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, აღკვეთის ღონისძიებისა და მისი კონკრეტული სახის გამოყენების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო ითვალისწინებს ბრალდებულის პიროვნებას, მის საქმიანობას, ასაკს, ჯანმრთელობას, ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობას, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას, ადრე შეფარდებული რომელიმე აღკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტს და სხვა გარემოებებს.

2. თავისუფლების უფლებისა და მიმოსვლის თავისუფლების დაცული სფეროების ურთიერთმიმართება საპატიმრო აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას.

აღკვეთის ღონისძიების – გადაადგილების შეზღუდვის კანონმდებლობაში გათვალისწინებამდე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელი კონსტიტუციური უფლების დაცული სფეროს შეზღუდვა გვექნება სახეზე მისი გამოყ-

5 თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 1 ივლისის №1/გ-621 განჩინება. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანსა და საფუძველზე ასევე იხილეთ: თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 31 აგვისტოს №1/ზ-603-17 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 4 აპრილის 1გ/1199-17 განჩინება; თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 5 აპრილის 1გ/1206-17 განჩინება.

6 იხ. 2009 წლის 9 ოქტომბრის სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-3 ნაწილი (20/06/2024).

ენებისას. ამ საკითხის საწყის ეტაპზევე გადანყვეტა აუცილებელია, რადგან საქართველოს კონსტიტუცია განსხვავებულ საფუძვლებს ადგენს სხვადასხვა უფლების დაცულ სფეროში ჩარევის გასამართლებლად და ასევე განსხვავებულია უფლებებში ჩარევის კონტროლის კუთხით სასამართლოს როლიც საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადამიანის თავისუფლება დაცულია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ თავისუფლების აღკვეთის ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შეფარდება დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადანყვეტილებით (ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, 2013), ხოლო მე-3 პუნქტი ითვალისწინებს დასახელებული წესიდან გამონაკლისს, კერძოდ, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში პირის დაკავებას. დაკავებული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით, არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცული უფლება გულისხმობს „ფიზიკურ თავისუფლებას, პირის უფლებას, თავისუფლად გადაადგილდებოდეს ფიზიკურად, თავისი ნების შესაბამისად, იმყოფებოდეს ან არ იმყოფებოდეს რომელიმე ადგილზე“.⁷

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „ფიზიკური თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება უმნიშვნელოვანესია ზოგადად ადამიანის თავისუფლებისთვის, ფართო გაგებით – ადამიანის თავისუფალი განვითარებისთვის, უფლებებით ეფექტურად და სრულყოფილად სარგებლობისთვის. პირადი ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვა კანონზომიერად, თავისთავად, ჯაჭვურად იწვევს ფუნდამენტური უფლებების უმრავლესობით შეზღუდულ სარგებლობას ან/და ზოგიერთი მათგანით სარგებლობის შეუძლებლობას“.⁸

ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას თავისთავად მოჰყვება გამოსატყვისა და მიმოსვლის თავისუფლებების, პირადი და ოჯახური ცხოვრების ხელშეუხებლობის, პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და სხვა ძირითადი უფლებების შეზღუდვაც.⁹

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, პირი, ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვით, ექცევა ბუნებრივი ყოფისაგან განსხვავებულ, ადამიანის ბუნებისათვის სრულიად არათავსებელ

7 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-2.

8 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28.

9 იხ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის №3/5/1341,1660 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-6.

ბად მდგომარეობაში, რომელშიც მისი თავისუფლება და ძირითადი უფლებებით სარგებლობა დამოკიდებული ხდება ცალკეულ გარემოებებსა თუ პიროვნებებზე. თავისუფლების შეზღუდვის პირობებში, პირი მოკლებულია საქმიანობის განხორციელების, აზრის სხვადასხვა ფორმით გამოხატვის, თავისუფლად გადაადგილების, პირადი ცხოვრების და სხვა უფლებებით სათანადოდ დაცვის და სარგებლობის შესაძლებლობას.¹⁰

თავისუფლების შეზღუდვის ხასიათის გათვალისწინებით, პირი იზოლირდება საზოგადოებისგან, სრულად იცვლება მისი ყოველდღიური ცხოვრება და ფაქტობრივად არ რჩება არანაირი სივრცე, უფლება, რომელთა განხორციელება, სრულყოფილად სარგებლობაც სათუო არ ხდება. სწორედ ამიტომ, თავისუფლებას არ აქვს თანაბარი ეკვივალენტი, არ არსებობს საზომი, რომლითაც შეიძლება აიწონოს თავისუფლება და არ არსებობს სხვა ფასეულობა, რომელიც სრულად ჩაანაცვლებდა მას.¹¹

ადამიანის თავისუფლება იმდენად წონადი ძირითადი უფლებაა, რომ მასში ჩარევა სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან უნდა განიხილებოდეს როგორც ultima ratio.¹²

ადამიანის თავისუფლების უფლების დიდ წონაზე მეტყველებს მისი კონსტიტუციურსამართლებრივი დაცვის კომპლექსური ხასიათიც, რაც გამოიხატება მისი არა მხოლოდ მატერიალური, არამედ პროცესუალური ნორმებით გარანტირებაში (ლოლაძე, ფირცხალაშვილი, 2023)

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს, რომ ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება საქართველოში, აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლის, საცხოვრებელი ადგილის არჩევისა და საქართველოდან გასვლის უფლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ამ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის დაცვის ან მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი იცავს პირის შესაძლებლობას, საკუთარი სურვილისამებრ, ნებისმიერ დროს გადაადგილდეს, მათ შორის, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.¹³

მიმოსვლის თავისუფლება ადამიანის ბუნებითი უფლებაა. საქართველოში „მიმოსვლისა და ბინადრობის თავისუფლება“, როგორც კონსტიტუციური ღი-

10 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-16.

11 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-28.

12 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-15.

13 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №№1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე,

რებულია, ჯერ კიდევ 1921 წლის 21 თებერვლის კონსტიტუციით იქნა აღიარებული (ლოლაძე, ფირცხალაშვილი, 279) საბჭოთა კავშირის კანონმდებლობაში კი ძალიან მკაცრი და შეზღუდული იყო მოქალაქეთა მიმოსვლის განმსაზღვრელი კანონმდებლობა. ამ პერიოდში მიმოსვლის თავისუფლება არ იყო აღიარებული არც სსრ კავშირისა და არც მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებით. ასეთი სამართლებრივი მდგომარეობა სწორედ იმდროინდელი რეალობის ამსახველი იყო (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013).

გლობალიზაციასთან ერთად, იმატებს გადაადგილების და საცხოვრებლის არჩევის უფლების მნიშვნელობა. თანამედროვე ადამიანი წარმოუდგენელია ამ თავისუფლების გარეშე. სწორედ ამიტომ მიმოსვლისა და საცხოვრებლის თავისუფლად არჩევის უფლება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე სამყაროში (საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 2013)

2020 წელს კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის დროს დაწესებული შეზღუდვების (მათ შორის, კომენდანტის საათის და კონტაქტირებული პირის იზოლაციაში ყოფნის ვალდებულების) კონსტიტუციურობის შეფასებისას, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო დადგა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ ემსჯელა თუ რომელი კონსტიტუციური უფლების დაცვის სფეროში ექცეოდა გადაადგილების იმ სახის შეზღუდვები, რაც პანდემიის პრევენციის მიზნით იყო დაწესებული საქართველოს მთავრობის მიერ (საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“).

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირის გადაადგილების შეზღუდვა ექცევა ორი კონსტიტუციური უფლების მოქმედების სფეროში.¹⁴ იმავდროულად, საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებების თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის სულისკვეთება მოითხოვს, რომ თითოეული უფლების დაცული სფერო შესაბამის კონსტიტუციურ დებულებებში იქნეს ამოკითხული და კონკრეტული შეზღუდვის შეფასება განხორციელდეს სათანადო კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით, რათა არ მოხდეს ძირითად უფლებებს შორის კონსტიტუციით გავლებული ზღვრის ხელოვნური წაშლა და კონსტიტუციური წესრიგის დაზიანება.¹⁵

გადაადგილების შეზღუდვის კონვენციის მე-5 მუხლთან მიმართების საკითხზე არაერთ გადაწყვეტილებაში აქვს ნამსჯელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსაც. სასამართლოს არაერთი საქმე აქვს განხილული შინაპატიმრობის და ზოგადად თავისუფლების უფლების შეზღუდვის კონვენციის ცალკეულ მუხლებთან მიმართების საკითხზე.¹⁶ სასამართლოს განმარტებით, იმის დასა-

14 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-13.

15 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დაჩი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-12.

16 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით (იხ.

დგენად, პირს „აღეკვება თავისუფლება“ თუ არა კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად, ამოსავალი წერტილი უნდა იყოს კონკრეტული სიტუაცია და ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ კრიტერიუმებზე, როგორიცაა სადავო ზომის სახე, ხანგრძლივობა, განხორციელების შედეგები და ფორმები (*Guzzardi v. Italy*, no. 7367/76, §§ 92-93, 6 November 1980, Series A no. 39).

გასათვალისწინებელია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო შინაპატიმრობას კონვენციის მე-5 მუხლის ფარგლებში განიხილავს იმისდა მიუხედავად, ეთანხმება თუ არა თავად ბრალდებულის ამ ღონისძიების შეფარდებას. საქმეში „სტორკი გერმანიის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ თავისუფლების უფლება კონვენციაში მითითებული გაგებით მეტისმეტად მნიშვნელოვანია „დემოკრატიულ საზოგადოებაში“ იმისთვის, რომ პირმა ვერ ისარგებლოს კონვენციით დადგენილი გარანტიებით მხოლოდ იმ საფუძველით, რომ თანხმობას აცხადებს პატიმრობაზე (*Storck v. Germany*, no. 61603/00, § 75, 16 June 2005.) დაკავებამ შეიძლება დაარღვიოს მე-5 მუხლი, მაშინაც კი, როდესაც შესაბამისი პირი შეიძლება დაეთანხმოს მას (*De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium*, judgment of 18 June 1971, Series A no. 12, p. 36, § 65.)

საქმეზე „ბუზადჯი მოლდოვას რესპუბლიკის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ განაცხადა, რომ „შინაპატიმრობა უმეტეს შემთხვევაში დაკავებულისათვის ნაკლებად შემზღუდველი ზომაა და ნაკლებ ტანჯვას ან უხერხულობას აყენებს მას, ვიდრე ჩვეულებრივი პატიმრობა ციხეში. ეს გამომწვეულია იმით, რომ პატიმრობაში ყოფნა მოითხოვს პირის ინტეგრაციას ახალ და ზოგჯერ მტრულ გარემოში ასევე სხვა პატიმრებთან ერთად აქტივობების განხორციელებას, ან რესურსების გაზიარებას, დისციპლინის დაცვას, ადმინისტრაციის მხრიდან ყოველდღიურად, ოცდაოთხი საათის განმავლობაში ზედამხედველობას და კონტროლს. მაგალითად, დაკავებულს არ შეუძლია თავისუფლად აირჩიოს, როდის წავიდეს დასაძინებლად, მიიღოს საკვები, დაიკმაყოფილოს პირადი ჰიგიენის საჭიროებები, გავიდეს სუფთა ჰაერზე ან განახორციელოს სხვა აქტივობები. შესაბამისად, საპატიმრო დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთასა და შინაპატიმრობას შორის არჩევანის გაკეთებისას, პირების უმეტესობა, უკანასკნელს აირჩევდა.“ (*Buzadji v. the Republic of Moldova* [GC], no. 23755/07, §112, ECHR 2016 (extracts)).

საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით განმტკიცებული თავისუფლების უფლებასა და მე-14 მუხლით გარანტირებულ მიმოსვლის თავისუფლებას შორის არსებულ განსხვავებებზე მსჯელობისას, საკონსტიტუციო სასამართლომ დაასკვნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს მრავალ ასპექტს, მათ შორის, რა მიზნით ხდება პირისთვის კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვა, როგორია მის ნებაზე ზემოქმედების ფარგლები, რამდენად ეზღუდება ამ სივრცეში მოქმედების თავისუფლება, როგორია უფლებაშეზღუდული პირის სამართლებრივი სტატუსი, რა შედეგის დადგომას ისახავს მიზნად ამგვარი შეზ-

Buzadji v. the Republic of Moldova [GC], no. 23755/07, ECHR 2016 (extracts); *Dacosta Silva v. Spain*, no. 69966/01, ECHR 2006-XIII) შინაპატიმრობა მისი ხარისხისა და სიძლიერის გათვალისწინებით, მიჩნეულია კონვენციის მე-5 მუხლში მითითებული თავისუფლების აღკვეთად.

ლუდვა და სხვა. შემზღუდველი ღონისძიების საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის რეგულირების ქვეშ მოქცევას, უმთავრესად, ადამიანის თავისუფლებაში ჩარევის, მის ნებაზე ზემოქმედების ხარისხი განაპირობებს. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, თუ რა ვადით ხდება კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვა, ვერ გამოდგება პირის ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვის წარმოსაჩენ თვითკმარ არგუმენტად. ის, თუ რა ვადით ეკრძალება პირს განსაზღვრული ადგილის დატოვება, მნიშვნელოვანი, თუმცა არა გადამწყვეტი ფაქტორია. გამორიცხული არ არის შესაძლებლობა, რომ შესაბამის გარემოებებში, განსაზღვრული ადგილის დატოვების მხოლოდ ერთსაათიანი აკრძალვაც კი ფიზიკური თავისუფლების შეზღუდვად იყოს მიჩნეული თავისუფლებაში ჩარევის მაღალი ინტენსიურობის გამო, ხოლო რამდენიმე დღიანი აკრძალვა – მხოლოდ მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვად, მაგალითად, ისეთ პირობებში, როდესაც ადგილის დატოვების აკრძალვას თან არ ახლავს რაიმე სახის სხვა სოციალური ქცევის შეზღუდვა.¹⁷

ალკვეთის ღონისძიების სახედ გადაადგილების შეზღუდვის შემოღებისას უპირველეს ყოვლისა უნდა განისაზღვროს მისი შინაარსი. სასურველია, რომ გადაადგილების შეზღუდვა არ გულისხმობდეს მხოლოდ 24 საათიან პატიმრობას საცხოვრებელი ადგილის პირობებში, არამედ იყოს უფრო მოქნილი და მოსამართლეს შეეძლოს თითოეული საქმის ინდივიდუალური გარემოებების მხედველობაში მიღებით პირისთვის იმდენი ხნით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვა, რამდენიც აუცილებელი იქნება ალკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად. ასევე გასათვალისწინებელია, რომ ტექნოლოგიური პროგრესის თანამედროვე დონის პირობებში, როდესაც შესაძლებელია ადამიანის ლოკაციის რეალურ დროში კონტროლი, მეტად პრაქტიკული იქნება მოსამართლის აღჭურვა იმ შესაძლებლობით, რომ პირს ხისტად კი არ აუკრძალოს გარკვეული შენობის (საცხოვრებელი ადგილის) დატოვება, არამედ არსებობდეს გარკვეული არეალების (მაგალითად ქალაქის, მუნიციპალური ერთეულის ა.შ.) განსაზღვრის შესაძლებლობა და ამ გზით მოხდეს შესაბამისი რისკების დაზღვევა. ცალკეულ შემთხვევებში ალკვეთის ღონისძიების მიზნების მისაღწევად ასევე გამოსადეგი საშუალება შეიძლება აღმოჩნდეს არა კონკრეტულ ადგილას პირის ყოფნის ვალდებულების დაწესება, არამედ პირიქით, კონკრეტულ ადგილებთან მისი მიახლოების აკრძალვა (მაგალითად იმ დასახლებასთან, სადაც ცხოვრობს და მუშაობს ოჯახური დანაშაულის მსხვერპლი და ა.შ.). ამდენად, ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ გადაადგილების შეზღუდვა უნდა მოიცავდეს საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის, გარკვეული ადგილის, მათ შორის, კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორიის, დატოვების ან მასში შესვლის აკრძალვას ან/და დაზარალებულის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება მიახლოების აკრძალვას. ამ ფორმით ჩამოყალიბებული ახალი ალკვეთის ღონისძიება მოსამართლეს მისცემს მეტ შესაძლებლობას,

17 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტაძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-16.

შეზღუდვის ინტენსივობის დონე მაქსიმალურად მიუახლოვოს რისკის ხარისხის და თავიდან იქნეს აცილებული ხისტი და მოუქნელი რეგულაციის გამო ადამიანის უფლებების აუცილებელზე მეტად შეზღუდვის შემთხვევები.

3. ალკვეთის ღონისძიების სახელ გადაადგილების შეზღუდვის გათვალისწინების მოსალოდნელი გავლენა სსსკ-ის სხვა ნორმაზე

გადაადგილების შეზღუდვის შინაარსის განსაზღვრის შემდეგ დღის წესრიგში ბუნებრივად დგება ალკვეთის ღონისძიების სახეებს შორის მისი ადგილის განსაზღვრის საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ ალკვეთის ღონისძიების სახის შერჩევისას უფრო მკაცრ ალკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე მსჯელობის შესაძლებლობა მხოლოდ ნაკლებად მკაცრის გამოყენების შეუძლებლობაზე დასკვნის გამოტანის შემდეგ ხდება შესაძლებელი, აუცილებელია, რომ საკანონმდებლო დონეზევე იყოს განსაზღვრული გადაადგილების შეზღუდვის მიმართება ალკვეთის ღონისძიების სხვა სახეებთან. შეზღუდვის ინტენსივობის გათვალისწინებით, ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ გადაადგილების შეზღუდვა მიჩნეულ იქნეს ყველაზე მკაცრ ალკვეთის ღონისძიებად პატიმრობის შემდეგ. ამდენად, ლოგიკური იქნება, თუ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილი (ცვლილების შედეგად ჩამოყალიბდება შემდეგი სახით: „ალკვეთის ღონისძიების სახეებია: შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა, გირაო, გადაადგილების შეზღუდვა და პატიმრობა“.

იმის გათვალისწინებით, რომ გადაადგილების შეზღუდვის ზუსტი შინაარსის და შეზღუდვის დროის განსაზღვრის კუთხით მიზანშეწონილია მოსამართლისთვის ფართო დისკრეციის დატოვება, ლოგიკურია, რომ ამ ალკვეთის ღონისძიების მოთხოვნისას პროკურორმა კონკრეტულად უნდა მიუთითოს შუამდგომლობაში თუ რა შინაარსით და რა დროით ითხოვს ბრალდებულის მიმართ შეზღუდვის დაწესებას. მოსამართლეს სსსკ-ის 206-ე მუხლის მე-5 ნაწილში მითითებული პრინციპის თანახმად, უნდა ჰქონდეს პროკურორის მოთხოვნის შემსუბუქებისკენ შეცვლის უფლება, თუმცა არ უნდა შეეძლოს გადაადგილების შეზღუდვის უფრო მკაცრი შინაარსით ან უფრო ხანგრძლივი დროით გამოყენება.

გადაადგილების შეზღუდვის კონკრეტული შინაარსის და დროის განსაზღვრისთვის კანონმდებელმა ისევე უნდა იხელმძღვანელოს სსსკ-ის 198-ე მუხლის მე-5 ნაწილში მითითებული გარემოებებით (ბრალდებულის პიროვნება, ასაკი, ჯანმრთელობა, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობა, მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურება, ადრე შეფარდებული რომელიმე ალკვეთის ღონისძიების დარღვევის ფაქტი და სხვა გარემოებები), როგორც ნებისმიერი სხვა ალკვეთის ღონისძიების შერჩევისას. იმავდროულად, გადაადგილების შეზღუდვის შემთხვევაში დამატებით მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ისეთი რელევანტური გარემოებები, როგორიცაა: ბრალდებულის საქმიანობა, სასწავლო პროცესში ჩართულობა, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე სამედიცინო საჭიროებები, რწმენისა და აღმსარებლობის უფლების განხორციელების თავისებურებები, ასევე, გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადების

აუცილებლობა. ჩამოთვლილი გარემოებები ვერ იქნება ამომწურავი და ვერ გახდება ალკვეთის ღონისძიების გამოყენებაზე ავტომატურად უარის თქმის საფუძველი, თუმცა მიზნის მიღწევის თანაბარი საშუალებების არსებობისას, მოსამართლემ ყოველთვის უნდა გამოიყენოს უფლების ნაკლებად მზლუდავი საშუალება. კონკრეტულად გადაადგილების შეზღუდვასთან მიმართებით აღნიშნული პრინციპი რეალიზებას ჰპოვებს იმაში, რომ დაცვის ღირსი ისეთი ინტერესები, როგორიცაა ჯანმრთელობა, სწავლა, საქმიანობის გაგრძელება, ოჯახის ნევრებთან ერთად ცხოვრების გაგრძელება და სხვა რელევანტური საკითხები მაქსიმალურად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ალკვეთის ღონისძიების ამ სახის შერჩევისას და მისი კონკრეტული შინაარსის განსაზღვრისას.

გასათვალისწინებელია, რომ ალკვეთის ღონისძიება – გადაადგილების შეზღუდვა პირდაპირ იქნება დაკავშირებული პირის ფიზიკური თავისუფლების ან მიმოსვლის თავისუფლების ამა თუ იმ ფორმით და ინტენსივობით შეზღუდვასთან. აქედან გამომდინარე აუცილებლად დადგება საკითხი მის თავსებადობაზე სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდთან. ლოგიკურად მიგვაჩნია, რომ გადაადგილების შეზღუდვა არ უნდა გამოიყენებოდეს იმ ბრალდებულის მიმართ, რომელიც არის წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურის, პროფესიული სამხედრო სამსახურის ან სარეზერვო სამხედრო სამსახურის მოსამსახურე.

გადაადგილების შეზღუდვის შინაარსისა და დროის მიხედვით, დღის წესრიგში ასევე შეიძლება დადგეს საქართველოს კონსტიტუციისა და სსსკ-ის ცალკეულ ნორმებთან მისი ურთიერთმიმართების საკითხი. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საქართველოს პატიმრობისთვის 9 თვიან მაქსიმალურ ვადას, ხოლო სსსკ განსაზღვრავს წინასასამართლო სხდომამდე პირის პატიმრობაში ყოფნის მაქსიმალურ ვადას, ასევე მისი გაგრძელების და პერიოდულად გადასინჯვის წესებს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ აღინიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით დაცული უფლების შეზღუდვის დადგენისას ყურადღება უნდა მიექცეს მრავალ ასპექტს, მათ შორის, რა მიზნით ხდება პირისთვის კონკრეტული ადგილის დატოვების აკრძალვა, როგორია მის ნებაზე ზემოქმედების ფარგლები, რამდენად ეზღუდება ამ სივრცეში მოქმედების თავისუფლება, როგორია უფლებაზეზღუდული პირის სამართლებრივი სტატუსი, რა შედეგის დადგომას ისახავს მიზნად ამგვარი შეზღუდვა და სხვა.¹⁸ ამდენად, განსაზღვრული იქნება შეზღუდვის რომელი სახე (საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის, გარკვეული ადგილის, მათ შორის, კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორიის, დატოვების ან მასში შესვლის აკრძალვა ან/და დაზარალებულის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება მიახლოების აკრძალვა) რა ხანგრძლივობით გამოიყენების შემთხვევაში (24 საათიანი აკრძალვა თუ დღე-ღამის განმავლობაში გარკვეული დროით აკრძალვა) იქნება თავისი ინტენსივობით გათანაბრებული

18 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯავია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“, II-16.

პატიმრობასთან. უდავოა, რომ საცხოვრებელი ადგილიდან 24 საათის განმავლობაში გასვლის აკრძალვა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით უნდა ჩაითვალოს თავისუფლების უფლების (და არა მიმოსვლის თავისუფლების) შეზღუდვად და მასზე უნდა გავრცელდეს საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი 9 თვიანი ვადის დაცვის მოთხოვნა. ასევე, გადაადგილების შეზღუდვის ასეთ ფორმაზე უნდა გავრცელდეს სსკ-ით გათვალისწინებული ავტომატური გადასინჯვის მექანიზმი.

უნდა გავრცელდეს თუ არა ანალოგიური სტანდარტი პირზე, რომელსაც 24 საათიანი აკრძალვა აქვს გარკვეული ქალაქიდან, მუნიციპალიტეტიდან ან რეგიონიდან გასვლაზე ან კიდევ იგივე ინტენსივობის შეზღუდვა გარკვეულ ადგილებთან მიახლოებაზე? საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოთ მითითებული გადანყვეტილების ანალიზიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ასეთი შემთხვევები არ მოექცევა საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლის ფარგლებში და ისინი მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვად უნდა იქნეს მიჩნეული. შესაბამისად, მათზე არ უნდა გავრცელდეს 9 თვიანი პატიმრობის ვადის სტანდარტი და სხვა რეგულაციები, რაც პატიმრობისთვის არის დადგენილი.

რაც შეეხება საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვას დღე-ღამის განმავლობაში 24 საათზე ნაკლები დროით, აქ საკითხი უნდა გადანყდეს იმის მიხედვით, თუ რამდენად არსებითია შინ ყოფნის ვალდებულება და მისი ინტენსივობა. მიგვაჩნია, რომ თითოეული საქმის გარემოებების გათვალისწინებით, მოსამართლემ ცალკეულ შემთხვევებში პირს შეიძლება აუკრძალოს საცხოვრებლის დატოვება ღამის საათებში, ან დაუნესოს ზოგადი აკრძალვა საცხოვრებელი ადგილიდან გასვლაზე, გარდა დღის კონკრეტულ მონაკვეთში გასვლისა (მაგალითად დილით ბავშვის სკოლაში მისაყვანად 1 ან 2 საათით გასვლის უფლება და შუა დღისით მისი შინ მოსაყვანად ასევე 1 ან 2 საათით გასვლა). პრაქტიკაში, შესაძლო შემთხვევათა სიმრავლის პირობებში, არასწორი და ძალზედ რთულად აღსასრულებელი შეიძლება აღმოჩნდეს მოსამართლის გადანყვეტილების ამარაღ იმის დატოვება, თუ როდის უნდა გავრცელდეს გადაადგილების შეზღუდვაზე პატიმრობის სტანდარტი და როდის არა. ყველაზე ლოგიკურად შეიძლება ჩაითვალოს დროის გარკვეული მონაკვეთის საკანონმდებლო დონეზე გათანაბრება პატიმრობასთან და შემდეგ ყველა საკითხის პატიმრობისთვის დადგენილი სტანდარტით გადანყვეტა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუციაში არ არის ნახსენები გადაადგილების შეზღუდვა ან შინაპატიმრობა როგორც აღკვეთის ღონისძიების სახე, აღნიშნული არ შეიძლება გაგებულ იქნეს იმგვარად, რომ კანონმდებელი არ არის შებოჭილი ამ ღონისძიების გამოყენების ვადებით. ლოგიკურია, რომ გადაადგილების შეზღუდვის ის ფორმა და ხანგრძლივობა, რომელიც მაქსიმალურად არის მიახლოებული პატიმრობასთან, უნდა დაექვემდებაროს იმავე სტანდარტს, რაც დადგენილია პატიმრობისთვის. მიგვაჩნია, რომ გადაადგილების შეზღუდვის ის ფორმა, რაც დაკავშირებულია საცხოვრებელ ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან, საკანონმდებლო დონეზე უნდა გაუთანაბრდეს პატიმრობას, თუ

აქრძალვა არის 24 საათიანი ან დღე-ღამის განმავლობაში არანაკლებ 18 საათიანი ხანგრძლივობის.

გადაადგილების შეზღუდვის შინაარსის და ვადის მიხედვით მისი ორი სახის გამოყოფისას გასათვალისწინებელი იქნება ალკვეთის ღონისძიების ამ სახისთვის დადგენილი საერთოხანგრძლივობის საკითხიც. პატიმრობასთან გათანაბრებული შემთხვევებისთვის 9 თვიანი ვადის დადგენისგან განსხვავებით, გადაადგილების შეზღუდვის სხვა შინაარსით და ვადით გამოყენებისას იმოქმედებს სსსკ-ის 185-ე მუხლით დადგენილი ვადა. აღნიშნული ნორმის თანახმად, პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი გამოაქვს წინასასამართლო სხდომის მოსამართლის მიერ საქმის არსებითი განხილვისათვის გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 24 თვისა. შესაბამისად, ალკვეთის ღონისძიება შეიძლება გამოყენებული იქნეს იმავე ვადით, რაც დასჭირდება საქმის განხილვას და განაჩენის გამოტანას. ერთადერთი საკითხი, რაც დამატებით შეიძლება საჭიროებდეს ვადით შეზღუდვას, არის გადაადგილების შეზღუდვის ის შემთხვევა, რომელიც დაკავშირებულია საცხოვრებელი სახლიდან დღე-ღამის განმავლობაში 18 საათზე ნაკლებით ვადით გასვლის აკრძალვასთან, თუმცა შეზღუდვის დრო მიახლოებულია 18 საათთან და შეიძლება დღე-ღამის ნახევარზე მეტს შეადგენდეს (მაგალითად 15, 16 ან 17 საათიანი შეზღუდვა). მიგვაჩნია, რომ დღე-ღამის განმავლობაში 12 საათზე მეტი, თუმცა 18 საათზე ნაკლები ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვისთვის ასევე უნდა დადგინდეს მაქსიმალური ვადა და ის შეიძლება შეადგენდეს არაუმეტეს 18 თვისა.

დასკვნა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული აღკვეთის ღონისძიებების სახეები არასაკმარისია გამოძიების პროცესში არსებული რისკების დასაზღვევად უფლებების ნაკლებად მზლუდავი საშუალებების გამოყენებით. არსებული მონაცემებით, გირაოს და პატიმრობის გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი ჯამში დაახლოებით 98% შეადგენს. სასამართლოების მიერ ყველა შემთხვევაში, როდესაც გირაო არ მიიჩნევა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევის ქმედით საშუალებად, ავტომატურად განიხილება პატიმრობის გამოყენების საკითხი, რადგან კანონმდებლობაში არ არსებობს პატიმრობის რეალური, ქმედითი ალტერნატივა. ასეთი მდგომარეობა ნეგატიურად მოქმედებს თავისუფლების უფლებაზე და იწვევს პატიმრობის მაჩვენებლის სტაბილურად მაღალ ნიშნულზე (დაახლოებით 40%) შენარჩუნებას. გასათვალისწინებელია, რომ უშუალოდ პატიმრობის გამოყენებასთან ერთად, ასევე საპატიმრო აღკვეთის ღონისძიებად უნდა მივიჩნიოთ გირაოც პატიმრობის უზრუნველყოფით (ნიპარიშვილი, 2016, 54-55.). სწორედ საპატიმრო გირაოს გამოყენების სიხშირე (წლის განმავლობაში დაახლოებით 20-25%) ყველაზე უკეთ წარმოაჩენს არსებული აღკვეთის ღონისძიების სახეებს შორის პატიმრობის ქმედითი ალტერნატივის არარსებობას. გირაოს, საპატიმრო გირაოს და პატიმრობის გამოყენების სტატისტიკაზე დაკვირვება აჩვენებს, რომ არსებობს საკმაოდ დიდი დიაპაზონი, როდესაც გირაო ზოგადად, ან თანხის გადახდამდე ვერ უზრუნველყოფს აღკვე-

თის ღონისძიების მიზნების მიღწევას, ხოლო მოსამართლის არსენალში არ არსებობს სხვა, პატიმრობასთან შედარებით უფრო ნაკლებად შემზღუდავი აღკვეთის ღონისძიება, რის გამოც პრაქტიკაში ხშირად გამოიყენება გირაოს და პატიმრობის ერთგვარი კომბინაცია – საპატიმრო გირაო. ამდენად, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობაში ცალსახად არსებობს აღკვეთის ღონისძიების ახალი, ქმედითი სახის გათვალისწინების აუცილებლობა. მიგვაჩნია, რომ ასეთ აღკვეთის ღონისძიებად შეიძლება მიჩნეული იქნეს გადაადგილების შეზღუდვა.

თითოეული სისხლის სამართლის საქმის ინდივიდუალობის გათვალისწინებით, დღის წესრიგში შეიძლება დადგეს ადამიანისთვის გადაადგილების სხვადასხვა ფორმით და ხანგრძლივობით შეზღუდვის საჭიროება. ერთ შემთხვევაში აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევისთვის შეიძლება აუცილებელი იყოს პირისთვის დღე-ღამის განმავლობაში საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის სრული აკრძალვის დაწესება (ე.წ. 24 საათიანი შეზღუდვა), ხოლო სხვა შემთხვევაში შეიძლება საკმარისად იქნეს მიჩნეული დღე-ღამის გარკვეულ მონაკვეთში (მაგალითად ღამის 21:00 საათიდან დილის 09:00 საათამდე) საცხოვრებელი სახლიდან გასვლის აკრძალვა, ან გარკვეული დროით ქალაქიდან, მუნიციპალიტეტიდან ან რაიონიდან გასვლის აკრძალვა, ან სხვა ქალაქში, მუნიციპალიტეტში ან რაიონში შესვლის აკრძალვა. იმის გათვალისწინებით, რომ გადაადგილების სხვადასხვა ფორმით და ინტენსივობით შეზღუდვის შესაძლებლობა ყველაზე უკეთ შეიძლება მიესადაგოს კონკრეტული საქმის გარემოებებს, მიზანშეწონილია, რომ კანონმდებლობამ გაითვალისწინოს მოსამართლისთვის არჩევანის ფართო დიაპაზონი. აღნიშნულის შედეგად, გადაადგილების შეზღუდვა შეიძლება განისაზღვროს შემდეგი სახით: „გადაადგილების შეზღუდვა ნიშნავს ბრალდებულისთვის ნებართვის გარეშე საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის, გარკვეული ადგილის, მათ შორის, კონკრეტული ადმინისტრაციული საზღვრებით შემოფარგლული ტერიტორიის, დატოვების ან მასში შესვლის აკრძალვას ან/და დაზარალებულის სამსახურთან და სხვა იმ ადგილებთან, სადაც დაზარალებული იმყოფება მიახლოების აკრძალვას“.

იმის გათვალისწინებით, რომ გადაადგილების შეზღუდვა, მისი შინაარსის, ინტენსივობისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება გაუთანაბრდეს საქართველოს კონსტიტუციის მე-13 მუხლით და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით დაცულ თავისუფლების უფლებაში ჩარევას, მიზანშეწონილია, რომ საპროცესო კანონმდებლობაში და შესაბამის მომიჯნავე საკანონმდებლო აქტებში მოხდეს იმის დაზუსტება, თუ როდის ჩაითვლება გადაადგილების შეზღუდვა თავისუფლების უფლების შეზღუდვად და როგორ უნდა მოხდეს ამის ასახვა სხვადასხვა საპროცესო გადანყვეტილებაში. ამ მხრივ, სტატიაში განხილულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა და მასზე დაყრდნობით შემოთავაზებულია მიდგომა, რომლის თანახმადაც გადაადგილების შეზღუდვის ის ფორმა, რაც დაკავშირებული იქნება საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვასთან დღე-ღამის განმავლობაში 18 საათის ან უფრო ხანგრძლივი დროით, გაუთანაბრდეს პატიმრობას და მასზე გავრცელდეს პატიმრობისთვის

გათვალისწინებული რეჟიმი. ამდენად, მიზანშეწონილია, რომ ქართულ კანონმდებლობაში აღკვეთის ღონისძიების სახელ გადაადგილების შეზღუდვის გათვალისწინებისას, დარეგულირდეს როგორც მისი მაქსიმალური ხანგრძლივობა, ასევე წინასასამართლო სხდომამდე ამ აღკვეთის ღონისძიების ქვეშ ყოფნის მაქსიმალური ვადა, პერიოდული გადასინჯვის სიხშირე და სასჯელის სახით დანიშნულ თავისუფლების აღკვეთაში ან სხვა სასჯელებში ამ აღკვეთის ღონისძიების ვადის ჩათვლის საკითხები. სტატიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, მიზანშეწონილია, რომ პატიმრობის მსგავსად გადაადგილების შეზღუდვის დროსაც, რაც დღე-ღამის განმავლობაში 18 საათით ან უფრო ხანგრძლივი ვადით საცხოვრებელი ადგილიდან გასვლის აკრძალვას გულისხმობს, მაქსიმალურ ვადად დადგინეს 9 თვე. რაც შეეხება წინასასამართლო სხდომამდე ამ აღკვეთის ღონისძიების ხანგრძლივობას, მისი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 60 დღეს. სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის ან სხვა სახის არასაპატიმრო სასჯელში ჩათვლის დროს კი, პატიმრობის მსგავსად, გამოყენებული უნდა იქნეს შემდეგი გაანგარიშება: გადაადგილების შეზღუდვის ერთი დღე – თავისუფლების აღკვეთის ერთი დღე. ამით უზრუნველყოფილი იქნება აღკვეთის ღონისძიების აღსრულების პროცესში გატარებული დროის სამართლიანი ჩათვლა საბოლოო სასჯელში. რაც შეეხება აღკვეთის ღონისძიების ავტომატურად გადასინჯვას, აქაც პატიმრობის მსგავსად დროის ინტერვალი უნდა იყოს არაუმეტეს 2 თვე.

იმ შემთხვევაში, თუ საცხოვრებელი ადგილის დატოვების აკრძალვის ხანგრძლივობა დღე-ღამის განმავლობაში 12-დან 18 საათამდე იქნება, ასეთ შემთხვევაშიც მიზანშეწონილია, რომ კანონმდებელმა გაითვალისწინოს აღკვეთის ღონისძიების მოქმედების ზღვრული ვადა, რაც 18 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ აღკვეთის ღონისძიების ახალი სახის – გადაადგილების შეზღუდვის გათვალისწინება საპროცესო კანონმდებლობაში გაზრდის მოსამართლის შესაძლებლობას აღკვეთის ღონისძიებების ყველაზე მკაცრ და მსუბუქ სახეებს შორის არსებული დიაპაზონიდან შეარჩიოს ადამიანის უფლებების ყველაზე ნაკლებ შემზღუდველი და ამავე დროს შესაბამისი რისკების ეფექტიანად დამზღვევი ღონისძიება. ახალი სახის აღკვეთის ღონისძიების დამატება დადებით გავლენას იქონიებს ბრალდებულთა უფლებრივ მდგომარეობაზეც და დიდი ალბათობით გამოიწვევს პატიმრობის და საპატიმრო გირაოს გამოყენების მაჩვენებლის შემცირებას. მიუხედავად იმისა, რომ გადაადგილების შეზღუდვასაც თან სდევს თავისუფლების უფლების გარკვეული ინტენსივობით შეზღუდვა, პატიმრობასთან შედარებით ის მაინც საგრძნობლად უკეთეს მდგომარეობაში აყენებს ბრალდებულს და იძლევა აღკვეთის ღონისძიების მიზნების მიღწევისა და ბრალდებულის უფლებების გამართლებული შეზღუდვის საკითხში უკეთესი ბალანსის პოვნის შესაძლებლობას. ამ აღკვეთის ღონისძიების პირობებში ბრალდებულს პრაქტიკულად არ ეზღუდება ოჯახის წევრებთან კომუნიკაცია, თავისუფალი დროის პირადი შეხედულებისამებრ გამოყენებისა და თავისი ინტერესების დაკმაყოფილების, პირთა ფართო წრესთან კომუნიკაციისა და პირადი ცხოვრების განხორციელებასთან დაკავშირებული მრავალი სხვა ასპექტი.

სამართალი მუდმივად უნდა ცდილობდეს ადამიანის უფლებების დაცვის

სტანდარტების გაუმჯობესებას, მით უფრო, როდესაც ამის შესაძლებლობას იძლევა ტექნოლოგიური პროგრესი. გადაადგილების შეზღუდვის აღსრულებითვის პირის ლოკაციის კონტროლის ტექნიკური საშუალებების გამოყენება იძლევა შესაძლებლობას, რომ აღკვეთის ღონისძიების მიზნები მიღწეულ იქნეს ადამიანის უფლებების ნაკლები შეზღუდვის პირობებში და იმავდროულად, სახელმწიფოს ანიჭებს პენიტენციური სისტემის განვითარების შესაძლებლობას. ამდენად, აღკვეთის ღონისძიების ახალი სახის – გადაადგილების შეზღუდვის უპირატესობები უდავოა და საჭიროა მსჯელობის გააქტიურება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების დროულად განსახორციელებლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ლოლაძე ბ., ფირცხალაშვილი ა., ძირითადი უფლებები, თბ., 2023;
- ნიპარიშვილი ბ., ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, 2016, №2, გვ. 37-63;
- სამართალწარმოების პრაქტიკა, რედ. კობალეიშვილი, მ., თბ., 2013.
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, ავტორთა კოლექტივი, რედ. გიორგაძე, გ., თბ., 2015;
- საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე, ავტორთა კოლექტივი, რედ. ტურავა, პ., თბ., 2013;

სამართლებრივი წყაროები:

- საქართველოს კონსტიტუცია, 24/08/1995;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 09/10/2009;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილება „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“, 23/05/2020;

სასამართლო პრაქტიკა

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 23 მაისის №3/2/574 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმო ჩანაწერი №646;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის №3/2/588 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – სალომე ქინქლაძე, ნინო კვეტენაძე, ნინო ოდიშარია, დარი ჯანელიძე, თამარ ხითარიშვილი და სალომე სებისკვერაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 28 მაისის №2/1/704 გადაწყვეტილება საქმეზე „გიორგი ქართველიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 11 თებერვლის №№1/1/1505,1515,1516,1529 გადაწყვეტილება საქმეზე „პაატა დიასამიძე, გიორგი ჩიტიძე, ედუარდ მარიკაშვილი და ლიკა საჯაია საქართველოს პარლამენტის და საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ“;

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 24 ივნისის №№3/5/1341,1660 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრინყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-200 მუხლის მე-6 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები:

Guzzardi v. Italy, no. 7367/76, 6 November 1980, Series A no. 39;

Storck v. Germany, no. 61603/00, 16 June 2005;

Buzadji v. the Republic of Moldova [GC], no. 23755/07, ECHR 2016 (extracts);

De Wilde, Ooms and Versyp v. Belgium, judgment of 18 June 1971;

Dacosta Silva v. Spain, no. 69966/01, ECHR 2006-XIII;

Merabishvili v. Georgia [GC], no. 72508/13, 28 November 2017.

საქართველოს საერთო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2014 წლის 1 ივლისის №1/გ-621 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 31 აგვისტოს №1/ბ-603-17 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 4 აპრილის 1გ/1199-17 განჩინება;

თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის 2017 წლის 5 აპრილის 1გ/1206-17 განჩინება.

სხვა წყაროები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2013, 2020, 2021 და 2022 წლის სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია ბმულზე:

2013 წელი – <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/monacemebi-agkve-ta-statis.pdf>

2020 წელი – <https://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2020w-statistic-7.pdf>

2021 წელი – www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/2021w-statistic-7.pdf

2022 წელი – <https://www.supremecourt.ge/uploads/files/1/statistikuri%20monacemebi%202022/7-arkv%2012.pdf> (20.06.2024);

www.tbappeal.court.ge/appealAllFiles/files/appeal_docs/1404910715__-86334229.pdf (20.06.2024);

ევროპის საბჭოს 2024 წლის 6 ივნისს გამოქვეყნებული პენიტენციური სტატისტიკის ყოველწლიური ანგარიში. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://info-gram.com/incarceration-rates-across-europe-in-2023-1hxj48mmv881q2v?live> (20.06.2024);

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია ბმულზე: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/132/siskhlis-samartlis-statistika> (20.06.2024);

ამ საიდუმლო ანუ სამალავადი ანბანის მთელ საიდუმლოებას ანბანის უკუღმა მობრუნება და ერთი ასოს მაგიერ თავიდან მოყოლებული მეორის ხმარება შეადგენს. ეს მეორე სანაცვლოდ შემოღებული ასოთა რიგი ჩვეულებრივი ანბანის ბოლოდან იწყება. ამგვარად ბგერა „ა“-ნის აღსანიშნავად ასოდ „ჯ“-ანია მიღებული, „ბ“-ანის ნაცვლად „ხ“ და ასე ამგვარად. მაშასადამე ეს სისტემა უკუღმა მობრუნებულ ანბანს წარმოადგენს და დასავლეთი ევროპის პალეოგრაფიის **Atbasch** „ატბაშს“ უდრის.“ (ჯავახიშვილი, 1949: 133).

ეს სისტემა ბერძნულ-რომაულმა კრიპტოგრაფიამაც იცოდა, ამიტომ შესაძლებელია ფ. გორგიჯანიძე იყოს ძველისა და მივიწყებულს განმარტებული ან სხვა ქვეყნის, ამ შემთხვევაში სპარსეთის, მაგალითის მიმბაძველი.

საიდუმლო დამწერლობის მკვლევარი ლილი ათანელიშვილი თავის წიგნში „ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა“ განიხილავს საქართველოში გავრცელებულ საიდუმლო დამწერლობებს, ერთ-ერთია **ანჩინური სისტემა, რომლის შესახებაც წერს:** „კრიპტოგრამული ანბანის შედგენის დროს ბერძნული „gewöhnlichste Kryptographie“-ს მსგავსად ასოთა ფონეტიკურ მნიშვნელობასთან ერთად გათვალისწინებულია ასოთა რიცხვითი მნიშვნელობაც, ოღონდ ქართულში ეს მონაცვლეობა ორიგინალურადაა გადანყვეტილი: ბერძნულისაგან განსხვავებით, სადაც ერთეულები – ერთეულებს ენაცვლებოდნენ, ათეულები – ათეულებს და ასეულები – ასეულებს, ქართულში ასოთა რიცხვითი მნიშვნელობა ისეა გათვალისწინებული, რომ ერთეულებისა და ათასეულების აღმნიშვნელი ასოები მონაცვლეობენ, ერთი მხრივ, და ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი ასოები, მეორე მხრივ: ე. ი. ერთის აღმნიშვნელი **ა** ასოს მაგიერ გვხვდება **ჩ**, რომელიც უდრის 1000-ს, ორის აღმნიშვნელი **ბ** ენაცვლება **ც**-ს, რომელიც 2000-ს აღნიშნავს და ა. შ. ასევე ათის აღმნიშვნელი **ი**-ს ენაცვლება **რ**(=100), ასო **კ**-ს (=20) ენაცვლება **ს**(=200) და ა. შ. ამ სისტემას სახელწოდებაც ანჩინური ამ მონაცვლეობის მიხედვით შერქმევია: **ანჩინური ქართული ანბანის ან-ისა და ჩინ-ისგან არის მიღებული**(ათანელიშვილი, 1982: 15).

ამრიგად, ანჩინური სისტემის კრიპტოგრამულ ანბანში ერთეულებს ენაცვლება ათასეულები, ხოლო ათეულებს – ასეულები. ამის მიხედვით აღნიშნული ანბანი ამგვარად წარმოგვიდგება:

აჩ – 1:1000 ირ – 10:100

ბც – 2:2000 კს – 20:200

გძ – 3:3000 ლტ – 30:300

დწ – 4:4000 მუ(მჟ) 40:400

ექ – 5:5000 ნფ – 50:500

ვხ – 6:6000 ჟქ – 60:600

ზჯ – 7:7000 ოღ – 70:700

ჴჯ – 8:8000 პყ – 80:800

თჰ – 9:9000 ჟმ – 90:900(ათანელიშვილი, 1982: 15).

ანჩინური სისტემა და ყველა სხვა სისტემა, რომლებიც ბგერათა მონაცვლეობაზე არიან დამოკიდებული, ე. ი. რომელთაც ქართული ანბანი უდევთ საფუძვლად, ანგარიშს უწევენ ქართულ ანბანში მომხდარ ცვლილებებს. ქართულ კრიპტოგრაფიაში, როგორც სარკეში, ისე აისახება ქართულ ანბანში მომხდარი ცვლილებები, გრაფიკული იქნება ეს თუ ორთოგრაფიული. ქართულმა ანბანმა რომ მოხაზულობის თვალსაზრისით სამი საფეხური განვლო, ეს კარგად აისახება ქართულ კრიპტოგრაფიაშიც. ჩვენამდე შემორჩენილი უძველესი კრიპტოგრამები ნაწერია ასომთავრულით, ნუსხურიით და გვიანდელი – მხედრულით(ათანელიშვილი, 1982: 18).

ანრეური სისტემაც ანჩინურისა და ანჯანურის მსგავსად ასოთა ურთიერთმონაცვლეობას ემყარება. მაგრამ ანჯანურისაგან განსხვავებით აქაც, ისევე როგორც ანჩინურ სისტემაში, ასოთა ფონეტიკურ მნიშვნელობებთან ერთად ყურადღება ექცევა ასოთა რიცხვით მნიშვნელობებს. თუმცა ანრეური სისტემა

ანჩინურისაგან განსხვავდება: თუ ანჩინურში მონაცვლეობდნენ ერთეულები-სა და ათასეულების აღმნიშვნელი ასოები, ერთი მხრივ, ხოლო ათეულების და ასეულების აღმნიშვნელი ასოები, მეორე მხრივ, ანრეურ სისტემაში სხვაგვარი კომბინაციაა: ერთეულების აღმნიშვნელი ასოები ენაცვლებიან ასეულების აღმნიშვნელ ასოებს, ხოლო ათეულების აღმნიშვნელი ასოები, ათასეულების. ამის მიხედვით ანრეური სისტემის კრიპტოგრამული ანბანი ასეთი სახისაა:

არ – 1:100 ირ – 10:1000

ბს – 2:200 კც – 20:2000

გტ – 3:300 ლძ – 30:3000

დუ – 4:400 მწ – 40:4000

ეფ – 5:500 ნჭ – 50:5000

ვქ – 6:600 ზხ – 60:6000

ზლ – 7:700 ოჭ – 70:7000

ჴყ – 8:800 პჯ – 80:8000

თშ – 9:900 ჟჴ – 90:9000(ათანელიშვილი, 1982: 64).

ანჴოური სისტემაც ასოთა შენაცვლების პრინციპით არის შედგენილი. ანჴოური სისტემის არც ერთ კრიპტოგრამას ჩვენამდე არ მოუღწევია, გადარჩენილია მხოლოდ მისი კრიპტოგრამული ანბანი შედარებით გვიანდელი, გამართივებული სახისა:

აჴ. ბჴ. გჴ. დჴ. ეხ. ვჴ. ზნ. ცქ. თც. იჩ. კშ. ლყ. მღ. ნქ. ფფ. ოუ. პვ. ჟტ. რს. (ათანელიშვილი, 1982: 69).

ძველი ქართული კრიპტოგრაფიის ერთ-ერთი უძველესი სისტემაა „**სათვალავადი სისტემა**“, რომელიც გულისხმობს კრიპტოგრამული სიტყვების შედგენას ისე, რომ ასოთა რიცხვითი მნიშვნელობები იყოს წარმოდგენილი.

ქართული „**სათვალავადი სისტემა**“, რომელიც ბერძნულის გავლენით ჩანს წარმოშობილი, X საუკუნეზე უფრო ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო. ბერძნულის მსგავსად საქართველოშიც რიცხვების აღსანიშნავად ქართული ანბანი გამოიყენებოდა. უკვე ხანმეტ ტექსტებში ანბანი რიცხვნიშნებად უხმარიათ. აღსანიშნავია, რომ სათვალავადი სისტემის უძველესი ნიმუშები ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის სიტყვიერად გადმოცემაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული.

მკვლევარი ლილი ათანელიშვილი, მიქაელ მოდრეკილის კრიპტოგრამებზე დაყრდნობით წარმოგვიდგენს სათვალავადი სისტემის კრიპტოგრამულ გასაღებს: „**ა-ს** ნაცვლად, რომლის რიცხვითი მნიშვნელობაა ერთი, დანერდნენ სიტყვიერად ერთს, **ბ-ს** ნაცვლად ორს, **გ-ს** ნაცვლად სამს და ა.შ. (ათანელიშვილი, 1982: 72).

საიდუმლო დამწერლობებიდან ერთ-ერთია „**უკუდანერილობის სიტემა**“. იგი გულისხმობს სიტყვის წაიკითხვას მარჯვნიდან მარცხნივ. კრიპტოგრამული სიტყვები ნაწერია ქართული ანბანით. ზოგჯერ კრიპტოგრამა მხოლოდ ერთ სიტყვიანი არ არის, იგი მთელ წინადადებას წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში ყურადღება ექცევა წინადადებაში სიტყვათა განლაგებას. არსებობს უკუდანერილობის სისტემის სხვადასხვა ტიპი:

1. I ტიპი: თუ კრიპტოგრამა რამდენიმე სიტყვისგანაა შემდგარი, წინადადების

კითხვა უნდა დავინყოთ ბოლო სიტყვიდან ისევე, როგორც არაბულსა და სპარსულში.

2. II ტიპი: წინადადებაში სიტყვები განლაგებულია ქართულისათვის დამახასიათებელი წყობით, მარცხნიდან მარჯვნივ, მაგრამ თითოეული სიტყვა დანერილია უკუღმა, შებრუნებით.
3. III ტიპი: უკუღმა, შებრუნებით, მარჯვნიდან მარცხნივ დანერილია არა მთელი სიტყვა, არამედ სიტყვის ერთი ნაწილი: დაქარაგმებულ სიტყვებში უკანასკნელი ასოა გადატანილი მარჯვნიდან მარცხნივ ან დაუქარაგმებელ სიტყვებში შებრუნებულია მარცვალი (ათანელიშვილი, 1982: 87).

უკუდანერილობის სისტემის კრიპტოგრამები სხვადასხვა შინაარსისაა: იმის გამო, რომ ეს სისტემა მარტივია, იოლად ამოსახსნელი, ამან განაპირობა, ალბათ, რომ გადამწერებს კრიპტოგრამული ანდერძებისთვის იგი იშვიათად უხმარიათ.

ლილი ათანელიშვილი ასევე განიხილავს „**სარკისებრი დანერილობის სისტემას**“, რომელიც უკუდანერილობის სისტემის ანალოგიურია. „სარკისებრი დანერილობის სისტემის კრიპტოგრამებში სარკისებურად შებრუნებულ ასოებს წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ, ე.ი. მარჯვნიდან მარცხნივ წერა – ეს ძირითადი საშუალებაა, რომელზეც დამყარებულია ორი კრიპტოგრამული სისტემა: თუ მარჯვნიდან მარცხნივ დანერდნენ ქართული ანბანით სიტყვებს, მიიღებდნენ უკუდანერილობის სისტემას, ხოლო თუ ეს ანბანი სარკისებრ შებრუნებული იქნებოდა, მაშინ კი – სარკისებრი დანერილობის სისტემას. საფიქრებელია, რომ სარკისებრი დანერილობის სიტემა უკუდანერილობის სისტემის ანალოგიით წარმოშობილიყო“ (ათანელიშვილი, 1982: 89).

სარკისებრი დანერილობის სისტემის კრიპტოგრამების ამოკითხვა შეიძლება მხოლოდ სარკის დახმარებით. თუ ასეთ კრიპტოგრამასთან სარკეს მარჯვნივ მოვათავსებთ, იგი ამოიკითხება. სარკისებრი დანერილობის სისტემის კრიპტოგრამები ნაწერია ასომთავრულით, ნუსხურითა და მხედრულით. „სარკისებრი დანერილობის სისტემაც სხვა სისტემების მსგავსად შინაარსობრივად მრავალფეროვანია. ამ სისტემით უსარგებლიათ ხელნაწერთა მომხატავებს, გადამწერებს“ (ათანელიშვილი, 1982: 92).

ამრიგად, საქართველოში გავრცელებული აღნიშნული „საიდუმლო დანერლობების“ შესახებ დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ისევე როგორც ზეპირმეტყველების დროს ინფორმაციის დაფარვის მიზნით, ხდება ლექსიკური თავისებურებების გამოყოფა, აქაც წერილობითი კომუნიკაციის დროს არგოს თვალსაზრისით ჩვენთვის განსაკუთრებით **ყურადსაღებია გასაიდუმლოების შემდეგი ნიშნები**:

- ✓ „**ანჯანის ანბანი**“ – ანბანის უკუღმა მობრუნება და ერთი ასოს მაგიერ თავიდან მოყოლებული მეორის ხმარება;
- ✓ **ანჩინური სისტემა** – ერთეულებისა და ათასეულების აღმნიშვნელი ასოები მონაცვლეობენ, ერთი მხრივ, და ათეულებისა და ასეულების აღმნიშვნელი ასოები, მეორე მხრივ: ე. ი. ერთის აღმნიშვნელი **ა** ასოს მაგიერ გვხვდება **ჩ**, რომელიც უდრის 1000-ს, ორის აღმნიშვნელი **ბ** ენაცვლება **ც**-ს,

რომელიც 2000-ს აღნიშნავს და ა. შ. ასევე ათის აღმნიშვნელი ი-ს ენაცვლება რ(=100), ასო კ-ს (=20) ენაცვლება ს(=200) ;

- ✓ **ანრეური სისტემა** – ერთეულების აღმნიშვნელი ასოები ენაცვლებიან ასეულების აღმნიშვნელ ასოებს, ხოლო ათეულების აღმნიშვნელი ასოები, ათსეულების;
- ✓ **ანჰოური სისტემა**– ასოთა შენაცვლების პრინციპი;
- ✓ **სათვალავადი სისტემა** – ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის წარმოდგენა;
- ✓ **უკუდანერილობის სიტემა** – გულისხმობს სიტყვის წაიკითხვას მარჯვნიდან მარცხნივ;
- ✓ **სარკისებრი დაწერილობის სისტემა** – შებრუნებულ ასოებს წერდნენ მარჯვნიდან მარცხნივ, კრიპტოგრამების ამოკითხვა შეიძლება მხოლოდ სარკის დახმარებით, კრიპტოგრამასთან სარკეს მარჯვნივ მოვათავსებთ, იგი ამოიკითხება.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ საიდუმლო დამწერლობის კიდევ ერთ სახეს „ქობულურ–აჭარულ დედაბრულ ხელს“, რომელიც ძირითადად დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქობულეთში და გურიაში იყო გავრცელებული. აღნიშნული საიდუმლო დამწერლობით შესრულებული ხელნაწერები შესწავლილია სხვადასხვა კუთხით: **პალეოგრაფიულად, ლინგვისტურად, სოციოლინგვისტურად.** წინამდებარე ნაშრომში კი, „ქობულურ–აჭარულ დედაბრულ ხელს“ **განვიხილავთ სოციოლინგვისტულ ჭრილში, როგორც კონკრეტული სოციუმის წევრებს შორის ურთიერთობის წერილობით საშუალებას, რომელიც მხოლოდ ამ სოციუმის წევრებისთვის იყო გასაგები და სხვებისთვის გაუგებარი.**

როგორც ცნობილია, საქართველოში, კერძოდ აჭარაში, ოსმალთა ბატონობის პერიოდში, **დედაბრული ხელი ნაწერისა და ინფორმაციის დაფარვის მიზნით გამოიყენებოდა.** ჩვენი ყურადღება მიიპყრო „ქობულურ–აჭარულმა დედაბრულმა ხელმა“ როგორც ინფორმაციის დაფარვის მიზნით მიმონერის ერთ– ერთმა ტრადიციულმა და კარგმა საშუალებამ. კვლევის მიზანია ძირითადი ნიშნების და თავისებურებების გამოყოფა, რომლითაც წერილობითი კომუნიკაციის აღნიშნულ ფორმას მივაკუთვნებთ არგოს. **კვლევის საგანი, ცხადია, არის არა საკუთრივ „ხელნაწერი წიგნი“, როგორც ასეთი, არამედ ცალკეულ ოჯახებს და სოციალურ ჯგუფებს შორის საიდუმლო კომუნიკაციის და ინფორმაციის გაცვლის მნიშვნელოვანი საშუალება.** შესაბამისად ჩვენი მიზანია, შეძლებისდაგვარად გამოვკვეთოთ ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც ჩვენ მას ვთვლით არგოს ნაირსახეობად.

მკვლევარი მზია ხახუტაიშვილი თავის წიგნში „ქობულურ აჭარული დედაბრული ხელი“, სადაც ლინგვისტურ ჭრილში აქვს შესწავლილი და გაანალიზებული აღნიშნული საიდუმლო დამწერლობით შესრულებული ტექსტები, გამოთქვამს მოსაზრებას დედაბრული ხელის რიტუალური არგოს ნაირსახეობად განხილვის შესახებ. **„ძველი ქართული წერა, გადამწერლობის ტრადიცია, გრძელდებოდა ოსმალთა ბატონობის დროსაც. სწორედ ამ პერიოდში დაეკისრა „დედაბრულს“**

ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა. ამგვარი, კონკრეტული პროფესიული წრის(მკურნალთა, მლოცველთა და შემლოცველთა) მეტყველებრივი ნაირსახეობა არგოა, რათა იგი სხვათათვის გაუგებარი ყოფილიყო და გასაიდუმლოებული ურთიერთობისთვის გამოსადეგი (ხახუტაიშვილი, 2017: 17).

ჩვენ ვიზიარებთ ამ მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული მეტყველებრივი ნაირსახეობა არგოა. ისტორიულ რეალობას, რომელშიც „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერის სახე ჩამოყალიბდა, ემატებოდა შემლოცველების დამოკიდებულება. „ეს იმ სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის(მკურნალთა, შემლოცველთა), მეტყველებრივი ნაირსახეობაა, რომლის სიტყვები და გამოთქმები მხოლოდ მათთვის უნდა ყოფილიყო გასაგები. ამგვარი მეტყველებრივი ნაირსახეობა კი არგოა. დაშიფრული გამოთქმები მხოლოდ შემლოცველებისთვის უნდა ყოფილიყო გასაგები. შიძლება ითქვას, ამ რიტუალური არგოს მიზანია, დაფაროს ნათქვამი. იგი ხელოვნურადაა გადასხვაფერებული. გასაიდუმლოებისთვის კი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ წერის სხვადასხვა პრინციპს ეფუძნება. ეს პრინციპები კი გათვალისწინებულია ყველა ტიპის ტექსტში, მათ შორის პირად წერილებში (ხახუტაიშვილი, 2017: 5).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ძველ საქართველოში ეკლესია-მონასტრები გადამწერთა და მწიგნობართა კადრების სამჭედლო იყო. ამასთან გადამწერლობა და „წიგნის წერის ჯელოვნება“ საპატიო და საამაყო პროფესიად ითვლებოდა ძველად“ (დანელია, სარჯველაძე, 1997: 284).

ხელნაწერი წიგნის შექმნა, გადანერა და გამრავლება საქართველოში უძველესი დროიდან იყო ცნობილი. იგი ისტორიულად მამაკაცის პროფესიად ითვლებოდა. **საისტორიო წყაროებში ტრადიციულად გადამწერებად მამაკაცები მოიხსენებიან.** ქალის ხელით შესრულებული ხელნაწერები კი ძალზე ნაკლებად არის შემორჩენილი და ძირითადად ამგვარი მანუსკრიპტები ულამაზო ხელით ნაწერია. ამიტომ „ცუდი მხედრულით შესრულებულ ხელნაწერებს და ამგვარ წერას ტრადიცია „დედაბრულ ხელს“ უწოდებს. აღსანიშნავია, რომ ამ რიგის ხელნაწერი წიგნები მართლაც არ გამოირჩევა ლამაზი კალიგრაფიით, ანუ „დედაბრული ხელი“ არც ისეთი დახვეწილი და კლასიკურია“ (ხახუტაიშვილი, 2017: 10). სამეცნიერო ლიტერატურაში „დედაბრული ხელის“ შესახებ მწირი ინფორმაციაა. „ტრადიცია „დედაბრულ ხელს“ „ბლარჯვით“, ცუდი მხედრულით შესრულებულ წერის მანერას უწოდებს“ (ხახუტაიშვილი, 2017: 11).

ტერმინი „დედაბრული ხელი“ პირველად 1916 წელს გამოიყენა აპ. წულაძემ. თავდაპირველად „დედაბრული ხელით“ წერა უპირატესად ქალებს უკავშირდებოდა, ტერმინიც აქედან მომდინარეობს. ძველებური ქართული წერა, გადამწერლობის ტრადიცია, გრძელდებოდა ოსმალთა ბატონობის დროსაც. სწორედ ამ პერიოდში დაეკისრა დედაბრულს ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა.

ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული ხელნაწერებიდან კერძო წერილები ყველაზე კარგად ასახავს გადანერის დროინდელ **ცოცხალ მეტყველებას.** აქ გვხვდება დიალექტიზმები, აქაიზმები, თურქიზმები, არაბიზმები, სპარსიზმები თუ კალკები. ამგვარი ტექსტები ასევე მდიდარი ემპირიული მასალაა სოციოლინგვისტიკისთვისაც, რადგან „ქართული ენის თავისებურებათა შესახებ

საერო მწერლობის ძეგლების გარდა, ფრიად ღირებული ლინგვისტური მასალაა ისტორიული საბუთები: სიგელ-გუჯრები, წყალობის წიგნები, კარაბადინები და ა.შ. მათში ეპოქის ენის ვითარება, ცოცხალი მეტყველებისა და ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ დიალექტის თავისებურებაა ასახული“ (ქავთარაძე, 1964: 2)

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულია პირადი წერილები, ავგაროზები, ნასყიდობის დოკუმენტებზე არსებული ხერთვები, აღნიშნული სხვა ამგვარი ხელნაწერებისგან განსხვავდება იმით, რომ „1. უშუალოდ უკავშირდება ოსმალთა ბატონობას: 2. განირჩევა გრაფიკული მახასიათებლებით“ (ხახუტაიშვილი, 2017: 25).

აღსანიშნავია, რომ „ეროვნული კულტურის დაცვის მოვალეობა ქართველმა ქალმა ბევრი ხიფათის დროს იკისრა და შეასრულა კიდეც. ოსმალთა დამპყრობთა ძალადობისა და ისლამის გავლენით ვაჟებში ქრებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი. ეროვნულ თვითშეგნებას ქართულ ენასა და მწიგნობრობასთან ერთად ინახავდნენ ქალები. აჭარელი ქალები – ოჯახის ბურჯები, ცდილობდნენ გადაენერათ, შეენახათ, რათა შთამომავლობისთვის გადაეცათ ისეთი წიგნი, როგორიცაა სამკურნალო წიგნი – კარაბადინი. ასეთმა ორიენტაციამ გააღვივა მშობლიური ენისა და დამწერლობის სიყვარული. ხალხმა დაიწყო თითო-ოროლა შემორჩენილი ქართული წიგნის გადანერა-გამრავლება (ხახუტაიშვილი, 2017: 28).

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“, წერის საკმაოდ თავისებური და ამასთანავე ორიგინალური მანერა, შეიმუშავეს იმ ავბედით ეპოქაში, რომელიც ოსმალთა ბატონობას უკავშირდება, შესაბამისად, მის თავისებურებებზე საუბრისას, გასათვალისწინებელია, ისტორიული ვითარება, რომელმაც მისი შექმნის აუცილებლობა შეაპირობა. აჭარა იყო ოსმალთა ბატონობის ქვეშ მოქცეული, **გადამწერებს ხშირად უხდებოდათ კომუნიკაციის მთავარი საგნის შენიღვა, გასაიდუმლოება, რომ ის გაუგებარი ყოფილიყო დამპყრობელი ოსმალებისთვის და ადვილად გასაგები მოძმე ქართველებისთვის.** აღნიშნული სიტყვები და გამოთქმები სხვებისთვის გაუგებარი იყო, ადვილად გასაგები მხოლოდ გარკვეული სოციალური ჯგუფის წარმომადგენლებისთვის. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ წერის სხვადასხვა პრინციპის გამოყენებით არის გასაიდუმლოებული. **გასაიდუმლოების მიზანი იყო დაეფარა ნათქვამი და ის გასაგები ყოფილიყო მხოლოდ გარკვეული სოციალური ჯგუფისთვის, ამგვარი მეტყველებრივი ნაირსახეობა კი არგოა.** დედაბრული ხელით წერა რომ სამუსლიმანო საქართველოში იცოდნენ, ამას ზაქარია ჭიჭინაძეც ადასტურებს: „ალამბარში ყოფნის დროს მაჰმუდ ეფენდი ხახუტოლლი (ხახუტაიშვილი) ენახა. „აღმოჩნდა, რომ მას ქართული წერა-კითხვაც სცოდნიყო, მხოლოდ ჩვენებურათ. „ჩვენებურს“ ესენი მათებურ ქართულს უწოდებენ, რომლის ნიმუშად დ. ბაქრაძის ისტორიულს და არქეოლოგიურს მოგზაურობაშიც არის მოყვანილი“ (ჭიჭინაძე, 2013: 60).

XV-XVI საუკუნეები აჭარის ისტორიაში ძნელბედობის ხანაა. ამაზე საისტორიო წყაროები მეტყველებენ. აღზევებული ოსმალეთის იმპერია თანდათან აფართოებს საზღვრებს ჩრდილოეთის მიმართულებით. XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან თურქთა ბატონობის ქვეშ სამცხე-საათაბაგო, მეორე ნახევრიდან კი

აჭარა მოექცა. დამპყრობლების მიზანი იყო : ისლამის გავრცელება და ეროვნული სულის ჩახრჩობა. მათ ომი გამოუცხადეს ქრისტიანობას, ქართველთა ენას და ზნე-ჩვეულებებს. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა ოსმალთა მიერ ძალით თავს მოხვეულ მაჰმადის სჯულსა და მის რეჟიმს. ოსმალეთის უღელქვემ მყოფნი დღითიდღე აუტანელ პირობებში ცვიოდნენ. აღნიშნული სოციალური და პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, იქ მყოფი ქართველებისთვის მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაციის ისეთი საშუალების გამოყენება საზღვრებს მიღმა დარჩენილ ქართველებთან, რომელიც უსაფრთხო და საიმედო იქნებოდა მათთვის.

მიტაცებულ პროვინციებს ქართელი ფაშები და ბეგები მართავდნენ, არ შექმნილა არცერთი კულტურის ძეგლი, არცერთი წიგნი თუ მხატვრული ნაწარმოები. აღსანიშნავია ასევე, რომ არ იყო ქართული სკოლები, დამპყრობლები ცდილობდნენ თურქული ენის გავრცელებას და ქართულის დავიწყებას. მეჩეთებთან არსებულ სკოლებში მხოლოდ თურქული ენა ისწავლებოდა. ცხადია, რომ „დამპყრობელთა ძალადობისა და ისლამის გავლენით ვაჟებში თითქოს ნელდებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი. ეროვნულ თვითშეგნებას, მშობლიურ ენასა და მნიშვნელობას ძირითადად ინახავდნენ ქალები“ (ხახუტაიშვილი, 2017: 27).

აპოლონ წულაძის ცნობით, „დედაბრული ხელით“ წერის აუცილებლობა შეაპირობა იმ ისტორიულმა რეალობამ, რომელიც ოსმალთა ბატონობამ მოიტანა აჭარაში. „სარწმუნოების სხვადასხვაობამ და სხვა და სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომობამ ქართველი მუსლიმანები დროებით დააშორა ღვიძლ ძმებს, განაყოფ ბიძაშვილებს – ქართველ ქრისტიანებს. მიუხედავად რამოდენიმე ასეული წლის ასეთი მდგომარეობისა, ქართველმა მუსლიმანებმა მტკიცედ შეინახეს და დაიცვეს ქართული ენა, და წარმოიდგინეთ, ქართული წერაც კი. ერის საუკეთესო საუნჯე, ერის დიდება და მშვენება, ქართული ენა დაიცვეს ქალებმა. ამავე ხანუმების წყალობით არ მოიხსოვო ქართული წერა. ქობულეთსა და აჭარაში თუ კიდეც მოიპოვებინა ხანუმები ქართულ ენაზე, ქართული ასოებით (ანბანით) მიწერ-მოწერის მცოდნენი, ეგ დიდი საკვირველი არ არის, რადგან ახლოს არიან ქრისტიან ქართველებთან“ (წულაძე, 1916).

„დედაბრული ანბანით“ დამპყრობელთა გავლენის ქვეშ მოქცეული ქალები ცდილობდნენ გადაერჩინათ ის, რაც მათთვის და ქვეყნისთვის იყო ძვირფასი და ღირებული. „ქობულურ– აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ტექსტებს ბუნდოვანს ხდის ის, რომ სიტყვათ ხელნაწერთა შორის არ არის **ინტერვალის, სასვენი ნიშნები. მნიშვნელოვანი მახასიათებელია ასევე ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა, ხმოვანმეტობა, სიტყვების გაუმჯობესება, უინტერვალო წერა**. აღნიშნული მახასიათებლები იყო დაფარვისა და გასაიდუმლოების მნიშვნელოვანი საშუალება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „ქობულურ–აჭარული დედაბრული ხელით“ წერა ხასიათდება რიგი თავისებურებებით, რომლითაც გამოირჩევა სხვა საიდუმლო დამწერლობებისგან:

✓ **ხმოვანმეტობა** – ხმოვანმეტობა დასტურდება „ქობულურ–აჭარული

დედაბრული ხელით“ შესრულებ ყველა ხელნაწერში. მასში მეტ-ნაკლები პრინციპულობით ვხვდებით ამეტობას, იმეტობას და უმეტობას (ხახუტაიშვილი, 2017: 36).

- ✓ **სასვენი ნიშნების უქონლობა** – „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებში კი, წესისამებრ, სიტყვებს შორის ინტერვალი არაა, შესაბამისად არც სასვენი ნიშნები დასტურდება. ამრიგად, სასვენი ნიშნების გამოუყენებლობა მნიშვნელოვნად აძნელებს ტექსტის ამოკითხვას (ხახუტაიშვილი, 2017: 38).
- ✓ **გაუმიჯნაობა, უინტერვალო წერა** – ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც „ქობულურ-აჭარულ დედაბრულ ხელს“ განასხვავებს „დედაბრული ხელით“ შესრულებული სხვა ხელნაწერებისგან და მის ამოკითხვას ართულებს (ხახუტაიშვილი, 2017: 38).

გასაიდუმლოების ერთ-ერთი ხერხია გრაფემათა კუთხოვანი მოხაზულობა, რაც ნაწერის შინაარს მეტად დაფარულს ხდის. „მხედრული“ ანბანის 33 ასო-ნიშნისაგან „დედაბრულში“ ცამეტს (ა, დ, ჩ, უ, მ, ი, თ, ლ, შ, ვ, ბ, გ, ე) შენარჩუნებული აქვს ძირითადი ფორმა. თორმეტი გრაფემის ზ, კ, ფ, პ, ჟ, რ, ჯ, ტ, ღ, ც, ძ, ყ მოხაზულობა არ იმეორებს მხედრულ პროტოტიპს. წ, ნ, ხ, ქ, ჭ გრაფიკული ფორმები ასახავს სათანადო მხედრული ასოების მოხაზულობას, გართულებულს „დედაბრულში“ (გარკვეული დამატებითი ხაზებით). საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ პირად წერილებში გრაფემები მეტად კუთხოვანია, რაც მის დანიშნულებას, მეტად დაიფაროს ნაწერის შინაარსი, ამართლებს. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ხმოვანმეტობაა. საზოგადოდ, ხმოვანმეტობით (ასომეტობით) არაერთი უძველესი ძეგლი და ისტორიული საბუთი გამოირჩევა (ხახუტაიშვილი, 2017: 35).

აღსანიშნავია ასევე შემდეგი დეტალიც „ქობულეთის სოფლებში უხუცესებს დღემდე ახსოვთ, რომ მათმა ბებიებმა ამგვარი წერა იცოდნენ და **ნაწერისა და ინფორმაციის დაფარვის მიზნით ის მიმოწერის კარგი საშუალება იყო**“ (ხახუტაიშვილი, 2017: 13).

მკვლევარი მზია ხახუტაიშვილი თავის წიგნში „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ განიხილავს ასევე პირად წერილებს, რომლებიც გასაიდუმლოების თავისებური ხერხებითაც გამოირჩევა. მაგ: **წერილის ერთი გვერდი მარჯვნიდან მარცხნივად შესრულებული, მეორე ნაწილი კი საწინააღმდეგო მიმართულებით.** წიგნში საუბარია პირად წერილზე რომლის ადრესატი 1877–1878 წლების ომის შემდეგ გახიზნულა ქობულეთიდან, 1908 წელს კი ქობულეთში გამოუგზავნია პირადი წერილი. „მუჰაჯირი ქობულეთელის მიერ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შექმნილი პირადი წერილის ტექსტი გარდი-გარდმოა შესრულებული. წერილის ერთი გვერდი მარჯვნიდან მარცხნივად შესრულებული, მეორე ნაწილი კი საწინააღმდეგო მიმართულებით. კერძოდ კი, პირველი გვერდი შეიცავს 25 სტრიქონს, მეორე – ოცდაშვიდს, რომლის თხუთმეტი სტრიქონი დაწერილია თორმეტის მიმართ თავშეკცევით, მესამე და მეოთხე გვერდებიც 25–25 სტრიქო-

ნია. უკანასკნელი გვერდის ოთხი სტრიქონიც დაწერილია თავშექცევით. ყველა თავისებურებასთან ერთად, ესეც აზუსტებს ამგვარი ტექსტების მიზანს ავტორმა გაასაიდუმლოს ნაწერის შინაარსი (ხახუტაიშვილი, 2017: 59).

„ქობულურ–აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულები ტექსტებიდან გვხვდება ავგაროზის ტექსტები. „საყოველთაოდ ცნობილია, რომ ავგაროზი – ძვ. გულზე სატარებელი რაიმე მცირე ნივთია, რომელსაც სამკურნალო ძალა ან მფარველის თვისებები მიენერებოდა. აღსანიშნავია, რომ გვიანდელმა XIX საუკუნის ტრადიციამ გააერთიანა როგორც XIV-XV, ასევე XVI-XVII საუკუნეთა ცვლილებანი და „ავგაროზის“ სახელწოდებით შემოგვინახა არაერთი მაგიური შინაარსის მქონე ხელნაწერი, რომელთაგან ზოგი საინტერესოა თავისი ფორმითაც – გრაგნილის სახე აქვს. ხელნაწერი კვადრატულადაა დაკეცილი, რაც ამართლებს მის დანიშნულებას (ხახუტაიშვილი, 2017: 86).

საინტერესოა ასევე ქობულეთის მუზეუმში დაცულ ავგორიზს ტექსტში არსებული შელოცვის ფორმულები. მართალია, მთქმელებისათვის მაგიური ძალის მქონე სიტყვიერ ფორმულაში ბევრი უცხო სიტყვათშეხამებაა, მიუხედავად ამისა, შელოცვის მაგიურ ძალაში ისინი ღრმად არიან დარწმუნებული. **შელოცვის ფორმულები იწყება მიმართვით ქრისტიანული სამებისადმი – „სახელისა მზისასა მამისა ძისათა, სულისა წმიდისათა ...** ეს კი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ელემენტია არქაულ ჟანრში შეჭრილი. საზოგადოდ ქრისტიანული დასაწყისი მითითება იყო იმის შესახებ, რომ ეს ლოცვა ღვთიური ძალისაა, ამდენად წმინდაა და მისი ცოდნა ღვთიური ნიჭით თ ძალით მომადლებულ პირთა ხვედრია“ (ხახუტაიშვილი, 2017: 89).

ქართულ დამწერლობაში „ქობულურ–აჭარული დედაბრული ხელი“ შეიძლება მივიჩნიოთ არგოს სახედ წერილობით კომუნიკაციაში. ზემოთ განხილული „დედაბრული ანბანის“ ერთ–ერთი ნიმუში შექმნილია ინფორმაციის გასაიდუმლოების მიზნით, რათა ინფორმაცია კონკრეტული სოციალური ჯგუფისთვის ყოფილიყო გასაგები წერილობითი კომუნიკაციის დროს, ის არის არსებული ანბანის მოდიფიკაციით მიღებული ანბანი, რომელსაც იყენებდნენ კონკრეტული სოციალური წევრები, სოციო–პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე ინფორმაციის გასაიდუმლოებისთვის წერილობითი კომუნიკაციის დროს. არგოსა და „ქობულურ–აჭარულ დედაბრულ ხელს“ **აერთიანებს ერთი მთავარი მიზანი – მოხდეს ინფორმაციის გასაიდუმლოება ერთი კონკრეტული სოციალური ფარგლებში.** ამიტომ ვფიქრობთ, მათ შორის არსებობს ურთიერთმიმართება. რა დანიშნულებასაც ასრულებს არგო ზეპირმეტყველებაში, იმავე დანიშნულებით გამოიყენება საიდუმლო დამწერლობები წერილობითი კომუნიკაციის დროს.

ამრიგად, სხვადასხვა საკომუნიკაციო სივრცეში არგოს ჩამოყალიბება სხვადასხვა სახით ხდება. წერილობითი კომუნიკაციის დროს კრიპტოგრაფია ანუ „საიდუმლო ენა“ ასრულებს იგივე დანიშნულებას რასაც ზეპირ მეტყველების დროს არგო. ჩვენი კვლევის საგანი, ცხადია, იყო არა საკუთრივ კრიპტოგრაფია, **არამედ „საიდუმლო დამწერლობები“ როგორც ინფორმაციის გასაიდუმლოების საშუალება კონკრეტული სოციალური წევრებს შორის.** შესაბამისად, ზემოთ მოცემულ ნაშრომში, შეძლებისდაგვარად გამოვკვეთეთ ის ნიშნები, რომელთა საფუძველზეც ჩვენ მას ვთვლით არგოს ნაირსახეობად, ამრიგად:

- საიდუმლო დამწერლობები შექმნილია **არსებული ანბანის მოდიფიკაციით**;
- განხილული საიდუმლო დამწერლობების ჩამოყალიბებას განაპირობებს **სოციალური და პოლიტიკური გარემოებები**;
- „სამეტყველო საიდუმლო ენას“ და კრიპტოგრაფიას, როგორც „წერით საიდუმლო ენას“ **აერთიანებს ერთი მთავარი მიზანი – მოხდეს ინფორმაციის გასაიდუმლოება ერთი კონკრეტული სოციუმის ფარგლებში**;
- ტექსტის ბუნდოვანებისთვის წერისას სხვადასხვა ნიშნების გამოყენება. მაგ.: **ნაწერში სასვენი ნიშნების უქონლობა, ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა, სიტყვების გაუმიჯნაობა, უინტერვალო წერა; სიტყვების, წინადადებების მარჯვნიდან მარცხნივ წერა; ასოთა მნიშვნელობის შენაცვლების პრინციპი; ასოთა რიცხვითი მნიშვნელობის წარმოდგენა**;

აღნიშნულ ნაშრომში საიდუმლო დამწერლობები განხილულია სოციოლინგვისტურ ჭრილში, ყურადღება არაა გამახვილებული ენის შინაგან სტრუქტურაზე. ჩვენ გვაინტერესებდა „საიდუმლო დამწერლობები“, როგორც სოციოლინგვისტური ფენომენი, თუ სად, რა პირობებში და როგორ ვიყენებთ კრიპტოგრაფიას, რა ზეგავლენას ახდენს კრიპტოგრაფიის გამოყენებაზე ექსტრალინგვისტური ფაქტორები, კონტექსტი.

გამოყენებული ლიტერატურა

- ათანელიშვილი ლ. (1982). ძველი ქართული საიდუმლო დამწერლობა, თბილისი.
- დანელია კ., სარჯველაძე ზ., (1997). ქართული პალეოგრაფია, თბილისი.
- კენჭიაშვილი ნ. (2012). სოციალური დიალექტის ფუნქციონირების საკითხისათვის.
- ლომთაძე თ. (2010). თანამედროვე ქართული სოციოლექტები, თბილისი.
- ქავთარაძე ი. (1964). ქართული ენის ისტორიისათვის., თბილისი.
- წულაძე ა. (1916), „ქართველი მუსლიმანები და ქართული წერა“ გაზ. „საქართველო“.
- ჭიჭინაძე ზ. (2013), მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბილისი.
- ხახუტაიშვილი მ. (2017)., ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი.
- ჯავახიშვილი ი. (1949). ქართული პალეოგრაფია, თბილისი.
- ჯაში ქ. (2002) – თანამედროვე ფრანგული სასკოლო არგო და მისი სტილისტურ-კომუნიკაციური ფუნქციები //ენა, თარგმანი, ლიტერატურა. სამეცნიერო შრომათა კრებული. VIII. 2012;

მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების კონკურენტუნარიანობა კავკასიაში

შესავალი

ამ სტატიის მიზანია განიხილოს მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების კონკურენტუნარიანობა კავკასიის რეგიონში, რაც თანამედროვე მსოფლიოსთვის მეტად აქტუალური და საჭირო საკითხია.

მწვანე ტექნოლოგიები და მათი როლი გლობალურ ეკონომიკაში

21-ე საუკუნის დასაწყისიდან გლობალური ეკონომიკა განიცდის მნიშვნელოვან ტრანსფორმაციას, რაც გამოწვეულია როგორც ტექნოლოგიური ინოვაციებით, ასევე კლიმატური ცვლილებებისა და ეკოლოგიური პრობლემების გამწვავებით. მწვანე ტექნოლოგიები, ანტიგლობალური ეკონომიკური რეფორმებისა და მდგრადი განვითარების კონცეფციების პასუხად, აქტიურად შემოდის ეკონომიკურ და ინდუსტრიულ პროცესებში.

მწვანე ტექნოლოგიების განვითარების მიზანი არის ნახშირბადის ემისიების შემცირება, რესურსების ოპტიმიზაცია და ეკოლოგიური ზიანის მინიმიზაცია, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს მდგრადი ეკონომიკის განვითარებას. გლობალურად კომპანიები სულ უფრო მეტად ითვისებენ მწვანე ტექნოლოგიებს, რადგან ეს მათთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის არა მხოლოდ ეკოლოგიურად, არამედ ფინანსურადაც. კომპანიებისთვის ეს ნიშნავს უკეთეს რეპუტაციას, ახალი ბაზრების ათვისებასა და გრძელვადიან პერსპექტივაში ხარჯების შემცირებას. ამ პროცესმა, ზოგიერთ შემთხვევაში, კონკურენციის ზრდაც გამოიწვია, რადგან მწვანე ტექნოლოგიები შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი განსხვავება ბიზნესების პროდუქტებსა და მომსახურებებს შორის.

ტექნოლოგიური პროგრესი და მდგრადი განვითარება არ შეიძლება იყოს განხილული განცალკევებულად, რადგან ეკოლოგიური გამოწვევები მოითხოვს ფუნდამენტურ ცვლილებებს ბიზნეს მოდელებში. ეს განსაკუთრებით შეეხება ისეთ რეგიონებს, როგორიცაა კავკასია, რომელიც მდიდარია ენერგეტიკული რესურსებით და სტრატეგიულად მნიშვნელოვან გეოგრაფიულ მდებარეობას ფლობს, თუმცა ამავე დროს განიცდის სოციალურ-ეკონომიკურ გამოწვევების მკაცრ ზემოქმედებას.

კავკასიის რეგიონის უნიკალური მახასიათებლები და გამოწვევები

სამხრეთ კავკასიის რეგიონი მოიცავს სამი ქვეყნის: საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიებს. მიუხედავად გეოგრაფიული სიახლოვისა, ეს ქვეყნები საკმაოდ განსხვავებულ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და სოციალ-

ურ გარემოში თანაარსებობენ. თითოეულ მათგანს აქვს თავისი სპეციფიკური ეკონომიკური გამოწვევები და შესაძლებლობები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესის გარემოზე და შესაბამისად, მწვანე ტექნოლოგიების დანერგვაზეც.

საქართველო – საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის მისი ინფრასტრუქტურის განახლება და მდგრადი ენერგიის რესურსების ათვისება. ამ ქვეყანაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იდგმება ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების მიმართულებით, თუმცა ჯერ კიდევ არსებობს ხანგრძლივი გზა მწვანე ბიზნესების სრულფასოვანი განვითარებისათვის. მწვანე ენერგიის სექტორში, როგორცაა ჰიდროენერგეტიკა და განახლებადი ენერგიის წყაროები, საქართველოს აქვს პოტენციალი, რომ გახდეს მწვანე ინოვაციების ერთ-ერთი ლიდერი რეგიონში.

სომხეთი – სომხეთში ეკონომიკა ძირითადად ორიენტირებულია სოფლის მეურნეობასა და სხვადასხვა ინდუსტრიის განვითარებაზე. ეკოლოგიური პრობლემები და წყლის რესურსების ნაკლებობა ქმნის მნიშვნელოვან გამოწვევებს მწვანე ტექნოლოგიების დანერგვისთვის. მიუხედავად ამისა, სომხეთში აქტიურად ვითარდება მცირე მწვანე ბიზნესები, რომლებიც ხელს უწყობენ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებისა და მომსახურებების დანერგვას. სომხური კომპანიები ცდილობენ ინოვაციების გამოყენებით განავითარონ ენერგოეფექტური პროდუქტები და სერვისები, რაც კონკურენტუნარიანობას ზრდის რეგიონში.

აზერბაიჯანი – აზერბაიჯანი ცნობილია როგორც ნავთობისა და გაზის მნიშვნელოვანი მწარმოებელი ქვეყანა, რაც გავლენას ახდენს მის ეკონომიკაზე. ნავთობის სიძლიერე ნიშნავს, რომ აზერბაიჯანს შეუძლია მეტი რესურსი გამოიტანოს მწვანე ტექნოლოგიების განვითარებისთვის, თუმცა ამჟამად მისი ეკონომიკა ჯერ კიდევ დიდწილად დამოკიდებულია ტრადიციულ ენერგეტიკაზე. მიუხედავად ამისა, აზერბაიჯანი ცდილობს განავითაროს განახლებადი ენერგიების სექტორი, რადგან ქვეყნის მთავრობა აცნობიერებს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ნავთობისა და გაზის მარაგებიც შეიძლება ამოიწუროს.

კავკასიის ეკონომიკური ინტეგრაცია და რეგიონალური თანამშრომლობა

კავკასიის რეგიონის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი არის მისი სტრატეგიული გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის მიჯნაზე. რეგიონალური თანამშრომლობა, ენერგეტიკული და ეკოლოგიური პოლიტიკის ინტეგრირება, შეიძლება გახდეს მწვანე ტექნოლოგიების განვითარებისა და ბიზნესების კონკურენტუნარიანობის გაზრდის მთავარი გასაღები. ენერგოეფექტური და მწვანე ტექნოლოგიების განვითარება არა მხოლოდ გააუმჯობესებს რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობას, არამედ ხელს შეუწყობს სოციალურ სტაბილურობას და გარემოს დაცვას.

მწვანე ტექნოლოგიების გავლენა კავკასიის ბიზნეს გარემოზე

მწვანე ტექნოლოგიების დანერგვა შეიძლება განვიხილოთ როგორც გლობალური და რეგიონალური ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ას-

პექტი. მწვანე ტექნოლოგიები ქმნის ინოვაციურ ბიზნეს შესაძლებლობებს, რომლებიც არა მხოლოდ გარემოს სასარგებლოდ მოქმედებენ, არამედ ფინანსურადაც მომგებიანია. კავკასიის რეგიონში მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების განვითარება მოითხოვს ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ პოლიტიკის სტრატეგიულ მიდგომებს, რაც გულისხმობს შემდეგ კომპონენტებს:

1. განახლებადი ენერგიის გამოყენება – კავკასიის რეგიონი გამოირჩევა თავისი ბუნებრივი რესურსებით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს განავითაროს განახლებადი ენერგიის წყაროები, როგორიცაა: ქარი, მზის ენერგია და ჰიდროენერგია. ამის შედეგად, მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესი შეუძლია გახდეს ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალა.

2. ეკოლოგიური ბიზნეს მოდელები – მწვანე ბიზნესები მოიცავს სხვადასხვა სექტორს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, ტექნოლოგიები და მრეწველობა. ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება ამ სექტორებში ხელს უწყობს ხარჯების შემცირებას და გრძელვადიან პერიოდში ბიზნესების მდგრადი განვითარების ხელშეწყობას.

3. საერთაშორისო ბაზარზე ინტეგრაცია – კავკასიის ქვეყნებს აქვთ შესაძლებლობა, რომ მწვანე ბიზნესები საერთაშორისო ბაზარზე გამოიტანონ და გლობალური მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებზე გააუმჯობესონ. ამასთან, მწვანე ინოვაციების დანერგვა რეგიონში ხელს უწყობს გლობალურ ეკონომიკურ ინტეგრაციას, კავკასიის ბიზნესებს მეტი შესაძლებლობა ეძლევათ საერთაშორისო კონკურენციაში მონაწილეობისთვის.

4. ტექნოლოგიური ინოვაციები – მწვანე ტექნოლოგიები არა მხოლოდ გარემოს დაცვის მიმართულებით მუშაობს, არამედ ის ქმნის ახალ ინოვაციურ გადანაცვლებებს. კავკასიის ბიზნესებს, რომლებიც შეძლებენ სწრაფად აითვისონ ეს ტექნოლოგიები, შეეძლებათ რეგიონალურ და გლობალურ ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება.

კონკურენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობები მწვანე ბიზნესებისთვის

მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების კონკურენტუნარიანობის გაზრდა დამოკიდებულია რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორზე:

1. სახელმწიფო მხარდაჭერა – მწვანე ბიზნესების წარმატების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი არის სახელმწიფოს მიერ მათთვის შექმნილი მხარდაჭერის სისტემები. ეს შეიძლება მოიცავდეს საგადასახადო შეღავათებს, სუბსიდიებს და გრანტებს მწვანე ტექნოლოგიების განვითარებისთვის. კავკასიის ქვეყნები ამ მიმართულებით მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამენ, თუმცა რეგიონში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულყოფილი სისტემა მწვანე ბიზნესების მხარდაჭერისთვის.

2. ინოვაციური პროექტების დაფინანსება – მწვანე ტექნოლოგიების განვითარება მოითხოვს დიდ ფინანსურ რესურსებს. ინოვაციური პროექტების დაფინანსება, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის, არის კრიტიკული ფაქტორი მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად.

3. ეკოლოგიური განათლება და ცნობიერების ამაღლება – საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და ეკოლოგიური განათლების გაძლიერება ხელს შეუწყობს მწვანე ბიზნესების განვითარებას. განათლებული მომხმარებელი უფრო მეტად ირჩევს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებსა და სერვისებს, რაც მწვანე ბიზნესებისთვის დამატებით კონკურენტულ უპირატესობას შექმნის.

მწვანე ტექნოლოგიების განვითარება და მათი კონსუპენტუნარიანობის გაზრდის შესაძლებლობები

მწვანე ტექნოლოგიების განვითარება უკავშირდება გლობალურ ცვლილებებს ენერგეტიკის, წარმოების და ეკოლოგიური მართვის სფეროებში. ბოლო ათწლეულში მწვანე ტექნოლოგიები გახდა ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა გლობალურ ეკონომიკაში. ეს პროცესი იწყება 2000-იანი წლების დასაწყისიდან, როცა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და მთავრობებმა დაიწყეს კლიმატის ცვლილების საკითხების აქტიური განხილვა. მაგალითად, პარიზის შეთანხმება 2015 წელს გახდა უმნიშვნელოვანესი საფეხური, რომელმაც მკაფიოდ დააფიქსირა გლობალური სტრატეგია ნახშირბადის ემისიების შემცირების მიმართულებით.

მწვანე ტექნოლოგიების გავლენა ბიზნესზე როგორც ადგილობრივ, ასევე გლობალურ დონეზე. ერთ-ერთი საინტერესო კონცეფცია არის “ეკოლოგიური ინოვაციები,” რომელიც გულისხმობს ტექნოლოგიების და ბიზნეს მოდელების გამოყენებას, რომლებიც ამცირებს ეკოლოგიურ ზიანს და ხელს უწყობს მდგრად განვითარებას. კვლევები აჩვენებს, რომ მწვანე ტექნოლოგიები არა მხოლოდ ამცირებს კომპანიების გარემოსდაცვით გავლენას, არამედ ქმნის ახალ შესაძლებლობებს ბაზრის გაფართოებისთვის და ხარჯების შემცირებისთვის.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია კომპანიების ინვესტიციების გაზრდა კვლევასა და განვითარებაში (R&D), რადგან ინოვაციური მწვანე ტექნოლოგიები იძლევა გრძელვადიან კონკურენტულ უპირატესობას. მწვანე ინოვაციების შედეგად კომპანიებს შეუძლიათ მოიპოვონ სუბსიდიები და ფინანსური მხარდაჭერა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, ევროკავშირში მოქმედებს მრავალი პროგრამა, რომელიც ეხმარება მწვანე ტექნოლოგიების განვითარებას მცირე და საშუალო ბიზნესების დონეზე.

არსებული კვლევები მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების ეფექტურობაზე

მსოფლიოში არსებული კვლევები აჩვენებს, რომ მწვანე ბიზნესი სარგებლობს მრავალი ფინანსური და ეკოლოგიური უპირატესობით. მათ შეუძლიათ რესურსების გამოყენების ოპტიმიზაცია, ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვა და ნახშირბადის ემისიების შემცირება. შედეგად, კომპანიები არა მხოლოდ ფულის დაზოგვის შესაძლებლობას ქმნიან, არამედ გარემოს დაცვის კონცეფციასაც აყალიბებენ, რაც ზრდის მათ რეპუტაციას და მომხმარებელთა ნდობას.

დასკვნები და რეკომენდაციები

კავკასიის რეგიონში მწვანე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ბიზნესების კონკურენტუნარიანობა დამოკიდებულია რამდენიმე კრიტიკულ ფაქტორზე: ფინანსური მხარდაჭერა, ტექნოლოგიური ინოვაციები, საერთაშორისო სტანდარტების დაცვა და სახელმწიფო რეგულაციები. ამავდროულად, მწვანე ბიზნესებს აქვთ დიდი პოტენციალი კავკასიის ეკონომიკური და ეკოლოგიური განვითარების მიმართულებით.

რეკომენდაციები

სახელმწიფოს მიერ მწვანე ბიზნესების სტიმულირება და მხარდაჭერა საჭიროა ეკონომიკური და ეკოლოგიური პოლიტიკის განმტკიცებისთვის. აუცილებელია საგადასახადო შეღავათების და საგრანტო კომპონენტების დანერგვა, რაც ბიზნესებს დაეხმარება მწვანე ინოვაციების განვითარებაში.

1. განახლებადი ენერგიის ინვესტიციების გაზრდა

კავკასიის ქვეყნების მთავრობებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ ენერგიის მწვანე წყაროების განვითარებას. ეს შეიძლება იყოს როგორც ჰიდროენერგეტიკა, ისე მზისა და ქარის ენერგია, რომლებიც რეგიონის ბუნებრივი რესურსებით არის მდიდარი.

2. განათლების და ცნობიერების ამაღლების პროგრამების დანერგვა

მწვანე ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და განათლების პროგრამების გაძლიერება დაეხმარება ბიზნესებს უკეთ გაიგონ ეკოლოგიური ინოვაციების მნიშვნელობა და სარგებელი.

3. საერთაშორისო თანამშრომლობა

კავკასიის ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ბიზნესებთან თანამშრომლობა, რათა მიიღონ ფინანსური და ტექნოლოგიური მხარდაჭერა მწვანე ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

Borrell, D., & Holzman, C. (2020). *The Role of Green Technologies in Urban Sustainability*. *Sustainable Cities and Society*, 55, 102-113.

European Environment Agency. (2022). *Towards a Green Economy: Progress and Challenges*. Copenhagen: EEA.

- Foster, J. B. (2021). *The Ecological Rift: Capitalism's War on the Earth*. New York: Monthly Review Press.
- Global Green Growth Institute (GGGI). (2021). *Green Growth Performance Measurement: Progress Report*. Seoul: GGGI.
- International Energy Agency (IEA). (2021). *Renewables 2021: Analysis and Forecast to 2026*. Paris: IEA.
- IPCC. (2022). *Climate Change 2022: Impacts, Adaptation and Vulnerability*. Cambridge: Cambridge University Press.
- Robinson, J. (2021). *Sustainable Urban Development: Key Concepts and Strategies*. *Journal of Urban Ecology*, 13(3), 125-138.
- Schmidt-Bleek, F. (2020). *The Factor Ten/MIPS Concept: Bridging Ecological, Economic and Social Dimensions with Green Technology*. *Journal of Industrial Ecology*, 26(2), 198-210.
- Solar Energy Industries Association (SEIA). (2021). *US Solar Market Insight Report*. Washington, DC: SEIA.
- Sachs, J. D. (2020). *The Age of Sustainable Development*. Columbia University Press.
- United Nations Environment Programme (UNEP). (2021). *Making Peace with Nature: A Scientific Blueprint to Tackle the Climate, Biodiversity, and Pollution Emergencies*. Nairobi: UNEP.
- World Bank. (2020). *The Role of Renewables in Energy Transition: A Case Study on Green Energy Investment*. Washington, DC: World Bank.

მასმედიის ზეგავლენა არასრულწლოვანთა დანაშაულობაზე


შესავალი

თანამედროვე სამყაროში ადამიანის ცხოვრება წარმოუდგენელია მასმედიის გარეშე. იმისათვის, რომ ზუსტად იქნეს აღქმული თემის სფერო და აქტუალობა, საჭიროა, განიმარტოს თუ რა არის მასმედია. მასმედია – ეს არის ის მასობრივი საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც ამ თუ იმ ტიპის ინფორმაცია ვრცელდება. მასმედია ზოგადად ასოცირდება ჟურნალისტიკასა და ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან, ხოლო ფართო მასებისთვის ამა თუ იმ ინფორმაციის მიწოდების ხერხები, დღეს ძალზედ მრავალფეროვანია, კერძოდ: ტელევიზია, გაზეთი, რადიო, სოციალური ქსელები, კინემატოგრაფია, აუდიო და ვიდეო ვიზუალური ჩანაწერები, სარეკლამო დაფები და სხვა. მასმედია ვრცელდება სხვადასხვა კავშირის საშუალებებით – იქნება ეს ტელეფონი, კომპიუტერი, ტელევიზორი თუ სხვა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილ მასმედიის გამავრცელებელ საშუალებას გააჩნია ერთი საერთო მახასიათებელი – ისინი მიმართულნი არიან მასობრივი აუდიტორიისადმი და შეგვიძლია დავახასიათოთ ინფორმაციის გავრცელების და წარმოების კორპორაციული ფორმით (კახიძე, 2018). აქვე აღსანიშნავია, რომ მასმედია ადამიანს ეხმარება გახდეს საზოგადოების ნაწილი, ეხმარება მის გარშემო არსებულ რეალობასთან ადაპტაციაში, თანამედროვეობისთვის ფეხის აყოლაში, საჭირო ცოდნის შეძენაში, სოციალური კავშირების დამყარებასა და განმტკიცებაში, ასევე გავლენას ახდენს ადამიანის ქცევის ჩამოყალიბებაზე, მისი პროფესიული და სხვა პიროვნული თვისებების განვითარებაზე. მედია ჰგავს ორლესულ სატევარს, რომელსაც აქვს უზარმაზარი ძალა, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ადამიანის გონებაზე, განსაკუთრებით კი ისეთი მოწყვლადი სოციალური წარმომადგენლებზე, როგორებიც არიან არასრულწლოვნები. არც თუ იშვიათად, სიტყვის თავისუფლების ინსტიტუტს ამოფარებული მედია ბოროტად იყენებს მის შესაძლებლობებს და თესავს ცრუ მორალურ დამოკიდებულებებსა და ღირებულებებს, რაც მოსახლეობაში ინვესტ ზედმეტ აჟიოტაჟს ან, პირიქით, ინფორმაციის მომხმარებლებში შიშისა და აგრესიის დათესვას. აქედან გამომდინარე, ძალზედ მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომელიც დაფუძნებული იქნება არა მხოლოდ მორალურ, არამედ სამართლებრივ პრინციპებზეც, რომლებსაც შეეძლება მინიმუმადე დაიყვანოს მასმედიის უარყოფითი გავლენები. ეს დებულება პირდაპირ კავშირშია საკვლევ თემასთან – მასმედიის ზეგავლენა არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებზე. აქვე აღსანიშნავია, რომ ფაქტობრივად ან ძალიან მწირია, ან საერთოდ არ არსებობს ქართული იურიდიული ან სხვა განხრის მეცნიერთა მხრიდან ამ საკითხის დეტალური შესწავლისა და დამუშავების მცდელობა. მასმედიას აქვს როგორც ნათელი,

ასევე ბნელი მხარე, რომელსაც შეუძლია როგორც სიკეთის მოტანა ადამიანისთვის, ასევე შეუძლია დიდი და დამანგრეველი გავლენა იქონიოს ზრდასრულ და ასევე არასრულწლოვან პიროვნებებზე, რომელნიც ფიზიკურად, მორალურად და გონებრივად არ არიან ბოლომდე ჩამოყალიბებულნი, ან მოახდინოს დამანგრეველი უარყოფითი გავლენა ისეთ ადამიანებზე, რომელთაც აქვთ კრიმინალური საქმიანობისკენ მიდრეკილება. საბოლოოდ, ამ ყველაფერმა შესაძლოა მძიმე და არასახარბიელო გავლენა იქონიოს ადამიანებზე როგორც პიროვნებებზე და ამა თუ იმ სახელმწიფოს საზოგადოებაზე, ასევე თავად სახელმწიფოებზეც.

1. მასმედიის ზეგავლენის თავისებურებანი არასრულწლოვანთა მორალური ფორმირების პროცესზე

მასმედიას თანამედროვე ადამიანის და საზოგადოების განვითარებაზე დიდი გავლენა აქვს. იგი უმეტეს შემთხვევაში აყალიბებს ადამიანში სხვადასხვა ქცევებს, შეხედულებებს, გემოვნებას, ჩვევებს და სწორედ მასმედიის საშუალებით ადამიანს აქვს შესაძლებლობა, გაეცნოს სოციალური ცხოვრების სხვადასხვა გამოვლინებებს. როგორც ცნობილია, მოზარდობის პერიოდი ერთ-ერთ ყველაზე რთული პერიოდია არასრულწლოვნის ცხოვრებაში, რადგან ამ დროს იცვლება ადამიანის გემოვნება, მსოფლმხედველობა და ინტერესები. გარდატეხის ასაკში მოზარდებს კიდევ უფრო უმძაფრდებათ აღქმის უნარი და გარშემომყოფების მიმართ მეტად ემოციურად არიან განწყობილნი. აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ მასმედია გახდა მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ფაქტორი და მოზარდები ცდილობენ მიბაძონ მასმედიის მიერ შეთავაზებულ ზნეობრივ და ქცევის მოდელებს. როგორც ზევით იქნა აღნიშნული, მასმედიას გააჩნია მრავალი გამოვლინება, თუმცა ჯერ კიდევ ინტერნეტის არსებობის მიუხედავად, დღეს ყველაზე პოპულარული მიაჩნთ ტელევიზიას და სწორედ იგი გვევლინება ყველაზე ხელმისაწვდომი და ფართო დაფარვის საშუალებად. ნარმოგიდგენთ მედიის გამოყენებისა და აუდიტორიის მიერ აღქმის შესახებ კვლევის ცხრილს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ საზოგადოების უმრავლესობა ირჩევს ტელევიზიას ინფორმაციის წყაროდ (საქართველო: მედიის გამოყენებისა და აუდიტორიის მიერ აღქმის შესახებ კვლევა).




განსაკუთრებით ბოლო ათწლეულის განმავლობაში, მოზარდებზე დიდი გავლენის გამო, ტელევიზიამ მიიპყრო, როგორც არასრულწლოვანთა ოჯახების, ისე სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ყურადღება. სოციოლოგიური გამოკვლევები აჩვენებს, რომ მოზარდის აღზრდის საკითხში ოჯახისა და სკოლის შემდეგ, მესამე ადგილი უჭირავს ტელევიზიას და, ამასთანავე, იგი გვევლინება მოზარდის სოციალიზაციის უწყვეტ წყაროდ (Лүман, 2000).

ტელევიზია დღეს ასრულებს ოთხ ძირითად ფუნქციას: ა) სოციალიზაცია; ბ) ოპერატიული განათლება გარემოსა და მსოფლიოს შესახებ; გ) გართობა; დ) სოციალიზაციისა და სხვადასხვა ტიპის აუდიტორიის გაერთიანება (Семёнов, 2010).

თანამედროვეობაში აქტიური განხილვის საგანია მედიაში გავრცელებული ძალადობის საკითხთან დაკავშირებული პრობლემები. ძალადობა გვხვდება თითქმის ყველა თანამედროვე ფილმში, სერიალსა და მულტფილმებში. სამეცნიერო ლიტერატურაში „ძალადობრივი მედია“ უკვე დიდი ხანია გამოიყენება და აღნიშნავს ფილმებისა თუ სერიალების გმირებისთვის მიყენებულ დაზიანებებს, ასევე ახალი ამბებიდან თუ სხვა სატელევიზიო გადაცემებიდან, ხშირ ან მუდმივი ძალადობრივი შინაარსის ინფორმაციების გადმოცემას ან სიცოცხლის ხელყოფის სცენების გაშუქებას, რომელიც შემდეგ უკვე იწვევს არასრულწლოვანში ფსიქიკურ პრობლემებს, ტრავმებსა და ძალადობისკენ მიდრეკილებას. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებსა და აშშ-ში დარეგისტრირებულია შემთხვევები, როდესაც მოზარდები ფილმებში არსებული სხვადასხვა სახის სუპერ გმირების ყურების შემდეგ, გარბოდნენ გზაზე და ცდილობდნენ მათ მსგავსად და მათი წარმოსახვითი ძალების გამოყენების მეშვეობით შეეჩერებინათ მანქანები (Дроздов, 2014). აშშ-ის ფსიქიატრთა ასოციაციის ანგარიშის თანახმად, 18 წლის ამერიკელს საშუალოდ 16,000 სიმულაციური მკვლელობა და ძალადობის ამსახველი მხატვრული თუ დოკუმენტური კადრები აქვს ნანახი და წლიდან წლამდე სიმულაციური ფიზიკური დაზიანებების მიყენება და სიცოცხლის ხელყოფა კიდევ უფრო მეტად რეალისტური ხდება. აშშ-ის ფსიქიკური ჯანმრთელობის ნაციონალური ინსტიტუტის შეფასებით, მედიაძალადობა მოზარდზე ორგვარ გავლენას ახდენს: ა) ძალადობრივი კადრების მუდმივი ყურება ძალადობის მიმართ მგრძნობელობის დაქვეითებას იწვევს. ეს ნიშნავს იმას, რომ მოზარდები უფრო იოლად ითვისებენ ამ ტიპის ქცევას, სხვის მიერ ჩადენილ ძალადობრივ აქტს უყურებენ როგორც ჩვეულებრივ მოვლენას, ანუ ხდება ძალადობის აღქმის ატროფირება და თავადაც, ამ ყველაფრის შემყურე, უფრო ხშირად მიმართავენ ძალადობას; ბ) ძალადობის შემცველი კადრების გადაჭარბებული ყურება, განსაკუთრებით კი რეალისტურად ასახული ძალადობისა, არწმუნებს მოზარდს, რომ მისი გარემო სახიფათოა. ამის შედეგად, ზოგიერთ მათგანს ეწყება შფოთვა, სტრესი და პანიკური შეტევები. აქვე აღსანიშნავია, რომ მედიაძალადობა მით უფრო მეტ ზიანს აყენებს არასრულწლოვანს, რაც უფრო მცირეწლოვანია იგი. ზოგადად, 8 წლამდე ასაკის ბავშვებს უჭირთ ხოლმე ფანტაზიის და სინამდვილის ერთმანეთისგან გარჩევა. გარდა ამისა, მცირეწლოვან ბავშვებს არ აქვთ უნარი აბსტრაქტული აზროვნების სახით ნანახი კადრების გაანალიზებისა და სწორედ ამიტომ რეალობას ვერ ადარებენ და პირდაპირ ისრუტავენ მიწოდებულ ინფორმაციას.

მასმედიის კიდევ ერთ მასშტაბურ ნაწილს წარმოადგენს ინტერნეტი. ერთ-ერთი უარყოფითი მხარე ფართომასშტაბიანი კომპიუტერული ქსელისა არის ფართოდ გავრცელებული საეჭვო სახის მასალები. სტატისტიკური მონაცემებით, ათიდან ცხრა მოზარდი ხვდება პორნოგრაფიას ინტერნეტ სივრცეში უკონტროლოდ, 17% მუდმივად უყურებს აკრძალული შინაარსის მქონე სხვადასხვა მასალებს, ხოლო 5,5% მზად არის, რომ რეალობაშიც გაიმეოროს ვირტუალურად ნაწიხი ქმედებები (Джишкарини, Кокарев, 2017). ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერნეტში ფაქტობრივად უკონტროლოდ არის მიმობნეული პორნოგრაფიის, სუიციდის, პიროტექნიკის და ამა თუ იმ ნარკოტიკის მოქმედება-დამზადების შესახებ საიტები. ამდგომარეობის შინაარსის მქონე საიტების მონახულება და მათი გამოყენება შესაძლოა, საკმარისი აღმოჩნდეს არასრულწლოვანისთვის, რომ გაეხადოს ამ სახიფათო დანაშაულებრივ სამყაროში და მიბაძოს აღნიშნულ საქმიანობებში მათ წამქეზებლებს. თუმცა სტატისტიკურად, ინტერნეტში ყველაზე დიდ რისკად ითვლება სხვადასხვა სოციალურ ქსელებში საეჭვო პიროვნებების გაცნობა. ეს სულაც არ არის გასაკვირი, რადგან სოციალური ქსელები დღეს მეორე ადგილზეა პოპულარულობით ტელევიზიის შემდეგ.

სწორედ სხვადასხვა სახის სოციალური ქსელებიდან იღებენ ინფორმაციებს არასრულწლოვნები. ამის საილუსტრაციოდ, წარმოგიდგენთ მედიის გამოყენებისა და აუდიტორიის მიერ აღქმის შესახებ კვლევის ცხრილს, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ საზოგადოების უმრავლესობა, და კიდევ უფრო მეტად არასრულწლოვნები, ტელევიზიის შემდეგ ირჩევენ სოციალურ ქსელებს როგორც ინფორმაციის წყაროდ (საქართველო: მედიის გამოყენებისა და აუდიტორიის მიერ აღქმის შესახებ კვლევა)



აღნიშნული ცხრილი კიდევ ერთხელ ნათლად ასახავს, თუ რაოდენ სარისკოა სოციალურ ქსელებში საეჭვო პიროვნებების გაცნობა, რადგან შესაძლოა მოზარდმა ურთიერთობა დაასრულოს რადიკალურ პოლიტიკურ ჯგუფებში, ტერორისტულ ორგანიზაციებში,

აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მასმედია სოციალურად მნიშვნელოვანი მოვლენაა, რაც არასრულწლოვნებსაც ესაჭიროებათ. თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ არცთუ იშვითად ვლინდება სხვადასხვა სახით მასმედიის დესტრუქციული ასპექტებიც.

2.1. არასრულწლოვანთა არასწორი დამოკიდებულების ფორმირება სამართალდამცავი ორგანოების მიმართ

სამართალდამცავი ორგანოებისადმი ნეგატიურმა დამოკიდებულებებმა არასრულწლოვნების მხრიდან შეიძლება, მიგვიყვანოს შემდეგ შედეგებამდე:

1) სამართალდამცავი ორგანოების მოვალეობების შესრულების დროს არასრულწლოვნების მხრიდან მათთვის უნდობლობის გამოცხადება.

შეუძლებელია სამართალდამცავმა ორგანოებმა წარმატებით და ჯეროვნად შეასრულონ მათი მოვალეობები, თუკი მოქალაქეები მათთან თანამშრომლობაზე იტყვიან უარს. სამართალდამცავ ორგანოებთან მოქალაქეების ერთ-ერთი უმთავრესი ურთიერთობის ფორმა არის ინფორმაციის შეტყობინება ამა თუ იმ სამართალდარღვევის, მომზადების ან უშუალოდ ასეთი ქმედების ჩადენის შესახებ. მსგავსი ინფორმაციის მიწოდება შეუძლიათ თავად დაზარალებულებს ან თვითმხილველებს. ფაქტების შეუტყობინებლობის გარეშე სამართალდამცავი ორგანოები ვერ იმუშავენ ეფექტურად, მათ თავადაც რომც მოიპოვონ ინფორმაცია ან გაიგონ სამართალდარღვევის შესახებ სხვადასხვა გზებით, თვითმხილველის ან მსხვერპლის ჩვენების გარეშე ძალიან გაჭირდება სხვა დეტალური ინფორმაციის დადგენა, რაც საჭიროა პრევენციული ზომების გასატარებლად. შესაბამისად, სამართალდამრღვევი დარჩება დაუსჯელი, რაც მასში გამოიწვევს დაუსჯელობის სინდრომის გაღვივებას და ეს ფაქტი ხელახალი დანაშაულის ჩადენის დიდ სტიმულს შესძენს.

2) არასრულწლოვანთა მიერ საკუთარი ინტერესების და უფლებების დაცვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით.

არასრულწლოვანთა კანონიერი უფლებების დარღვევა სხვა პირთა მხრიდან არ არის იშვიათი მოვლენა და ასეთ რთულ მდგომარეობაში მყოფი მოზარდი იძულებულია თავი დაიცვას ხშირად უკანონო ქმედებებით. საკუთარი კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვა შეიძლება, მოხდეს კანონიერი და არაკანონიერი გზით. იმ შემთხვევაში თუ არასრულწლოვანი თვლის, რომ მას არ შეუძლია სამართალდამცავების ნდობა და ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში ან, ზოგადად, სამართალდამცველები ვერაფერს გახდებიან, იგი არ მიმართავს მათ საკუთარი უფლებების დარღვევის ფაქტზე რეაგირებისთვის და თავად გადაწყვეტს ამ პრობლემასთან გამკლავებას, რაც საბოლოო ჯამში, მიგვიყვანს უკანონო ქმედებასთან. ანუ, როდესაც თავად მსხვერპლი ცდილობს თავისი ქმედებებით აღადგინოს სამართლიანობა და მჩაგვრელებს გასცეს საკადრისი პასუხი. ეს კი, მიგვიყვანს დანაშაულის ჩადენასთან და უკვე თავად დაზარალებული გახდება სამართალდამრღვევი. ამის შემდეგ იქმნება იმის საფრთხეც, რომ არასრულწლოვანს ჩამოუყალიბდეს კრიმინალური სუბკულტურის მენტალიტეტიც. ასეთმა არასრულწლოვანმა მაინც რომ მოახერხოს კანონდარღვევით და სხვადასხვა

ძალადობრივი საშუალებებით საკუთარი უფლებების დაცვა, მომავალში ეს ფაქტი მასზე იქონიებს უარყოფით გავლენას, რადგან ეს იქნება მისთვის მოტივაცია, რომ ძალადობა დასაშვებია და ძალადობის მეშვეობით შეიძლება საკუთარი თავისა და უფლებების დაცვა.

3) სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების წინააღმდეგ ჩადენილი კანონდარღვევა და მათთვის, მოვალეობათა შესრულების დროს, ხელის შემლა.

ამ შემთხვევაში მაგალითისთვის გამოდგება არასრულწლოვანის მხრიდან სამართალდამცავი ორგანოების კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა და მათთვის წინააღმდეგობის გაწევა. არასრულწლოვანის მხრიდან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება შეიძლება ჩაითვალოს უარყოფით მოვლენად სერიოზულ მორალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, რაც მომავალში გამოიწვევს მისი მხრიდან დევიანტური ქცევების გაზრდას.

არასრულწლოვნის დამოკიდებულება სამართალდამცავი ორგანოების და მათი ეფექტურად მუშაობის მიმართ ყალიბდება:

- უშუალო ურთიერთობისას სამართალდამცავ ორგანოებთან;
- სხვა ტიპის წყაროებიდან, როგორიცაა: სკოლა, ოჯახი, სამეგობრო, ინტერნეტი, ტელევიზია, რადიო, გაზეთები, კომპიუტერული თამაშები და სხვა.

გარდა ამისა, სამართალდამცავი ორგანოების და მათი არაეფექტური თუ ეფექტური მუშაობის შესახებ არასრულწლოვანი ძირითადად იგებს მასმედიიდან, განსაკუთრებით კი ტელევიზიიდან – ახალი ამბების გადაცემების მეშვეობით. ამ წყაროზე დაყრდნობით, არასრულწლოვანი მომავალში იქმნის წარმოდგენას სამართალდამცველებზე. სატელევიზიო მაუწყებლობა არაერთგვაროვანია და შეიძლება გაჟღერდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის შესახებ. სწორედ ამის გამო, მეტნაკლებად შეიძლება განსხვავებული შთაბეჭდილებების შექმნა ამ თემასთან დაკავშირებით. ტელევიზიასთან ერთად, კიდევ უფრო დიდი გავლენა აქვს არასრულწლოვნის დამოკიდებულებაზე სამართალდამცავი ორგანოების მიმართ ფილმებს – იქნება ეს მხატვრული თუ დოკუმენტური. ფილმების სიუჟეტების უმეტესობა ტრიალებს ამა თუ იმ სამართალდარღვევის გარშემო, რომელიც შეემთხვა ან მთავარ, ან მეორეხარისხოვან გმირს. ასეთ ფილმებს განეკუთვნება: დეტექტიური, ფანტასტიკური ან მძაფრსიუჟეტის ფილმები. მრავალი ფილმის ანალიზის შემდეგ, რომლის გაშუქების ძირითადი წყარო ისევ ტელევიზორია, შეიძლება ითქვას, რომ სამართალდამცავი ორგანოები ძალიან ხშირად წარმოდგენილი არიან უძლურებად, არაპროფესიონალებად ან მხიარულ და სუფელ პოლიციელებად, რაც არასრულწლოვანს კიდევ უფრო უღრმავებს და უღვივებს რწმენას, რომ სამართალდამცველის იმედი არ უნდა ჰქონდეს. უნდობლობის კიდევ ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს მხატვრულ და დოკუმენტურ ფილმებში, ასევე კრიმინალური ახალი ამბების გადაცემებში, სამართალდამცველების მხრიდან ძალადობრივი, უკანონო ქმედებების ჩადენის, არაპროპორციული ძალის გამოყენების ფაქტების გაშუქება.

2.2. აგრესია, როგორც მასშტაბის უარყოფითი ზეგავლენის შედეგი

აღნიშნული საკითხის უშუალო განხილვამდე, პირველ რიგში, უნდა მოხდეს თავად სიტყვა აგრესიის განმარტება. აგრესია, მრავალი ისეთი მეცნიერების განხილვის საგანია, რომელიც შეისწავლის ადამიანის სხვადასხვა ტიპის ქცევებს. აღნიშნული ტერმინის განხილვას ვხვდებით ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ, პედაგოგიურ, კრიმინოლოგიურ, ფსიქიატრიულ, სოციოლოგიურ და სხვა მეცნიერებებში. აღნიშნული ტერმინის და ზოგადად ამ ფენომენის შესწავლაში ყველაზე მეტად ახლოს მივიდნენ ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური დისციპლინები. ფსიქოლოგებმა რ. ბერონმა და დ. რიჩარდსონმა აშშ-დან აგრესია განმარტეს შემდეგნაირად: „აგრესია – ეს არის ნებისმიერი ტიპის ქცევა, რომლის მიზანიცაა შეურაცხყოფა ან ზიანის მიყენება სხვა პირისათვის.“ (Бэрон, 2000, 26).

დაახლოებით ასეთივე განმარტება გვხვდება კრიმინოლოგიაშიც. მოკლე კრიმინოლოგიური ლექციკონი აგრესიას განმარტავს შემდეგნაირად: „აგრესია ეს არის მოქმედება, რომელიც იწვევს ზიანის მიყენებას ან ფსიქოლოგიურ ტრავმას გარშემო მყოფი ადამიანების მიმართ, რომელსაც თან ახლავს ძლიერი უარყოფითი ემოციები – სიძულვილი და შუღლი“ (Кудрявцева, Эминова, 1997, 438).

ზემოთ აღნიშნული განმარტებების მიხედვით, შეგვიძლია შევაჯამოთ სათქმელი – აგრესია ეს არის ადამიანის ისეთი ქცევა სხვა პირის მიმართ, რომელსაც მოჰყვება ფიზიკური, მორალური ან მატერიალური ზიანი. როგორც წესი, ამგვარი ქმედება კანონით არის აკრძალული, რადგან შესაძლოა გამოიწვიოს სისხლის სამართლებრივი ან ადმინისტრაციული ტიპის პასუხისმგებლობა, თუკი აგრესია მიგვიყვანს კანონის დარღვევასთან ან დანაშაულის ჩადენასთან. აგრესიის ობიექტიდან გამომდინარე, იგი შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად – სიტყვიერი და ფიზიკური. ფიზიკური აგრესიის შემთხვევაში მას მიეყვართ გარშემო მყოფი პირების ფიზიკურ ან მატერიალურ დაზიანებასთან ძალის გამოყენებით, ხოლო ვერბალური აგრესიის დროს კი მას მიეყვართ გარშემო მყოფი ადამიანების სიტყვიერი შეურაცხყოფის, სხვადასხვა ჟესტიკულაციით და არაძალადობრივი ფიზიკური ქცევით მიყენებულ შეურაცხყოფასთან. ვერბალურ აგრესიას ასევე მიეკუთვნება ადამიანის ღირსების შელახვა უხამსი სიტყვებით, შეურაცხყოფებითა და დაცინვის სხვადასხვა მეთოდებით. სისხლის სამართალსა და კრიმინოლოგიაში ფიზიკური ძალის გამოყენება ან მუქარა გაგებულია, როგორც ძალადობა. ძალადობა კი თავის მხრივ იყოფა ასევე ორ ჯგუფად – ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობად. ფიზიკურად ძალადობად მიიჩნევა მისი ფიზიკური, რეალური გამოყენება ამა თუ იმ პიროვნების მიმართ, ხოლო ფსიქოლოგიური ძალადობა კი არის ფიზიკური ძალადობის გამოყენების მუქარა (Дерябин, 1999). კრიმინოლოგები აერთიანებენ ისეთ დანაშაულებს, როგორებიცაა: მკვლელობა, ხულიგნობა, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება და სხვა.

არასრულწლოვანი პირებისთვის შორის, რომელთაც ჩაიდინეს არაკანონიერი ქმედება, მაგალითად, ხულიგნობა, ხშირად ამჟღავნებენ სიბრაზეს, შუღლს, უპატივცემულობას და არც თუ იშვიათად ადამიანების მიმართ სიძულვილსაც კი. სწორედ ზემოთ აღნიშნული ყველა ეს თვისება ხელს უწყობს პიროვნებაში აგრესიის ჩამოყალიბებას და მის კულტივაციას. ამ ყველაფრის

გათვალისწინებით კი, დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აგრესიულობა, როგორც შეძენილი თვისება, შესაძლოა ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენის მიზეზი იყოს. აგრესია შეიძლება, იყოს როგორც ინსტიქტის დონეზე ჩამოყალიბებული, რომელშიც შედის ბიოლოგიური და ფსიქონალიტიკური ასპექტები, ასევე პიროვნების მიერ სოციალურად შეძენილი თვისება. რაც შეეხება ბავშვებს, ისინი ძირითადად იძენენ ცოდნას აგრესიული ქმედებების შესახებ შემდეგი სამი ძირითადი წყაროდან:

- ოჯახი – ოჯახს შეუძლია ერთდროულად თავად მოახდინოს აგრესიის დემონსტრაცია და მისი განმტკიცებაც მოზარდის ფსიქოლოგიაში. ძირითადად ბავშვების აგრესიული ქცევის სწავლა და შემდგომში გამომჟღავნება დამოკიდებულია იმაზე ხვდება თუ არა მას ოჯახში აგრესია და თუ ხვდება, რამდენად ხშირად.
- მოზარდმა ასევე შესაძლოა, აგრესია შეისწავლოს მის გარშემო მყოფი სოციალურიდან, მისი თანატოლებისგან იქნება ეს თამაშის დროს თუ სხვა რაიმე ტიპის ურთიერთობისას.
- მესამე წყარო კი არის მასმედიის მხრიდან გაშუქებული სხვადასხვა აგრესიის მაგალითები.

არასრულწლოვანი პირის აგრესიული ქმედებებმა შესაძლოა მიგვიყვანოს შემდეგ ნეგატიურ შედეგამდე:

- არასრულწლოვანი თავისთვის ხსნის ქცევების ახალ სამყაროს, რაც აქამდე მისთვის უცნობი იყო, ანუ იგი სწავლობს მისთვის ახალ სხვადასხვა ფიზიკურ და ვერბალურ ქცევებს, რომლებიც აქამდე მისი ქცევების არსენალში არ იძებნებოდა და ამ ახალმა შეძენილმა ქცევებმა შესაძლოა ზიანი მოუტანოს გარშემო მყოფებს, რადგან პიროვნებას ჯერ არ შეუძლია ახლად შეძენილი ქცევების მოთოკვა და კონტროლი.
- არასრულწლოვანი პიროვნება შეიძლება მივიდეს ასევე იმ დასკვნამდე, რომ რადგან სხვები სჩადიან ამდაგვარ ქმედებებს, ესე იგი, ამ ტიპის ქმედებები მისთვისაც დამეებულია.

დროთა განმავლობაში თანდათან არასრულწლოვანში ხდება ნელ-ნელა ემოციური აღქმის უნარის დაკარგვა აგრესიის და სხვა მესამე პირის ტკივილთან მიმართებით. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ადამიანი, რომელიც მუდმივად უყურებდა ძალადობრივ ქმედებებს, მიდრეკილია საზოგადოების მხრიდან ელოდოს მხოლოდ თავდასხმას, აგრესიას და მუდამ თავდაცვის ერთგვარ ბერკეტად გადააქციოს მის მიერ აგრესიის გამომჟღავნება.

როგორც ნაშრომში ზევით იქნა აღნიშნული, ტელევიზია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოთამაშეა არასრულწლოვნებში აგრესიის დანერგვასა და კულტივაციაში. არასრულწლოვანთა მხრიდან ტელევიზორში დიდი ხნის განმავლობაში ძალადობრივ სცენებზე დაკვირვებამ და მათმა ყურებამ შესაძლოა, გამოიწვიოს აღნიშნული ძალადობრივი ქცევების რეალობაში გადმოტანა და ტელევიზიის

გმირების მიბაძვა აგრესიასა და ძალადობაში. ამ განხრით ცდების ჩატარება ჯერ კიდევ 60-იანი წლების ამერიკაში დაიწყო რამდენიმე ეტაპად.

პირველი კვლევები, რომლებიც მიეძღვნა ტელევიზიის გავლენას ადამიანის ძალადობრივ ქმედებებზე, ჩატარდა ამერიკის შეერთებულ შტატებში ა. ბანდურას და მისი კოლეგების მიერ. მათ მიერ წარმოდგენილი იყო მოკლე მეტრაჟული ტიპის ვიდეო-ჩანაწერები, სადაც წარმოდგენილი იყო, თუ როგორ ძალადობრივად ექცეოდა ზრდასრული ადამიანი რეზინის თოჯინას. აღნიშნულ მოკლე ვიდეოებს ძალადობის შესახებ აყურებინებდნენ ბავშვებს და მოგვიანებით კი ისინი გადაჰყავდათ გვერდითა ოთახში, სადაც საგანგებოდ მათთვის მოწყობილი იყო სათამაშო და გასართობი ოთახი მრავალი სათამაშოთი, რომელთა რიგებშიც იყო ზუსტად იგივე თოჯინა რომელზეც ხორციელდებოდა ძალადობრივი ქმედებები მოკლემეტრაჟიან ვიდეოში. ბავშვებს ტოვებდნენ მარტო ამ გარემოში და შორიდან აკვირდებოდნენ მათს ქცევებს. ექსპერიმენტმა გამოიღო შედეგი და თვალნათლივ ჩანდა, თუ რა ტიპის მიმბაძველურ ძალადობრივ ქცევებს გამოხატავდნენ ბავშვები. გაირკვა, რომ ძალადობის შემცველი ვიდეოს ყურების შემდეგ ბავშვები გამოხატავდნენ ძლიერ აგრესიას კონკრეტულად იმ თოჯინის მიმართ და ცდილობდნენ, მისთვის რაიმე დაეშავებინათ. ამავდროულად კი მეორე ბავშვთა ჯგუფი, რომელსაც ანახეს ასევე მოკლემეტრაჟიანი ვიდეო, რომელიც არ შეიცავდა ძალადობის სცენებს, არ გამოხატავდნენ არანაირი ტიპის აგრესიას, იქცეოდნენ მშვიდად და თავისუფლად თამაშობდნენ (Hazarov, 1999).

ასევე, ძალზედ საინტერესოა მეცნიერების ლიბერტ და ბერონის ცდა, სადაც აჩვენებდნენ რეალურად არსებულ სატელევიზიო გადაცემებს სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლებს – ძირითადად ხუთიდან ექვს და რვიდან ცხრა წლამდე ბავშვებს. პირველ მცირე ასაკის ჯგუფს სამწუთნახევრის განმავლობაში აჩვენებდნენ ნაწყვეტს ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალიან პოპულარული ტელესერიალიდან, რომელიც დეტექტიური ჟანრის იყო და უხვად შეიცავდა სხვადასხვა სახის ძალადობის სცენებს.

მეორე ჯგუფიც იმავე დროის განმავლობაში უყურებდა სატელევიზიო გადაცემას, ოღონდ ამჯერად სპორტული ტიპის გადაცემის მონაკვეთს. ორივე გადაცემის მოკლე მონაკვეთმა ერთნაირად დააინტერესა ბავშვები და ორივე მათგანს ერთნაირი ინტერესით უყურებდნენ და ემოციური აღზნებადობაც ერთ ფონზე იყო ორივე ვიდეოს ყურების დროს. სატელევიზიო გადაცემების ყურების შემდეგ ბავშვი შედიოდა სხვა ოთახში, სადაც იღო სხვადასხვა ნივთი, რითაც შეეძლო როგორც ეთამაშა, ასევე მათი დახმარებით ჩაედინა ძალადობა, ეს მხოლოდ მასზე იყო დამოკიდებული. ცდის მონაწილე ბავშვები, რომლებიც უყურებდნენ ფილმს, სადაც ძალადობრივი შინაარსის სცენები უხვად იყო, ისინი საგრძნობლად უფრო მეტად გამოხატავდნენ აგრესიას და ცდილობდნენ დაერტყათ და დაეზიანებინათ მათი წარმოსახვითი მსხვერპლისთვის, ხოლო მეორე ჯგუფის ბავშვები, რომლებიც უყურებდნენ სპორტულ გადაცემას, საგრძნობლად მცირე აგრესიას გამოხატავდნენ პირველ ჯგუფთან შედარებით. ზუსტად ამდგვარი შედეგები დაიდო მომავალ ცდებში მონაწილე ბავშვებშიც, მათი სხვადასხვა ასაკის და სქესის მიუხედავად. ამ ცდებზე დაყრდნობით ცალმხრივად დადგინდა, რომ თუნდაც

ასეთი მოკლე მონაკვეთის ყურება ძალადობის შემცველი სცენებით საგრძნობლად დიდ აგრესიას იწვევდა ბავშვების ქცევებში (Берон, Ричардсон, 2000).

ბავშვის ცნობიერებაში ილექება და ინახება ინფორმაცია აგრესიის შესახებ, თუ როგორ მოქმედებენ სატელევიზიო გადაცემის გმირები მათ შორის საქმის „მოგვარებისას“ და როგორ ჭრიდნენ ამა თუ იმ პრობლემას აგრესიისა და ძალადობის მეშვეობით. ბავშვი ამ შემთხვევაში საკუთარ თავს აიგივებს სატელევიზიო პერსონაჟებთან და იხსენებს რა ტიპის ძალადობას მიმართავდნენ პერსონაჟები კონკრეტული საკითხის თავის სასიკეთოდ გადაჭრისათვის და, შესაბამისად, ვიღებთ ბავშვის მხრიდან სარკისებურ მეთოდს. რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, საბავშვო ფილმები შეიცავენ დიდი რაოდენობით აგრესიას. გამოკვლევების მიხედვით, სწორედ მულტიპლიკაციურ ფილმებში გვხვდება ყველაზე მეტი აგრესიული და ძალადობრივი სცენები, სადაც მულტიპლიკაციის ერთ საათიან მონაკვეთში საშუალოდ 18 ძალადობრივი მოქმედება ხდება (Арнсон, 1999). სწორედ ამიტომ მულტფილმები კიდევ უფრო მეტად საშიში ხდება ბავშვთა ფსიქიკისათვის.

აგრესიის სცენები ასევე, შესაძლებელია, შეხვდეს არასრულწლოვანს სატელევიზიო რეკლამებშიც, თუმცა მცირე რაოდენობით, სხვა სატელევიზიო გადაცემებთან შედარებით. ხშირად სატელევიზიო რეკლამა, შეიძლება ითქვას, დაფუძნებულია აგრესიული სცენების დემონსტრაციაზე, განსაკუთრებით ეს გამოიხატება მხატვრული ფილმების რეკლამებში. ამდგვარი ფილმების რეკლამებში ხშირად უშვებენ გასაქირავებელი ფილმიდან ამოჭრილ და შემდგომ ერთ კოლაჟად დამონტაჟებულ ყველაზე ძალადობრივ კადრებს, რათა მოიზიდონ უფრო ფართო აუდიტორია.

შეჯამების სახით შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ მასმედია სერიოზულ გავლენას ახდენს აგრესიის ჩამოყალიბებაზე და განსაკუთრებით ამ საქმეში დიდ როლს თამაშობს ტელევიზია, რომელსაც ყველაზე მეტი ბერკეტი აქვს, რომ მოახდინოს ნეგატიური გავლენა არასრულწლოვანში აგრესიის ჩამოყალიბებაზე, რამაც საბოლოოდ შესაძლოა პიროვნება მიიყვანოს აგრესიულ ქმედებასთან.

3.1 არასრულწლოვანთა მიმართ მასმედიის ნეგატიური ზეგავლენის თავიდან აცილების ღონისძიებები (საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე)

არასრულწლოვნებზე მასმედიის ნეგატიური გავლენის შესახებ სწორედ დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები დაფიქრდნენ, დაიწყეს ამ საკითხის ანალიზი და სხვადასხვა ტიპის კვლევისა და ცდების ჩატარება. ამ საკითხის კვლევაში პირველი დასავლეთის ქვეყნებს შორის აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატები, შემდეგ მას მიჰყვა დიდი ბრიტანეთი, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა, საფრანგეთი და იტალია. სწორედ ამ ქვეყნების მაგალითები იქნება მოცემული, თუ რა მეთოდებით, როგორ და რა ბერკეტებს იყენებს სახელმწიფო, რომ დაიცვას მისი არასრულწლოვანი მოქალაქე მასმედიის ნეგატიური გავლენისგან.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მეოცე საუკუნის სამოციანი წლების დასაწყისში არსებობდა საკმაოდ ხისტი ცენზურა იგივე „ჰეისის კოდექსი“, რომელშიც ისიც კი იყო გაწერილი ფილმში რამდენი ხანი უნდა გაგრძელებულიყო კოცნის სცენა.

ხისტი ცენზურის დასასრული ამერიკის შეერთებულ შტატებში მასმედიის როლის აღმასვლით დაიწყო. სატელევიზიო კორპორაციების შემოსავლისა და მაყურებელთა რიცხვის პირდაპირპროპორციულმა ზრდამ გამოიღო ის შედეგი, რომ სატელევიზიო გადაცემები და ფილმები სულ უფრო მეტ შოკისმომგვრელ ინფორმაციას და სექსუალური ხასიათის სცენებს გადმოსცემდნენ ტელეეკრანებიდან, ხოლო კანონები ცენზურის შესახებ კი მოგვიანებით გააუქმეს. ცენზურის კანონების გაუქმებასთან და მასმედიის როლის გაზრდასთან ერთად, ამერიკის შეერთებულ შტატებში იმატა დანაშაულის ზრდამაც, კერძოდ, გაიზარდა ქურდობების, ყაჩაღობების და წინასწარ განზრახული მკვლელობების რიცხვი (Лунеев, 1997). ამ ძალადობის აღზევებაში არასრულწლოვნებიც იღებდნენ მონაწილეობას და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები პირდაპირი მიმბაძველობით გამოირჩეოდა. ანუ არასრულწლოვნები სჩადიოდნენ ზუსტად ისეთივე დანაშაულს როგორც ამას აკეთებდნენ სხვადასხვა ფილმის და სერიალის გმირები. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ფილმი „ბონი და კლაიდი“, რომელიც დახუნძლული იყო აგრესიული და ძალადობრივი არაკანონიერი ქმედების ჩადენის სცენებით. ამ ფილმმა აშშ-ში დიდი ემოციური ფონის აღძვრა მოახერხა და ძალზედ პოპულარული გახდა. ფილმის გამოსვლის შემდეგ კი აშშ-ში გაიზარდა ბანკების და სხვა ეკონომიკური საქმით დაკავებული ორგანიზაციების ძარცვა და, პოლიციის განცხადებით, ხალხი პირდაპირი მიმბაძველობით, ფილმი „ბონი და კლაიდის“ სცენარის მიხედვით ჩადიოდა იმავე ტიპის ძალადობებს და სამართალდარღვევებს, როგორც ფილმში იყო ნაჩვენები (Maxov, 1972). ამ და სხვა მრავალმა მაგალითებმა აშშ-ის საზოგადოება და ხელმძღვანელობა დააფიქრა და 1961 წელს შეიქმნა განსაკუთრებული კომიტეტი არასრულწლოვანთა მხრიდან არაკანონიერი ქმედებების ჩადენის შესწავლის შესახებ, რომელშიც შედიოდნენ ფედერალური საგამოძიებო ბიუროს (FBI) დირექტორი, განათლების მინისტრი, ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური პროკურორი და სხვა მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეები. სწორედ ამ კომიტეტის დამსახურებაა, რომ შეიქმნა აშშ-ის საპარლამენტო კომისია, რომელიც შეისწავლიდა ტელე-მედიის გავლენას ბავშვებსა და მოზარდებზე. საპარლამენტო კომისიის მიერ აღნიშნული საკითხის შემდეგ კომისია მივიდა დასკვნამდე რომ: „აშშ-ის ტელევიზიები გადათვირთულია ძალადობრივი და აგრესიული ქმედებების ჩვენებით. სატელევიზიო გადაცემები საზოგადოებას, განსაკუთრებით ბავშვებს და მოზარდებს თავს ახვევს ისეთ მორალურ და სოციალურ ღირებულებებს, რომელიც მიუღებელია და იგმოზა ცივილიზებულ საზოგადოებებში“ (Maxov, 1972, 105)

ამერიკის შეერთებული შტატების ფსიქოლოგიური ასოციაციის მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, აშშ-ის არასრულწლოვანი მოქალაქე დაწყებითი სკოლიდან მოყოლებული მთელი სასწავლო წლების განმავლობაში საშუალოდ 8000 მკვლელობას და 100.000 ძალადობის აქტს ხედავს. (Maxov, 1972, 105)

ასეთი ციფრების გამოქვეყნების შემდეგ აშშ-ში შეიქმნა მთელი რიგი ორგანიზაციები, რომლებმაც დაიწყეს კიდევ უფრო ღრმად მასმედიის გავლენის შესწავლა საზოგადოებაზე, თუმცა ასეთი ტიპის ორგანიზაციების არსებობამ დიდი შედეგი ვერ გამოიღო, რადგან ისინი ძირითადად ზოგადი ხასიათის ფორმას ატ-

არებდნენ და მოუწოდებდნენ ხელისუფლებას შეემცირებინათ ძალადობრივი სცენები მასმედიებში. აშშ-ის კანონმდებლების მხრიდან არ ყოფილა მიღებული არანაირი ტიპის კანონი ან აღკვეთის ღონისძიება, რომელიც შეამცირებდა მასმედიაში და განსაკუთრებით ტელევიზიაში ძალადობრივი სცენების ჩვენებას. იმ მიზეზით, რომ აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება ითვალისწინებს სიტყვის თავისუფლებას, ამ კონსტიტუციური შესწორების გამო ხელისუფლება არ და ვერ ერევა მასმედიის საქმიანობაში. აშშ-ის ხელისუფლების მიერ მიღებული სხვა ყველა ღონისძიება ამ თემასთან დაკავშირებით შეგვიძლია დავახასიათოთ, როგორც პროფილაქტიკური, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი ებრძვიან დაავადების სიმპტომებს და არა თავად დაავადებას.

ისევე როგორც აშშ-ში, ასევე დიდ ბრიტანეთში მასმედიის უკონტროლო განვითარებამ მთელი რიგი პრობლემები გამოიწვია სახელმწიფოში. ბრიტანული მონაცემებით, მეოცე საუკუნის 70-იან წლებში ბრიტანული ტელევიზიის მაუწყებლობის ორი მესამედი გადატვირთული იყო ძალადობრივი, არაკანონიერი ქმედებების ჩვენებით, როგორიცაა: სისხლიანი მკვლევლობები, ძარცვა, ჩხუბები და სხვა (Леоненко, 1976). ამ პრობლემის გააზრების შემდეგ შეიქმნა მთელი რიგი როგორც სახელმწიფო, ისე დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომელთაც აქტიურად დაიწყეს აღნიშნული პრობლემის დეტალური შესწავლა და მასთან ბრძოლა. საზოგადოების მხრიდან ძლიერი წნეხის პირობებში ტელევიზიებმა დაიწყეს თავიანთ საეთერო ბადეებში ძალადობრივი სცენების შემცირება. ბრიტანეთის სამაუწყებლო კორპორაციამ (BBC) 1987 წელს გააუქმა მთელი რიგი ამერიკული ფილმების ჩვენება მათში გადაჭარბებული და მრავალრიცხოვანი ძალადობრივი ქმედებების გამო (Федякин, 1980). დიდმა ბრიტანეთმა კი დაიწყო როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ტელევიზიების მუდმივი მონიტორინგი. 1990 წლის კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ მოითხოვს ტელევიზიებისგან, რომ მათ საეთერო ბადეში არ გავიდეს ისეთი სცენები, რომელთაც შეუძლიათ, მოახდინონ პიროვნების პროვოცირება ან უზიძგონ მას სამართალდარღვევის ჩადენისკენ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების გრძნობების შელახვა, მასობრივი მღელვარებები და დაარღვიოს საერთო კეთილდღეობა. ასევე, შექმნილია საგანგებო კომისია, რომელიც შეისწავლის სატელევიზიო გადაცემების შინაარსს და ადგენს, რამდენად მისაღებია ესა თუ ის პროგრამა ეროვნულ ტელევიზიაში. კომისიის გადამწყვეტილებით, ისეთი შინაარსის გადაცემები, რომლებიც მიუღებელია საზოგადოებრივი მასმედიისთვის და შესაძლოა მოახდინოს გავლენა არასრულწლოვნებზე, შესაძლებელია, გავიდეს ეთერში მხოლოდ 21:00 საათის შემდეგ. სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კანონის დარღვევამ შესაძლოა გამოიღოს, როგორც მსუბუქი, ასევე სერიოზული და მძიმე შედეგები ყველა იმ კომპანიისთვის ვინც არ ემორჩილება კანონს. დაუმორჩილებლობის შედეგები კი შესაძლოა იყოს შემდეგი: სახელმწიფოსგან ოფიციალური გაფრთხილების წერილი, საზოგადოებრივი ბოდიშის მოხდა, მაუწყებლობის ლიცენზიის ჩამორთმევა დროებით ან სამუდამოდ, გააჩნია დანაშაულის სიმძიმეს და დიდი ოდენობის ჯარიმები (Ефимовой, 1999).

შეჯამების სახით უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები-

სგან განსხვავებით, მასმედიის ზეგავლენის შესამცირებლად დიდმა ბრიტანეთმა მიიღო საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი ტიპის კონტრზომები, რომლებმაც საგრძნობლად შეამცირეს მასმედიის მოქმედების თავისუფლება.

საფრანგეთში ინფორმაციულ უსაფრთხოებას და მასმედიის გავლენის მონიტორინგს ახორციელებს „აუდიოვიზუალური უმაღლეს მრჩეველთა საბჭო“, რომელიც არის ლიცენზიების გამცემი და მაუწყებლობის მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანო.

კანონი „მასმედიის მფლობელობის შესახებ: მკაცრად მოითხოვს, რომ დაცული იყოს ბავშვებისა და მოზარდების გრძნობები ეთერში გასულ გადაცემებში. 1989 წელს აღნიშნულ კანონზე დაყრდნობით, გამოიცა ბრძანება, რომელიც ავალდებულებს როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ტელევიზიებს, რომ მათ ეთერებში 22 საათისა და 30 წუთამდე არ გავიდეს არანაირი ეროტიული ან ძალადობის შემცველი სცენები არცერთ გადაცემაში. ხოლო 20 საათსა და 30 წუთამდე ასევე აკრძალულია მსგავსი ტიპის გადაცემების რეკლამირებაც.

საინტერესოა ასევე ის ფაქტი, რომ საფრანგეთი შედის იმ მცირერიცხოვანი ქვეყნების სიაში, სადაც ძალადობრივი სცენების ჩვენება რიგ შემთხვევაში ისჯება სისხლის სამართლის კანონებით. და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საფრანგეთში მასმედიის ნეგატიურ გავლენას საზოგადოებაზე დიდი ყურადღება ეთმობა. ისევე როგორც დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთშიც მასმედიის ნეგატიური ზეგავლენის შესამცირებლად გამოიყენება საზოგადოებრივი, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლებრივი კონტრზომები, თუმცა ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტსაც, რომ სისხლის სამართლებრივი ზომები პრაქტიკაში ფაქტობრივად არ გამოიყენება.

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის 1949 წელს მიღებული კანონი უშვებს, რომ სიტყვის, ინფორმაციის და ბეჭდვის თავისუფლება „შესაძლებელია იყოს შეზღუდული ახალგაზრდებზე ზრუნვის მოტივით“. გერმანიაში არსებული კანონების მიხედვით, ის ტელეკომპანიები, რომლებიც არღვევენ ბავშვებისა და მოზარდების „კეთილდღეობას“, მოხსნილი იქნებიან საეთერო მაუწყებლობებიდან იქამდე, სანამ თავად ტელეკომპანიები არ უზრუნველყოფენ არასრულწლოვნებისთვის აკრძალული შინაარსის მქონე გადაცემებზე ხელმიუწვდომლობას (Ефимовой, 1999). დღეს ტელევიზია ყველაზე პოპულარული მასმედიური საშუალებაა, თუმცა მას უკან მოსდევს და რამდენიმე ათეულ წელიწადში პოპულარობაში დიდი ალბათობით გადაასწრებს ინტერნეტ გადაცემები, რომლებსაც სოციალურ მედიას – „ახალ მედიას“ უწოდებენ. სწორედ ამის გამო გერმანია მასმედიის ნეგატიური გავლენების შესამცირებლად კიდევ უფრო წინ წავიდა სხვა ქვეყნებთან შედარებით და შორსმჭვრეტელურად 2017 წელს მიიღო კანონი სოციალური მედიის შესახებ. ახალი კანონის მიზანია: ა) ძალადობრივი მასალების გავრცელების აღმოფხვრა; ბ) სიძულვილის ენის შემცირება და გ) სხვადასხვა სახის აუკრძალავი ქმედების კანონიერი აკრძალვა.

დასახელებული კანონი ეხება სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციის საკითხებს, საიდანაც, უპირველს ყოვლისა, გამოსაყოფია პასუხისმგე-

ბლობის მოწესრიგება: ერთი მხრივ, სოციალური ქსელის, ხოლო, მეორე მხრივ, ინფორმაციის გამავრცელებლის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით გათვალისწინებულია როგორც სოციალური მედიასაშუალების, ისე შესაბამისი საჯარო დაწესებულების (ადმინისტრაციული ორგანოს) მხრიდან მოქმედების აუცილებლობა. ამ თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ კანონი ეხება ერთგვარ თანაპასუხისმგებლობის საკითხს (ჯორბენაძე, 2019). საერთო ჯამში,

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საზოგადოებაზე მასმედიის მხრიდან ნეგატიურ გავლენას გერმანიის ფედერალური რესპუბლიკა ებრძვის მისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი რეგულირებით.

გარდა ქვეყნების გამოცდილებისა, ყურადღება ასევე, უნდა გავამახვილოთ საერთაშორისო სამართალზეც, რომელიც რიგ შემთხვევებში უშვებს მასმედიის უფლებების შემცირებას ბავშვებისა და მოზარდების მასმედიის ნეგატიური გავლენისგან დაცვის ეგიდით.

1950 წლის 4 ნოემბერს მიღებული საერთაშორისო კონვენციის „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ მეათე მუხლის გამოხატვის თავისუფლების მეორე ქვეპუნქტის მიხედვით „სიტყვის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს კანონით დადგენილ ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი უნესრიგობის თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა უფლებების ან ღირსების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად“ (ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია).

1988 წელს ასევე იქნა მიღებული დირექტივა ევროპული საზოგადოების მხრიდან, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია სხვა ქვეყნიდან ტრანსლირებული პროგრამის ეთერიდან ჩახსნა, თუკი ეს პროგრამა შეიცავს ძალადობრივ სცენებს, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს დიდი ფსიქოლოგიური ტრავმული გავლენა არასრულწლოვნის ფსიქიკაში და ხელი შეუშალოს მის კანონმორჩილ პიროვნებად ჩამოყალიბებაში (Ефимовой, 1999). მედიის ნეგატიური გავლენის პრობლემა არაერთხელ იქნა განხილული ასევე გაეროს და იუნესკოს მხრიდანაც. ამ პრობლემის გაანალიზებამ კი 1997 წელს იუნესკო მიიყვანა იმ შედეგამდე, რომ ჩამოყალიბებულ იქნა ევროპის საერთაშორისო კომისია, რომელიც შეისწავლის მასმედიის მხრიდან ძალადობრივი სახის სცენების გავლენას არასრულწლოვნებზე.

შეჯამების სახით, შეიძლება დავასკვნათ, რომ განვითარებულ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში გათვითცნობიერებულნი არიან არასრულწლოვნებზე მასმედიის ნეგატიური გავლენის შესახებ. მათი ძირითადი კონტროლოები ამ პრობლემასთან ჭიდილში არის საზოგადოებრივი, ადმინისტრაციულ სამართლებრივი და სისხლის სამართლებრივი ბერკეტები, საიდანაც ყველაზე მეტად ეფექტური და გამოყენებადი არის საზოგადოებრივი და ადმინისტრაციულ სამართლებრივი ბერკეტები, ხოლო სისხლის სამართლებრივი სახის ღონისძიე-

ბები, ქვეყნების გამოცდილებებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ მუშაობს ამ პრობლემასთან მიმართებით. გარდა ამისა, თუკი დარღვეული იქნება მასმედიის მიერ ქვეყნის კანონი მაუწყებლობის შესახებ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ღონისძიებები ბევრად უფრო მალე და ეფექტურად დასჯის კანონდამრღვევ მასმედიის საშუალებებს.

3.2. მასმედიის ნეგატიური ზეგავლენის პრევენცია საქართველოში

საქართველოშიც ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში მედიის ნეგატიური გავლენა არასრულწლოვნებზე ძალიან მწვავედ დგას და საზოგადოების მხრიდან მუდმივი განხილვის საგანი გახდა.

არასრულწლოვანთა დაცვა მასმედიის შესაძლო მავნე გავლენისგან, როგორც ზევით იქნა აღნიშნული საერთაშორისო შეთანხმებებით განსაზღვრული ვალდებულებაა, რომელსაც ყველა სახელმწიფო უნდა ასრულებდეს. 2009 წლის 12 მარტს მიღებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ ისე დაინერა, რომ ტელეკომპანიებს საქართველოში მინიმალური შეზღუდვები ჰქონოდათ მცირეწლოვანთა ფსიქიკის დაცვის თავლსაზრისით (ყიფიანი, 2010).

2006 წელს გიგა ბოკერიასა და მემარჯვენეთა ინიციატივით არასრულწლოვანთა მავნე ზემოქმედებისგან დაცვის კანონის დარღვევებისათვის ევროპული ქვეყნების ანალოგიით შემოღებული ჯარიმებიც გააუქმა პარლამენტმა, რაც მასმედიის თავისუფლების დაცვის საბაზით განხორციელდა. საბოლოოდ კი ყოველივე ამან სავალალო სიტუაცია შექმნა ქართულ ტელეეკრანებზე. პრაქტიკულად ყოველდღიურად ტელევიზორზე გადატვირთულია ძალადობის თუ ნარკოტიკების მოხმარების, სექსუალური ურთიერთობის სცენებითა და ბილნსიცევობით (ყიფიანი, 2010). ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ წამების სცენების, სიკვდილით დასჯის და განსაკუთრებით სასტიკი ძალადობის სცენები „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად შეზღუდულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი 15 წამზე უფრო ხანგრძლივია. ამ პრინციპს რომ მივყვეთ, ფილმების უმეტესობა, რომელიც სატელევიზიო ჩვენებისთვის საზღვარგარეთ აკრძალულია არასრულწლოვნებისთვის, საქართველოში შესაძლოა მოზარდთა კატეგორიის ფილმებში გადიოდეს, ამას კი მივყავართ იქამდე, რომ ქართული ტელევიზია ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე აჩვენებს ძალადობრივი სცენებით გადატვირთულ სერიالებსა თუ ფილმებს.

ამასთან ერთად, „მაუწყებლობის ქცევის კოდექსი“ ისეა დაწერილი, რომ კანონს ზედმინევით თუ არ იცნობთ, ძალადობისა თუ უზნეობის ამ ნაკადს ვერც გააპროტესტებთ, რადგან ტელეკომპანია საჩივარს უკან მოგიბრუნებთ. ხოლო თუ გააპროტესტებთ თვე-ნახევარი მაინც უნდა ელოდოთ პასუხს, ამ დროის განმავლობაში კი გასაჩივრებული გადაცემის არაერთხელ გამეორება ხდება საეთერო ბადეში (ყიფიანი, 2010).

ტელეკომპანია, კომუნიკაციების კომისიამ ან სასამართლომ კიდევაც რომ დაადანაშაულოს დარღვევაში, აღარ არსებობს ჯარიმები და სხვადასხვა ტიპის სანქციები, რომლებიც ამ ტელეკომპანიას შემდგომი დარღვევებისგან თავს შეაკავებინებდა. ამ ქართული რეალობის პარალელურად კი გავისხენოთ ზემოთ

ჩამოთვლილი ევროპული ქვეყნების გამოცდილება და მათი მძიმე ჯარიმები და სანქციები იმ მასმედიის იმ წარმომადგენლების მიმართ, რომელთაც დაარღვიეს სამაუწყებლო კანონები.

ქართული კანონმდებლობა კი ისე შეცვალა თავისუფლების ინსტიტუტმა, რომ ის, რაც სხვა ქვეყნებში აკრძალულია, შესაძლოა თავისუფალ წევრებაში ნახონ ქართული მასმედიის მომხმარებლებმა და ამასთან ერთად, სამწუხაროდ, დღეს საქართველოში არცერთი ტელეკომპანია არ აწვდის მაყურებელს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა შეიძლება იყოს მავნებელი არასრულწლოვნებისთვის. ევროპის ქვეყნებში, სადაც ნამდვილად მოქმედებს კანონი და სახელმწიფოს მხრიდან ხდება მონიტორინგი და მშობელს შეუძლია თავისუფლად დატოვოს ბავშვი დღის საათებში ტელეეკრანთან იმ მიზეზით, რომ ეს პერიოდი ტელევიზიაში განკუთვნილია საოჯახო გადაცემებისთვის, ამ დროს საქართველოში ზრდასრული მაყურებლისთვის განკუთვნილი გადაცემის წყალგამყოფი 20 საათზე იქნა გადმოტანილი, როდესაც ევროპის განვითარებულ ქვეყნებში, როგორც ზევით იქნა აღნიშნული, 22:30 ან 23:00 საათიდან იწყება. ასევე, ძალზე საფრთხილო და საშიშია ის ფაქტიც, რომ თვითმკვლელობის ფაქტების გაშუქებისას ახალ ამბებში ქართული ტელეკომპანიები არცერთ დეტალს არ ტოვებენ თვითმკვლელთა წერილების ჩათვლით და ეს სწორედ მაშინ, როდესაც კვლევები აჩვენებენ, რომ ამ ფაქტის არასწორ გაშუქებას შეიძლება თვითმკვლელობების შემთხვევათა მთელი კასკადი მოჰყვეს, მით უმეტეს არასრულწლოვნებში, რომელთა ფსიქიკა ძალზე სენსიტიურია და ჯერ კიდევ არ აქვს ფორმირება დამთავრებული.

დღის საათებში, გარდა ძალადობრივი სცენების შემცველი სერიალებისა და კინოებისა, ქართული მასმედიამ ასევე, დიდი რაოდენობით გადაიციმა დანაშაულებრივი საკითხების გაშუქებას, სადაც იკვეთება შემდეგი ტენდენცია: საინფორმაციო გამოშვებებში დიდი ადგილი ეთმობა დანაშაულებრივი ისტორიების გაშუქებას, არის ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის ფაქტებიც. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ ჟურნალისტები ხშირად გვიყვებიან ადამიანების დაკავებისა და მათ მიერ სხვადასხვა დანაშაულების ჩადენის შესახებ, არღვევენ მათი უდანაშაულობის პრეზუმციას, თუმცა ამ ადამიანების მიმართ ჯერ კიდევ არ დანერგულა გამოძიება. ასევე, პირდაპირ გადაიციმა პოლიციის მიერ მიწოდებული კადრები და ფაქტობრივად არ არსებობს შემთხვევა, როდესაც უდანაშაულოდ დაკავებული პირის გამართლების ფაქტი ამცნეს საზოგადოებას (ჩაფიძე, 2011).

ჟურნალისტ ელისო ჩაფიძის მიერ ჩატარებული კვლევა, რომელიც მოიცავდა 5 ტელეკომპანიის მთავარი საინფორმაციო გამოშვებების ერთი თვის განმავლობაში მონიტორინგს, ნათლად გვანახებს, თუ რაოდენ დიდი ნეგატიური გავლენა შეიძლება მოახდინოს, გარდა ძალადობრივი ფილმებისა და სერიალებისა, ქართული საინფორმაციო გადაცემებიდან კრიმინალური ისტორიების ფაქტობრივად უწყვეტმა ნაკადმა არასრულწლოვნის ფსიქიკაზე, აგრესიის შექენასა და სამართალდამცავი ორგანოების მიმართ უნდობლობის ჩამოყალიბებაში.

1 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით საზოგადოებრივ მაუწყებელზე გავიდა 62 სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ ჩადენილ დანაშაულს. ამავე პერიოდში ტელევიზია კავკასიაზე გავიდა

13 სიუჟეტი დანაშაულებრივ ისტორიებთან დაკავშირებით. ტელეკომპანია მაესტროზე 25 ამდაგვარი სიუჟეტი გადაიკა, ხოლო ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე კი 38 სიუჟეტი (ჩაფიძე, 2011).

როგორც ჩანს, საქართველოში ტელევიზია ნაყოფიერ საფუძველს უქმნის ძალადობის პროპაგანდას არასრულწლოვნებში. ხელისუფლებამ, კი დიდი ხანია უარი თქვა მაუწყებლობების რეგულირებაზე და კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას გადაულოცა ეს ფუნქცია. კომისია, ნესით, დამოუკიდებელი უნდა იყოს და საზოგადოებისა და ბიზნესის ინტერესებს აბალანსებდეს. ხოლო თუ რა პრიორიტეტებით ხელმძღვანელობს კომისია, ზემოთ მოყვანილი მაგალითებით შეგვიძლია ვიმსჯელოთ (ყიფიანი, 2010).

როგორც ვხედავთ, საქართველოში არასრულწლოვნების მასმედიის ნეგატიური გავლენებისგან დასაცავად არის მეტნაკლებად რალა ციპის მექანიზმები, თუნდაც 2009 წელს მიღებული „მაუწყებლობის ქცევის კოდექსი“, რომელიც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ თავიდან გადასახედია და საჭიროა მასში ცვლილებების შეტანა და ასევე მისი დახვეწა. იმისათვის, რომ მასმედიის ნეგატიური ზეგავლენის პრევენცია მოხდეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ჯარიმებისა და სხვა სანქციების თავიდან შემოღება და მასმედიის წარმომადგენლების დაჯარიმება და სხვა სახით დასაწესიერება, რათა მასმედიურ საშუალებებს აღარ ჰქონდეთ ცდუნება კანონის დარღვევისა. აუცილებელია, რომ თავად სახელმწიფომ მოახდინოს მასმედიის საშუალებების კონტროლი და სრული მონიტორინგი, ან მოხდეს ისეთი საგანგებო სამონიტორინგო ჯგუფის შექმნა, სადაც გაერთიანებულნი იქნებიან სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები (სოციოლოგები, ჟურნალისტები, იურისტები, ფსიქოლოგები, მასმედიის ექსპერტები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად) და გამოქვეყნდეს ანგარიშები მასმედიების მუშაობის თაობაზე მინიმუმ წელიწადში ერთხელ ან მაქსიმუმ წელიწადში ორჯერ. ძალზე საჭიროა, ასევე, ჟურნალისტების იურიდიული განათლების ამალღება და განსაკუთრებით კი მათი, ვინც კრიმინალური საქმეების გაშუქებაზეა ორიენტირებული. ასევე, მასმედიის ნეგატიური გავლენიდან თავის დაცვაში დაეხმარება ქართული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი არხის შექმნაც, სადაც იქნება სხვადასხვა საკითხზე ორიენტირებული გადაცემები, სერიალები, რომლებიც დაეხმარებიან არასრულწლოვნებს ცივილიზებულ საზოგადოებაში სწორ და არაძალადობრივ ინტეგრაციაში. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, სახელმწიფოს მხრიდან კანონის აღსრულების მონიტორინგი, თუ როგორ იცავს კანონს მასმედიური საშუალება და კანონის დარღვევის შემთხვევაში მოხდეს მისი კანონის შესაბამისად დასჯა. და ბოლოს, ბრიტანეთის მაგალითზეც შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასმედიის მოთოკვა საზოგადოებრივი ჩართულობის ხარისხზეცაა დამოკიდებული. აქ მხოლოდ სახელმწიფო და კანონი საზოგადოებრივი ჩართულობის გარეშე ბევრს და სასიკეთო შედეგს ვერ მოიტანს და ვერ დაიცავს არასრულწლოვნებს ქართული მასმედიის ნეგატიური გავლენისგან.

დასკვნა

თანამედროვე სამყაროში ინფორმაციის გაცვლის საშუალებებისა და გრაფიკული გამოსახულებების გადმოცემის ტექნოლოგიურმა განვითარებამ მოიტანა მასმედიის განვითარება, რასაც დადებით შედეგთან ერთად მოჰყვა არასრულწლოვნებზე მასმედიის მიერ ნეგატიური გავლენებიც. დღეს მასმედიას ოჯახის შემდეგ ფაქტობრივად ყველაზე დიდი და ძლიერი გავლენა აქვს არასრულწლოვანის ჩვევების, ქცევების და მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. უმეტეს შემთხვევაში სწორედ მასმედია აყალიბებს მომავალ თაობებში მორალურ-სამართლებრივ საკითხებს, აწვდის ინფორმაციას სამართალდამცავი ორგანოების მუშაობის, კანონების, კრიმინალური ინფორმაციების და სხვადასხვა საზოგადოებრივი ნორმების შესახებ.

არასრულწლოვნებზე მასმედიის ნეგატიურმა გავლენამ შესაძლებელია მიგვიყვანოს არასრულწლოვანში გაუკუღმართებული მორალურ-სამართლებრივ ღირებულებებამდე, კერძოდ, მოზარდებში ჩამოაყალიბოს შეხედულება, რომ ნორმალური ან დასაშვებია კანონსაწინააღმდეგო ან კრიმინალური ქცევების ჩადენა და ის შეიძლება ამ უსიამოვნებიდან მშრალი და დაუსჯელი გამოვიდეს, არ აგოს პასუხი საზოგადოებისა და კანონის წინაშე. მასმედიას ასევე შეუძლია ჩამოუყალიბოს მოზარდს აგრესიული ქცევები და აგრესიული მიდრეკილებები, რაც საბოლოოდ მოზარდს მიიყვანს გარშემო მყოფი საზოგადოების წევრების ან სხვისი საკუთრებების მიმართ ფიზიკურ ძალადობამდე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნებზე მასმედიის მხრიდან ნეგატიური გავლენები ერთგვაროვანი არ არის. მაგალითად ბექდურ მედიასა და რადიოს არ აქვს დიდი ნეგატიური გავლენა მოზარდებზე ტელევიზიისგან განსხვავებით, ტელევიზია კი უშუალოდ პირდაპირ ახდენს ნეგატიურ გავლენებს სხვადასხვა სახის გადაცემებით, დანაშაულებრივი თემატიკის სიახლეებით, რეკლამითა და მხატვრული ფილმების საშუალებით.

მასმედიის პრობლემურობის შეცნობამ და ამ საკითხის ანალიზმა მსოფლიოში მრავალი განვითარებული ქვეყანა მიიყვანა იქამდე, რომ საჭირო გახდა მთელი რიგი კონტროლების და ბერკეტების შემუშავება მასმედიისგან არასრულწლოვანთა დასაცავად. მიღებული კონტროლები იყოფა სამ ჯგუფად: ა) საზოგადოებრივი, ბ) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, გ) სისხლის-სამართლებრივი, საიდანაც თუკი გადავხედავთ ამ ქვეყნების გამოცდილებებს, ყველაზე ნაკლებად მომუშავე სისხლის სამართლებრივი, ხოლო ყველაზე ეფექტური კი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი და საზოგადოებრივი კონტროლები აღმოჩნდა. საქართველოში ასეთი მიმდინამე შედეგები არასრულწლოვნებზე მასმედიისგან ნეგატიური გავლენების მხრივ გამოწვეულია ეროვნული კანონმდებლობის არასრულყოფილებით. აღნიშნული კანონმდებლობის ანალიზის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ნორმატიულ სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ სატელევიზიო მაუწყებლობას, ვერ უზრუნველყოფს სახელმწიფოს მხრიდან თავისი ვალდებულებების შესრულებას არასრულწლოვნებში ნეგატიური გავლენების თავიდან აცილების კონტექსტში. ასევე ნეგატიურ გავლენების გავრცელებას მოზარდებში ხელს უწყობს ინტერნეტისა და ახალი მედიის შესახებ კანონის არარსებობაც.

ამ მძიმე სიტუაციიდან გამოსავალი კი კანონის სრულყოფაში, მისი ევროპულ სტანდარტებთან მოყვანაში, საზოგადოებრივი ჩართულობის ხარისხსა და მასმედიის საქმიანობის მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სისტემის სწორ მართვაში ჩანს.

გამოყენებული ლიტერატურა

კახიძე, უ. (2018). *მასმედია როგორც სოციალური ინსტიტუტი*, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტი, სამაგისტრო ნაშრომი

მაუწყებელთა ქცევის კოდექსი <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208370?publication=0>.

მედიის გამოყენებისა და აუდიტორიის მიერ აღქმის შესახებ კვლევა – https://epim.trust.org/application/velocity/_newgen/assets/TRFGeorgiaReport_GEORGIAN.pdf. (ბოლო წვდომა, 22.09.2025)

ქართულიშვილი, მ. (2010), *აგრესია როგორც არასრულწლოვანთა დანაშაულის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი აგრესიულ ფონზე ჩადენილ დანაშაულთა პრევენცია*, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყიფიანი, გ. (2010) სტატია უზნეობის და ძალადობის პროპაგანდა ქართული ტელევიზიით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო ინფორმაციის განყოფილების გამგე. <https://kvirispalitra.ge/article/3029-uzneobisa-da-dzaladobis-propaganda-qarthuli-televiziith/>. (ბოლო წვდომა, 22.09.2025)

ჩაფიძე, ე. (2011). სამართლებრივი საკითხების გაშუქება ქართულ მედიაში

ჯორბენაძე, ს. (2019), სოციალური მედიის სამართალი. თბილისი

ჯორბენაძე, ს. (2019). სოციალური მედიის სამართალი. თბილისი

American academy of pediatrics, children, adolescents and media, November 2013.

Aronson, E. (1999) Social animal, Introduction to Social Psychology

Baron Robert A., Richardson Deborah R., (2002). Human Aggression

Javellana Genesis M., (March 2014), Influence of media on body image satisfaction among adolescents, Asia pacific journal of education, arts and sciences, Vol.1 No.1

Luhmann N., (2000). The reality of mass media, No. 4.

Susan Villani M.D., (April 2001). Impact of media on children and adolescents: A 10-years review of the research, Journal of the American academy of child and adolescent psychiatry,

Семёнов В. Е. (2010). Проблемы духовно – нравственного воспитания российской

მოლოეი: სოციოლოგიური ანალიზ // ცარსკოსელსკიე ჩენიე. –№XIV, დროძოვ ა.ი. (2014) «აგრესიური» ტელევიდენიე: სოციალური – პსიქოლოგიური ანალიზ ფენომენა / ა.ი. დროძოვ // სოციოლოგიური ისლეოვანი. №8.

Влияние средств массовой информации на формирование личности детей и подростков, 2015.

Криминология. Учебник / Под ред. Кудрявцева В.Н., проф. Эминова В.Е., М., 1997.

Дерябин, Д. (1999). Истязания как объект криминологического исследования. Лекция.

Джишқариани Т.Д., Кокарев И.С, Влияние Сми на Формирование Личности Подростков Как Педагогическая Проблема.

Назаров, М.М. (1999). Массовая коммуникация в современном мире, методология, анализа и практика исследований.

Махов, Ф.С. (1972) США: молодеж и Преступность.

Леоненко, В.В. (1976). Преступность среди несовершеннолетних и молодежи в капиталистических странах. – Киев,.

Зарубежый опыт защиты детей и подростков в сфере телевидения радиовещания. Материалы парламентских слушаний на тему <<Защита прав детей молодежи и средства массовой информации>> / Подг. Ефимовой И. – М., 1999.

ყოვლადწმიდა სამეხის დოგმატი და ხელისუფლების დანაწილების პრინციპი

შესავალი

თანამედროვე აზროვნებაში ერთ-ერთ ყველაზე მთავარ გამოწვევას პოლიტიკური და სამართლებრივი მოძღვრებების წიაღსვლების შესწავლა წარმოადგენს. ლიბერალური დემოკრატიის არსებობის პირობებში სულ უფრო ხშირი ხდება ისეთი მნიშვნელოვანი იდეოლოგიური დაპირისპირებები, რომლებიც ჰიბრიდული დემოკრატიის მექონე სახელმწიფოების განვითარების მთავარი ხელისშემშლელი გარემოება ხდება ხოლმე. სწორედ ამიტომ, კონსტიტუციური დემოკრატიის პოლიტიკურ ღირებულებებს განსხვავებულად უნდა შევხედოთ (როლზი, 2018). უნდა ითქვას, რომ პოლიტიკურ კონსტრუქტივიზმს გონივრული ყოვლისმომცველი დოქტრინის საყოველთაო კონსენსუსის ბაზისის როლზე აქვს პრეტენზია, თუმცა აღნიშნული ფუნქციის შესრულებაში ეჭვი თავად ჯონ როლზმაც შეიტანა (როლზი, 2018). შესაბამისად, სახელმწიფოებრივ საკითხებზე მსჯელობისას აუცილებელია ისეთი საფუძვლების შესწავლა და გამოკვეთა, რომლის შედეგიც საერთო საზოგადოებრივი კონსენსუსის მიღწევა იქნება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად საუკეთესო გზა საერო და საღვთო კანონების დაახლოებაა, რადგან სამართლებრივი მოძღვრებები ყველაზე მეტ სრულყოფილებას სწორედ მაშინ ჰპოვენ, როდესაც ბუნებითი და პოზიტიური სამართალი ან ურთიერთ თანამშრომლობენ, ანდა ერთმანეთისგან გამომდინარეობენ.

პოლიტიკურ და სამართლებრივ მეცნიერებაში მოიძებნება ისეთი დოქტრინები, რომლებიც გაჯერებულნი არიან წმიდა წერილის ცალკეული დებულებებით. მაგალითად, შეგვიძლია ვისაუბროთ უკიდურეს აუცილებლობაზე, როგორც სახარებისეული ტელეოლოგიური განმარტების ფორმულაზე, რომელიც სწორედ ამ საფუძვლით მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავ გარემოებად გვევლინება (ონიანი, 2011) სწორედ ამ ჭრილში წინამდებარე კვლევაში განხილულია ხელისუფლების დანაწილების ბიბლიური საფუძვლები და მისი მსგავსება ყოვლადწმიდა სამეხის დოგმასთან. ხელისუფლების გამიჯვნას, როგორც ფილოსოფიურ, პოლიტიკურ და, რაც მთავარია, კონსტიტუციურ დოქტრინას ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ამ დოქტრინის ავტორობა ჩვეულებრივ ჯონ ლოკსა და შარლ დე მონტესკიეს მიეწერება. სხვა მეცნიერები უფრო შორს მიდიან დროში და მოიხსენიებენ ანტიკურ ბრძენკაცებს, როგორებიც იყვნენ არისტოტელე, პლატონი, ეპიკურე და პოლიბიუსი (ჭელიძე და ჩარკვიანი, 2013) მონტესკიეს ფილოსოფიაში ხელისუფლება იყოფა საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ტრიადის სახით (Bergman, 1990) წინამდებარე კვლევის ფარგლებში გამოიკვეთა აღნიშნული სახელისუფლებო შტოების შესაძლო იდენტიფიცირება ყოვლადწმიდა სამეხის დოგმატთან, შემდეგნაირად: საკანონმდებლო

როგორც მამა ღმერთი, აღმასრულებელი როგორც ძე ღმერთი, სასამართლო როგორც სულიწმიდა ღმერთი. შესაბამისად, მამა ღმერთი გვევლინება ყოვლადწმიდა სამების მოქმედების მთავარ წყაროდ, როგორც საკანონმდებლო ფუნქციის მქონე სახელისუფლებო შტოდ. ძე ღმერთი ახორციელებს მამის ნებას, რომელიც ძალიან ჰგავს აღმასრულებელი ხელისუფლების უმთავრეს ფუნქციას. რაც შეეხება სულიწმიდა ღმერთს, აღმოსავლურ ფილოსოფიაში ეს უკანასკნელი მჭიდროდ იდენტიფიცირდება სიბრძნესთან, ამიტომაც სწორედ ის ახდენს უფლის ნების განმარტებას დედამიწაზე (Smail, 2005) (Judge made law) გოგიაშვილი, 2020). სულიწმიდის როლზე საუბარია იოანეს სახარებაში²⁰, როგორც სამყაროს ცოდვაში მხილებელის, სწორედ ამიტომ ღვთის სამართლიანობის ნორმების განმარტება და ქრისტეს განაჩენის გამოცხადება შეიძლება სასამართლოს ფუნქციად მივიჩნიოთ. თუმცა, მნიშვნელოვანია ისიც, რომ სული შუამავლობს და აჩვენებს არა მხოლოდ სულის განსჯას, არამედ აცხადებს ქრისტეს განაჩენს (Smail, 2005). აქვე საინტერესოა ისიც, რომ სულიწმიდა არ არის მხოლოდ სასამართლოს როლში გამოსული; სული არის, აგრეთვე, აღმასრულებელი, ღვთის გადარჩენის გეგმის განმახორციელებელი როგორც ეკლესიის წიაღში, ისე მის მიღმა (Smail, 2005).

ყოველივე ამის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევაში შეფასებულია ხელისუფლების დანაწილების ნიშნების წარმოშობის ისტორია, მისი განვითარება და სრულყოფა თანამედროვეობაში. აგრეთვე დეტალურადაა განხილული ყოვლადწმიდა სამების დოგმატი და გამოყოფილია მათი საერთო ნიშნები.

1. ხელისუფლების დანაწილების დოქტრინა და მისი განვითარების ისტორიული საფუძვლები

ხელისუფლების დანაწილების პრინციპი იმდენად გადაჯაჭვულია სახელმწიფოთა განვითარების პროცესთან, რომ მისი ნიშნები ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში შეინიშნება. ამიტომაცაა, რომ განმანათლებლობის ეპოქაში აღნიშნულმა დოქტრინამ მის მაქსიმუმს მიაღწია და ისტორიული გამოცდილება მაქსიმალურად იქნა გათვალისწინებული. სწორედ აღნიშნულ ასპექტში, შესწავლილ უნდა იქნეს ხელისუფლების დანაწილების ისტორიული წიაღსვლები, რათა უკეთ გაჩნდეს შესაძლებლობა ყოვლადწმიდა სამების დოგმატთან მისი შესაბამისობის დადგენისა.

ზემოხსენებული საკითხების შესწავლამდე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას „ძალაუფლებისა“ და „სახელწმიფოს“ დეფინიციებს შორის ურთიერთმიმართების ასპექტებს. ხაზგასასმელია, რომ სახელმწიფო, განმანათლებლობის ეპოქის მოაზროვნეთა მიდგომით სოციალური კონტრაქტის საფუძველზე წარმოიქმნა. ერთი მხრივ სახელმწიფო თავად წარმოადგენდა ძალაუფლების შეზღუდვის უმაღლეს გამოხატულებას, ხოლო მეორე მხრივ იგი თავად იყენებდა ძალაუფლებას მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის. სწორედ ამიტომ, როგორც ჰობსი განმარტავს, სახელმწიფო არის ის „ლეგიტიმური მოძალადე“, რომელსაც ექსკლუზიურად შეუძლია მისთვის მინიჭებული ძალაუფლების განხორციელება. ძალაუფლება დამოუკიდებელი ცნება არ არის. მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელო-

20 იოანეს სახარება 16:8-11;

ბიდან გამომდინარე, ძალაუფლების არსებობისთვის საჭიროა შეთანხმება კონკრეტულ ძალმომრეობაზე უფლების გადანდობასთან დაკავშირებით. სწორედ ამიტომ, ძალაუფლება და სახელმწიფო ერთმანეთის გარეშე ვერ თანაარსებობს. ამ კუთხით, შესაძლოა ითქვას, რომ სახელმწიფო სწორედ ძალაუფლების წყალობით არსებობს. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ლიბერალური დემოკრატია ცალსახად ამბობს, რომ ხელისუფლების ძალაუფლების ერთადერთი ლეგიტიმური წყარო თავად ხალხია. ამ ქრილში სურათი ნათელია, ძალაუფლებას ახორციელებს სახელმწიფო, ხოლო მის გადანდობას წყვეტს ხალხი.

2. ხელისუფლების დანაწილების ნიშნები ანტიკურ ფილოსოფიაში

სახელმწიფოს მოწყობისა და ჩამოყალიბების საკითხებზე მსჯელობა ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში იყო ფილოსოფოსების განხილვის მთავარი საგანი. მართალია, ხელისუფლების დანაწილების თანამედროვე კონცეფცია უცხო იყო ანტიკური პერიოდისთვის, თუმცა ძალაუფლების დაბალანსების აუცილებლობაზე აქტიურად მიმდინარეობდა მსჯელობა.

საინტერესოა, რომ პლატონი ერთ-ერთ უმთავრეს დიალოგში „სახელმწიფო“ ხაზგასმით საუბრობს სახელმწიფოში აუცილებელ მმართველობით ფენებზე (პლატონი, 2020) მისი ფილოსოფიის მიხედვით გამიჯნულია ფენატა უფლებამოსილებები, შემდეგნაირად: ფილოსოფოსები ვალდებული არიან მართონ სახელმწიფო ინსტიტუციები; მინათმოქმედები, ვალდებული არიან სახელმწიფოს დოვლათის შექმნაში; ხოლო მცველები პასუხისმგებელი არიან უსაფრთხოებაზე (პლატონი, 2020). ჩვენი კვლევის მიზნებიდან გამომდინარე პლატონის არსებული კონცეფცია ნაკლებად საინტერესოა, ვინაიდან მასში არ არის საუბარი ძალაუფლების დაბალანსებასა და ძალთა კონტროლის შესახებ. რასაც ვერ ვიტყვით არისტოტელეს ფილოსოფიაზე.

არისტოტელე ჩვენ წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში „პოლიტიკაში“ უთითებდა სახელმწიფოებრივი წყობის სამ ელემენტზე: საკანონმდებლო-სხდომითი ორგანო, მაგისტრატურები და სასამართლო ორგანოები (ჭელიძე და ჩარკვიანი, 2013) მისი განმარტებით, სახელმწიფოს უფლებამოსილების განხორციელებისას უმთავრესია გათვალისწინებული იქნეს ხალხის ნება. სწორედ ამ საწყისიდან ამოდის ხელისუფლების ძალაუფლების დაყოფაზე საუბრისას და მთავარ აქცენტს იმ ორგანოს უპირატესობაზე აკეთებს, რომელშიც ყველაზე მეტადაა გამოხატული მოქალაქეთა აზრი, ამიტომაც იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც მოსამართლე, არც საბჭოს წევრი და არც სახალხო კრების მონაწილე არ წარმოადგენენ ხელისუფლებას, არამედ ხელისუფლებას წარმოადგენს სასამართლო, საბჭო და ხალხი (არისტოტელე, 1995). არისტოტელეს პოზიციით, ცალკეული პირები მხოლოდ დაწესებულებების წარმომადგენლები არიან, რომლებსაც აქვთ ვალდებულება, განახორციელონ ის საერთო სულისკვეთება, რასაც ხალხის ნების გამოხატულება მოითხოვს. არისტოტელე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოებს აქვთ სამი ნაწილი, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თავის სარგებელი: პირველი ნაწილი არის ორგანო, რომელშიც უნდა მიმდინარეობდეს თათბირი სახელმწიფოთა საერთო ინტერესების დაცვის შესახებ, მეორე ნაწილი უშუალოდ ეხება

სახელმწიფო მმართველობის პროცესს, ხოლო მესამე ნაწილი გამომდინარეობს მართლმსაჯულების განხორციელების აუცილებლობიდან (არისტოტელე, 1995). საინტერესოა არისტოტელეს დამოკიდებულება საერთო საკუთრების მიმართაც, რომელიც პირდაპირ კავშირშია წარმომადგენლობითი ორგანოს განსაკუთრებულ მნიშვნელობასთან. არისტოტელე მკაცრად აკრიტიკებს სოკრატეს და მიიჩნევს, რომ საერთო საკუთრების ცნება აზიანებს სახელმწიფოებრიობას, ვინაიდან ადამიანები მეტად ზრუნავენ იმაზე, რაც მხოლოდ მათი საკუთრებაა; ამიტომაცაა, რომ ადამიანები უყურადღებონი არიან იმის მიმართ, რაზეც ჰგონიათ, რომ სხვები ზრუნავენ, როგორც ბევრი მოსამსახურე ხშირად უფრო ცუდად ემსახურება ბატონს, ვიდრე ცოტა (არისტოტელე, 1995).

3. ხელისუფლების დანაწილების პრინციპის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები ფრანგულ და ინგლისურ მოქალაქეებში

ჯონ ლოკი და შარლ ლუი დე მონტესკიე განმანათლებლობის ეპოქის დასავლური ფილოსოფიის ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენლებად მიიჩნევიან. მათი თეორია ხელისუფლებათა დანაწილების შესახებ არის პოლიტიკური აზროვნების უმაღლესი გამოვლინება და სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბების სრულყოფილი ასახვა (მეტრეველი და დავითაშვილი, 1999)

მართალია ლოკიცა და მონტესკიეც ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე თანაბარ მნიშვნელოვნად საუბრობენ, მაგრამ მათი მიდგომა ძალთა ბალანსისა და სახელისუფლებო შტოებს შორის იერარქიის დადგენის შესახებ ერთმანეთისგან ცალსახად განსხვავდებიან.

ლოკის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ნაშრომი „მთავრობის მეორე ტრაქტატი“ ლოკისეული პოლიტიკური აზროვნების საუკეთესო გამოვლინებაა. ლოკი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ხელისუფლების დანაწილების აუცილებლობას, და ამტკიცებს, რომ სახელმწიფო ძალა ყოველთვის მიდრეკილია საკუთარი როლის გაფართოებისა და გაძლიერებისკენ (Colman, 1983). ვის ხელშიც არ უნდა იყოს ძალაუფლება, მაინც არსებობს მიდრეკილება ამ ძალის ბოროტად გამოყენებისა და ავტოკრატიისკენ, არ აქვს მნიშვნელობა ვის ეკუთვნის იგი Colman, 1983). ამ პრობლემის მოსაგვარებლად, ლოკი მიიჩნევს, რომ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასთან ბრძოლის საუკეთესო გზა არის ძალაუფლების შეზღუდვა ნორმატიული აქტებითა და ძალთა ბალანსით Colman, 1983). აღნიშნულ საკითხს განსხვავებულად აფასებს მონტესკიე, და თავის ნაშრომში „კანონთა გონი“ უთითებს, რომ ყველა ადამიანი, ვისაც გააჩნია ძალაუფლება, მიდრეკილია მისი ბოროტად გამოყენებისაკენ, იქამდე, სადამდეც ამის შესაძლებლობა მიეცემა“. (Montesquieu B.D., 1949, 52) შესაბამისად, მონტესკიე მიიჩნევს, რომ ადამიანის ბუნება მის ხელთ არსებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაა. ლორდ აკტონის ცნობილი გამონათქვამის თანახმად, აბსოლუტური ძალაუფლება იწვევს აბსოლუტურ გახრწნილობას. შესაბამისად, ლოკისგან განსხვავებით, მონტესკიე მიიჩნევს, რომ ძალაუფლება ძალაუფლებით უნდა კონტროლდებოდეს (Montesquieu B.D., 1949).

ლოკისა და მონტესკეს შორის მსოფლმხედველური განსხვავება დაკავშირე-

ბული უნდა იყოს იმ ისტორიულ და პოლიტიკურ გარემოებებზე, რომლებიც მათ გარშემო ვითარდებოდა. სწორედ საფრანგეთში მიმდინარე პროცესებმა აიძულა მონტესკიე, ეფიქრა ხელისუფლების დანაწილების იდეაზე. მონტესკიემ მოინახულა ევროპის მრავალი ქვეყანა და შეისწავლა მათი პოლიტიკური სისტემა და ინსტიტუტები. არ არის შემთხვევითი, რომ ინგლისში არსებული პოლიტიკური სისტემა უფრო უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე საფრანგეთში (Claus, 2004). მონტესკიე მიიჩნევს, რომ საჭიროა ახალი პოლიტიკური სისტემა, რომელშიც ძალაუფლება უნდა გაიმიჯნოს და იყოს ურთიერთ-მაკონტროლებელი (Nagar, 2015) ამის შედეგად, მონტესკიემ წარმოადგინა სამთავრობო უწყებებისა და ფუნქციების უფლებამოსილების გამიჯვნის იდეა და შესთავაზა, რომ ძალაუფლება არ ყოფილიყო კონცენტრირებული ერთ ხელში (Nagar, 2015). თავის წიგნში „კანონთა გონი“ მონტესკიე საუბრობს თავის თეორიაზე ძალაუფლების დანაწილების, კონტროლისა და ბალანსის შესახებ. მონტესკიე ამტკიცებს, რომ ხელისუფლების აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ფუნქციები უნდა დაეკისროს სხვადასხვა ორგანოებს, რათა ხელისუფლების ერთი შტოს მიერ პოლიტიკური თავისუფლების შელახვის მცდელობა სხვა შტოებმა აკონტროლონ და შეზღუდონ (Montesquie, 1949) ზუსტად ანალოგიურ აუცილებლობაზე საუბრობს ჯონ ლოკი და ხაზს უსვამს, რომ უმაღლესი ხელისუფლება უნდა დაიყოს სამ შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და საკავშირო, იგივე ფედერაციულ ხელისუფლებებად (მეტრეველი და დავითაშვილი, 1999) ეს შტოები ერთმანეთისაგან სრულად დამოუკიდებელ, განცალკევებულ სფეროებში უნდა არსებობდეს. ხელისუფლების დანაწილება უნდა ეფუძნებოდეს კანონმდებლობას/ნორმატიულ აქტებს, რაც იმას ნიშნავს, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელება შეეძლოს (მეტრეველი და დავითაშვილი, 1999). ლოკის თქმით, კანონი უნდა იყოს ობიექტური, უნდა აღიაროს ინდივიდუალური თავისუფლებები და მისი არსი უნდა იყოს ხალხის ზოგადი ნების გამოხატვა (Richard, 1971, 62) თუმცა, როგორც ლოკი უთითებს, ხელისუფლების დანაწილების თეორიის მთავარი მიზანი სახელისუფლებო შტოებს შორის არა უფლებამოსილებათა გამიჯვნა, არამედ ძალაუფლების შეკავებისა და დაბალანსების მექანიზმის უზრუნველყოფა უნდა იყოს (Richard, 1971). როგორც მონტესკიე (Montesquieu, 1949, 52) ისე ლოკიც განმარტავს, რომ შეკავება და ბალანსი არის კანონით განსაზღვრული იმ უფლება-მოვალეობების ერთობლიობა, რომელიც უზრუნველყოფს ძალაუფლების შტოების მხრიდან ერთმანეთზე კონტროლის განხორციელებას. ეს უკანასკნელი ემსახურება პოლიტიკურ-სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირებას ხელისუფლების შტოებს შორის, რათა ხელისუფლების საქმიანობა წარმართოს მხოლოდ საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში და ამავდროულად, აღკვეთილ იქნეს ნებისმიერი შტოს მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ნებისმიერი მცდელობა (Montesquieu, 1949)

საინტერესოა აგრეთვე ლოკის განსხვავებული მიდგომა ძალთა ბალანსის მიმართ, რომლიც მონტესკიესგან განსხვავებით განმარტავს, რომ ხელისუფლების დანაწილება არ შეიძლება უზრუნველყოფილი იქნეს მხოლოდ ჰორი-

ზონტალურ დონეზე, აუცილებელია ძალაუფლების ვერტიკალური დანაწილება (Trang, 2022) ლოკის აზრით, სახელმწიფო ძალაუფლება სხვა არაფერია, თუ არა ხალხის ძალაუფლების გამოვლინება (Trang, 2022). ხალხმა თავისი ძალაუფლების ნაწილი დაუთმო სახელმწიფოს ხელშეკრულებების საშუალებით და დიქტატურასთან საბრძოლველად აუცილებელი გახდა ძალაუფლების გამიჯვნა. ლოკმა დაყო ძალაუფლება საკანონმდებლო, აღმასრულებელ და ფედერაციულ უფლებამოსილებად და თავის კონცეფციაში ხალხს დიდი როლი დააკისრა (პატარაია დ., ჯონ ლოკი, 2014, 505)

სწორედ ზემოთ აღწერილი განსხვავებიდან გამომდინარე ლოკის მიერ ხელისუფლება დაყოფილ იქნა, როგორც საკანონმდებლო, აღმასრულებელი და საკანონმდებლო, იგივე ფედერაციულ ხელისუფლებებად (მეტრეველი ვ., დავითაშვილი ვ., 1999, 111) ხოლო მონტესკიე იყო პირველი პოლიტიკური ფილოსოფოსი აღმოჩნდა, რომელმაც წამოაყენა იდეა ხელისუფლების სამი ინსტიტუტის – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების გამიჯვნის შესახებ (Claus, 2004).

4. ხელისუფლების დანაწილების ამერიკული დოქტრინა

ხელისუფლების დანაწილების პრინციპს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შეერთებული შტატების კონსტიტუციაში; ფედერალისტი მედისონი მონტესკიეს დოქტრინაზე დაყრდნობით აღნიშნავს: „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ერთსა და იმავე ხელში გაერთიანება, იქნება ეს ერთი, რამდენიმე თუ ბევრი, მემკვიდრეობითი, თვითდანიშნული თუ არჩევითი, შეიძლება თავისთავად ტირანიის საფუძვლად მივიჩნიოთ“ (Nugent, 1949, bk. XI, 47) იგივე იდეა გამოთქვა ჰამილტონმა 1788 წელს (Singh T., 1996, 3) ამერიკის კონსტიტუციაში ვხვდებით საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო უფლებამოსილებების ცალკეული სუბიექტებისათვის მინიჭებას, რომელიც ადგენს: „აქ გაცხადებული ყველა საკანონმდებლო უფლებამოსილება ეკუთვნის შეერთებული შტატების კონგრესს“ (Article I, Section 1 of Constitution of U.S.A) ჯონ მარშალმა 1800 წლის 7 მარტს წარმომადგენელთა პალატაში განაცხადა: „საგარეო ურთიერთობებში პრეზიდენტი არის ერის ერთადერთი ორგანო და მისი ერთადერთი წარმომადგენელი უცხო ერებთან“ (United States v. Curtiss-Wright Export Corp; 229 U.S. 304,319 (1936) პრეზიდენტი თავისი საკანონმდებლო უფლებამოსილების ფარგლებში აწვდის ინფორმაციას კონგრესს აღნიშნული საკითხის შესახებ (Article II, Section 2 of Constitution of U.S.A) ანალოგიურად, კონგრესი ერევა პრეზიდენტის უფლებამოსილებაში ბიუჯეტის თაობაზე ხმის მიცემით. 1921 წლის ბიუჯეტისა და ბუღალტრული აღრიცხვის აქტმა დაადგინა აღმასრულებელი ბიუჯეტის პრინციპი და პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც პრეზიდენტი პასუხისმგებელია მომავალი ფისკალური წლის სრული და დეტალური ხარჯების გეგმის ჩამოყალიბებასა და მის კონგრესზე წარდგენაზე (C. Herman Pritchett: The American Constitution 3rd Edn., 163) კონგრესი, ასევე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელშეკრულებების რატიფიცირებაში. კონგრესს აქვს სასამართლო უფლებამოსილება. თითოეულ პალატას შეუძლია ხმათა ორი მესამედით გარიცხოს თავი-

სი წევრი, მისცეს ხმა ან დასაჯოს ისინი „უნესრიგობის“ საფუძვლით. კონგრესია უფლებამოსილი, მსგავს საკითხებთან დაკავშირებით ერთპიროვნულად მიიღოს გადაწყვეტილება. გარდა ამისა, ამერიკელი მოსამართლეების თანამდებობიდან გადაყენება შესაძლებელია მხოლოდ იმპიჩმენტის პროცესით, რომელიც იწყება კონგრესის წინაშე. რაც შეეხება სასამართლო ხელისუფლებას, სასამართლოს აქვს ზედამხედველობისა და მაკონტროლებლის ფუნქცია როგორც კონგრესზე, ასევე პრეზიდენტზე, სამართალწარმოების გზით. მართალია, წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ ხდება კანონის მიღება, თუმცა მართლმსაჯულების განხორციელებისას გამოსაყენებელი ნორმის არარსებობის შემთხვევაში სასამართლოს ევალება შექმნას ახალი კანონი. ამ კუთხით ყველაზე აქტუალურია მოსამართლე ჰიუზის შენიშვნები, როგორც მან განმარტა – „კონსტიტუცია არის ის, რასაც მოსამართლეები ამბობენ.“ (Hendel, 1955, 130) საინტერესოა ისიც, რომ ცვლილებების უმეტესობა, რომელიც განხორციელდა ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციაში არის არა კონგრესის, არამედ ამერიკის უმაღლესი სასამართლოს ნამოქმედარი (Singh T., 1996, 4). ამგვარად შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ში ნაკლებად გვხვდება ხელისუფლების ხისტი დანაწილების პრინციპი (Singh T., 1996, 4).

5. ხელისუფლების დანაწილებისა და ყოველდღიური სამუშაოს გიგლიური საფუძვლები

ხელისუფლების დანაწილების ცალკეული ნიშნები საინტერესოაა წარმოჩენილი ძველ აღთქმაში. აღნიშნული საკითხის შესწავლა მიმართულია იმ ღვთაებრივი წყობის დადგენასთან, რომელსაც ტელეოლოგიური²¹ განმარტების საფუძველზე ესადაგება ძალთა ბალანსისა და უფლებამოსილებათა ურთიერთგამიჯვნის მოდელი. სწორედ აქედან გამომდინარეობს ყოველდღიური სამუშაოს სახარებისეული განმარტების აუცილებლობა, ვინაიდან როგორც მონტესკიესთან მიაღწია ხელისუფლების დანაწილების პრინციპმა კულმინაციას, ისე სამუშაოს დოგმატი ზუსტად ახსნილი იქნა სახარებისეული ტექსტის საშუალებით.

6. ძალაუფლებათა დანაწილების დოქტრინის გიგლიური საფუძვლები

ჩვენ შეგვიძლია დარწმუნებით ვისაუბროთ ხელისუფლების დანაწილებაზე მხოლოდ იმ სიტუაციაში, როდესაც სასამართლო ხელისუფლება მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყოფილია აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოებისგან და სარგებლობს საკმარისი დამოუკიდებლობით. ხელისუფლების დანაწილების კიდევ ერთი კრიტერიუმია იმის დადგენა, ექცევა თუ არა სახელმწიფოს მეთაურის ან აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედებები სასამართლოების იურისდიქციაში? (Waluchow, 2018) სასამართლო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ ყველაზე მნიშვნელოვანი დოქტრინა ჩამოყალიბებულია ძველი აღთქმის „მსაჯულთა წიგნში“ და „გამოსვლათა წიგნში“ (Bernal, 239) მრავალი საუკუნის განმავლობაში სამეფო ძალაუფლების ღვთაებრივი წარმოშობა იყო მონარქიული მმართველობის ყველაზე მნიშვნელოვანი დოქტრინალური საფუძველი; ძველ

21 „ტელეოლოგია“ მომდინარეობს ბერძნული ძირისგან, („Teleios“ – მიზანი, „Logos“ – მოძღვრება);

ისრაელში მთავარი როლი ეკუთვნოდათ მოსამართლეებს, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავიანთი შესაძლებლობებით, ხოლო მთელ ეპოქას ეწოდებოდა მსაჯულთა ეპოქა და ის აღწერილი იყო ძველი აღთქმის მსაჯულთა წიგნში (Bernal, 245). სასამართლოს გამიჯვნა ტომის მეთაურებისგან, უზუცესთა საბჭოებისა და სახალხო კრებებისგან ხელისუფლების გამიჯვნის პირველი პროტოტიპი იყო. რაც შეეხება მონარქიას, ის რამდენიმე საუკუნის შემდეგ ჩამოყალიბდა, მსაჯული სამუელის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელმაც გამოიყენა მოსამართლე მოსეს იდეები ხალხის წინაშე მეფეების მოვალეობების დაწესების თაობაზე (David Bilchitz and David Landau, 2018, 3)

მეფეს არ ჰქონდა „კანონშემოქმედებითი“ უფლებამოსილება. კანონებს ნახულობდნენ ძველ აღთქმაში. მოსამართლეები აწესებდნენ/აფუძნებდნენ ამ კანონებს და ისინი დამოუკიდებელნი იყვნენ, რა თქმა უნდა, ტომის ბელადისა თუ მეფისგან. მაგალითად, მოგვიანებით კანონების ინტერპრეტაცია სასამართლო ორგანოს, სახელწოდებით სინედრიონი, დაეკისრა, რომელიც 71 მოსამართლისაგან შედგებოდა. თალმუდი, წეს-ჩვეულებების, ტრადიციებისა და კანონების ვრცელი კოლექცია, რომელიც 50 ტომისაგან შედგება, წარმოადგენს მოსეს დროიდან გადმოცემულ „ზეპირი ტრადიციის“ ჩანაწერს (Ekins R., see 1 Samuel, 8:8–18.). იგი კოდირებულია ახ. წ. 200-500 წლებში. მრავალ ტომში მოცემულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონები, რომლებსაც ებრაელები ემორჩილებიან მსაჯულთა ეპოქიდან მოყოლებული. „მართლაც, მოსამართლეთა წიგნი, მიუხედავად იმისა, რომ ეს გარკვეულწილად გულუბრყვილოა, არის ნარკვევი კონსტიტუციური განვითარების შესახებ, რადგან გვიჩვენებს, თუ როგორ უწევდათ ისრაელელებს მკაცრი რეალობიდან გამომდინარე შეეცვალებათ თავიანთი დემოკრატიული თეოკრატია შეზღუდული მეფობის დამყარებამდე.“ (Ekins R., see 1 Samuel, 8:8–18.).

ბიბლია არ გვთავაზობს ხელისუფლებათა გამიჯვნის გაფართოებულ თეორიას; ასეთი თეორია სრული სახით ჩამოყალიბდა მე-17, მე-18 საუკუნეებში და ძირითადად პრაქტიკულად განხორციელდა მე-18 საუკუნის ბოლოს შეერთებულ შტატებში. ბიბლიაში არ არის მითითებები ძალაუფლების ამგვარ დანაწილებაზე. თუმცა, მიჩნეულია, რომ დოქტრინა სათავეს იღებს იმ მომენტიდან, როდესაც მისი ძირითადი დოქტრინალური თეზისი ნათლად იყო ჩანერილი წერილობითი ფორმით, და არა მხოლოდ იმ პერიოდიდან, როდესაც ის საბოლოოდ ჩამოყალიბდა (Rowland T., 2022, 392)

7. ყოვლადწმიდა სამების დოგმატი

სამება ქრისტიანობის ერთ-ერთი ფუნდამენტური და არსებითი დოქტრინაა, მაგრამ ეს სიტყვა ბიბლიაში პირდაპირ არ არის ნახსენები (Grudem, W. A., 1994, 54) არსებობს მრავალი წიგნი, სტატია, ლექცია თუ ქადაგება სამების დოგმატზე, თუმცა მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის ნაშრომები სამების ისტორიული განვითარების შესახებ.²²

მნიშვნელოვანია, რომ „სამება“ (ლათ. trinitas, ბერძნული: trias), როგორც

22 <https://www.thegomezfamily.info/blog/historical-development-trinity> [05.01.2024]

ტერმინი დამკვიდრებულ უნდა იქნეს მეორე საუკუნის ბოლო ორ ათწლეულში (ირემადე, 2012, 58). საზგასამელია ისიც, რომ საეკლესიო ტერმინოლოგიაში აღნიშნული ტერმინის გაჩენა კავშირში არ იყო რწმენის საკითხებთან (Meesters, A., 2012, 396) თავდაპირველად „სამება“ გამოიყენებოდა არა ერთი ღმერთის, არამედ ერთი ღმერთის სიმრავლის აღსანიშნავად. თავდაპირველად, „სამებაში“ მოიაზრებოდა არა სამპიროვანი ღმერთი, არამედ ღვთიური ბუნების ტრიადა. მონოთეიზმის დაცვის საერთო სტრატეგიის უზრუნველსაყოფად ამ პერიოდში მამა ღმერთის ღვთაებრიობაზე განსაკუთრებული ხაზგასმა კეთდებოდა (McDonnell K., 1985, 191). თავდაპირველი საეკლესიო სწავლება ადგენს ერთგვარ იერარქიასაც და განმარტავს, რომ მამა ღმერთი აღემატება ყველა არსებულს, რადგან იგი არის მთავარი წყარო ღვთიური პიროვნულობისა (Waney, C., 2017, 146) შესაბამისად, ძე ღვთისა აღიქმებოდა, როგორც მამაზე ნაკლები, თუმცა სულიწმიდაზე მეტი. ამგვარად განიმარტებოდა, რომ მამის ძალა უფრო დიდია ვიდრე ძისა და სულიწმიდისა, ხოლო ძის უფრო მეტია ვიდრე სულიწმიდისა (Lowry W., 1936, 225-240, აგრეთვე, ორიგენე, პირველი, 33-34)

უნდა ითქვას, რომ ორიგენი სამების დოგმატს აღწერს იმგვარად, რასაც ქრისტიანული თეოლოგიაში უწოდებდნენ ე.წ. „დაქვემდებარებულს“, რადგან ძე და სული ყოველთვის გარკვეული გაგებით არის წარმოშობილი, დაბლა მდგომი და ექვემდებარება მათ მთავარ წყაროს – ერთ ღმერთს, ანუ მამას. შეიძლება ამ თეოლოგიას უნიტარულიც ვუწოდოთ, იმ გაგებით, რომ ერთი სამართლიანი ღმერთი არის მამა და აღმატებული ძე და სულზე, ანუ ერთი ღმერთი არის „უპიროვნო“.²³

აღმოსავლური ეკლესიის თანამდეროვე ღვთისმეტყველების თანახმად სამების დოქტრინა ნიშნავს, რომ არსებობს ერთი ღმერთი, რომელიც მარადიულია სამი განსხვავებული პიროვნების – მამა, ძე და სულიწმიდის სახით.²⁴ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ღმერთი არსით ერთია, თუმცა პიროვნულად სამი, რაც მიუთითებს სამ ჭეშმარიტებაზე: (1) მამა, ძე და სულიწმიდა განსხვავებული პიროვნებები არიან; (2) თითოეული არის სრული ღმერთი; (3) არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი.²⁵

ბიბლია საუბრობს მამაზე, როგორც ღმერთზე²⁶, იესოზე, როგორც ღმერთზე²⁷ და სულიწმიდაზე, როგორც ღმერთზე.²⁸ ისმის კითხვა: ეს მხოლოდ სამი განსხვავებული გზაა ღმერთის შესაცნობლად, თუ უბრალოდ სამი განსხვავებული ფუნქციის მითითება, რომელსაც ღმერთი ასრულებს? პასუხი ცალსახაა, ვინაიდან ბიბლია მიუთითებს, რომ მამა, ძე და სულიწმიდა განსხვავებული პიროვნებები არიან. მაგალითად, ვინაიდან მამამ ძე გამოგზავნა სამყაროში²⁹, ის

23 http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=657%3A2016-07-28-09-33-34&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka [08.01.2024]

24 იქვე;

25 იქვე;

26 ფილიპელთა მიმართ, 1:2;

27 „მოველოდეთ ნეტარ სასოებას და ჩვენი დიდი ღმერთისა და მაცხოვრის ქრისტე იესოს დიდების გაცხადებას“-ტიტეს მიმართ 2:13;

28 მოციქულთა საქმეები 5:3-4;

29 იოანეს სახარება 3:16;

არ შეიძლება იყოს იგივე პიროვნება, როგორც ძე. ანალოგიურად, მას შემდეგ, რაც ძე დაბრუნდა მამასთან,³⁰ მამამ და ძემ გაგზავნეს სულიწმიდა სამყაროში³¹ ამიტომ სულიწმიდა უნდა განსხვავდებოდეს მამისა და ძისგან.

8. არსით ერთი და სამპიროვნანი ღმერთის შესახებ დადასტურებანი წმიდა წერილიდან

როგორც ზემოთ აღინიშნა, ძველ აღთქმაში ღმერთის სამპიროვნულობაზე პირდაპირი მითითება არ გვხვდება. მნიშვნელოვანია, რომ სამების დოგმატზე მინიშნების დანახვა შესაძლებელია მხოლოდ ქრისტოცენტრული აზროვნების შედეგად. ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი ადგილები ძველი აღქმიდან, რომელიდანაც შეიძლება შეფარვით განიმარტოს ღმერთის სამპიროვნულობა: „და თქუა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩუენისა და მსგავსებისაებრ;“³² „და თქუა უფალმან ღმერთმან: აჰა, ადამ იქმნა ვითარცა ერთი ჩუენთაგანი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა;“³³ აგრეთვე, ენათა აღრევის წინ: „თქუა უფალმან ღმერთმან: მოვედით, გარდავიდეთ და შეურინეთ მათ ენანი მუნ;“³⁴ ამ უკანასკნელებში ღმერთი ნახსენებია მრავლობით რიცხვში, რაც ბუნებრივია, იძლევა იმის ვარაუდს, რომ საუბარი უნდა იყოს ღმერთის სამპიროვნულობაზე.

„ეჩუენა მას (აბრაჰამს) ღმერთი მუხასა თანა მამბრესსა... და აღმხილველმან თუალთა მისთამან იხილა და აჰა, სამნი კაცი ზედა მოადგეს მას... და თაყუანის-სცა ქუეყანასა ზედა. და თქუა: უფალო, უკეთუ ვპოვე სადამე მადლი წინაშე შენსა და ნუ თანა-წარხდები მონასა შენსა“. „ნახეთ – გვასწავლის ნეტარი აგვუსტინე, – აბრაჰამი ხვდება სამს და ეთაყვანება ერთს... დაინახა სამნი და განჭვრიტა სამების საიდუმლო. თაყვანის-სცა როგორც ერთს და აღიარა ერთი, სამპიროვანი ღმერთი.“³⁵

ხაზგასასმელია, აგრეთვე ეკლესიის მამების მინიშნება სულიწმიდის შესახებ: „სული შენი სახიერი მიძლოდეს მე ქუეყანასა წრფელსა“;³⁶ „ან უფალმან მომავლინა მე და სული მისი“.³⁷

რაც შეეხება ახალ აღთქმას, მაში სამების დოგმატზე საუბარია პირდაპირ და ცალსახად, მაგალითად: „წარვედით და მოიმონაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელითა მამისაჲთა და ძისაჲთა და სულისა წმიდისაჲთა“;³⁸ „ერთ არს ღმერთი და მამა ყოველთაჲ, რომელი ყოველთა ზედა არს (მამა ღმერი) და ყოველთა მიერ (ძე ღმერთი) და ჩვენ ყოველთა შორის (სულიწმიდა);“³⁹ „მადლი

30 იოანეს სახარება 16:10;

31 იოანეს სახარება 14:26, მოციქულთა საქმეები 2:33;

32 შესაქმე 1.26;

33 შესაქმე 3.22;

34 შესაქმე 11.6-7;

35 შესაქმე, 18,1-3; <https://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/pomazanski/4.htm> [11.01.2024]

36 ფსალმუნი 142, 10;

37 ესაია წინასწარმეტყველი 48.16;

38 მათეს სახარება 28.19;

39 ეფესელთა მიმართ 4.6;

უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესი და სიყუარული ღმრთისა და მამისა და ზიარებაჲ სულისა წმიდისაჲ თქუენ ყოველთა თანა, ამენ;⁴⁰

9. ყოველდღიური სამეცნიერო ღონისძიების განმარტება ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრების მიხედვით

ნიკეის კრების მიზანი იყო წმინდა წერილის სწავლების ერთგული გამოხატვა და სამეცნიერო დოქტრინის რაც შეიძლება სრულყოფილი განმარტება.

ნიკეაში დაპირისპირებული მხარეები მწვავედ კამათობდნენ იმ ტერმინის შესახებ, რომელიც სამეცნიერო ერთიანი არსის გამოსახატად უნდა გამოეყენებინათ. დებატები კონცენტრირებული იყო ტერმინებზე ჰომოიუსიოსი (homoiousios) და ჰომოოსიოსი (homoousios). მიუხედავად მათი მსგავსებისა, ეს სიტყვები ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდებოდა იმ თვალსაზრისით, თუ რას გადმოსცემდა იესოს ბუნების შესახებ. საკითხი ეხებოდა იმას, იყო თუ არა ძე იმავე არსის, თუ მხოლოდ მსგავს არსის მამასთან. ათანასესა და მის მხარდამჭერთა ჯგუფი ემხრობოდა ტერმინს ჰომოოსიოსი (homoousios), რაც ნიშნავს „იგივე არსის“, რათა ეჩვენებინათ, რომ ძე მამასთან ერთად ერთსა და იმავე ღვთაებრივ არსს იზიარებს, როგორც არანარმოქმნილი და აუცილებელი თავის არსებობაში. ეს ტერმინი ერთი საუკუნით ადრე Origen-ს უკვე ჰქონდა გამოყენებული ამ ურთიერთობის ასახსნელად. არიანელები კი ამჯობინებდნენ ჰომოიუსიოსს (homoiousios), რაც ნიშნავდა „მსგავსი არსის მამასთან“ ან „მსგავსი არსის მქონე მამასთან“. ერთი ასოს დამატება ან გამოტოვება მთლიანად ცვლიდა მნიშვნელობას, რადგან ამით განისაზღვრებოდა, იყო თუ არა ძე მხოლოდ მსგავსი ღვთაებრივი არსისა თუ იგი მამასთან ერთარსი იყო.

ამ კამათის ცენტრში ქრისტოლოგია იმყოფებოდა. ათანასეს ჯგუფისთვის უმთავრესი საზრუნავი იესოს ღვთაებრიობისა და ხსნის დოქტრინის ურთიერთმიმართება იყო. ნიკეის მამები თვლიდნენ, რომ ხსნა ის საქმეა, რომლის შესრულებაც მხოლოდ ღმერთს ძალუძს. მხოლოდ ღმერთს შეეძლო ხსნა, რადგან ის არის შეურაცხყოფილი მხარე. იესო ქრისტეს მაღლი თავად ღვთის მაღლია. როგორც ათანასე ამბობდა: „ცხოვნება არ შეიძლება იყოს ქმნილების მიერ მოპოვებული ქმნილებისთვის“. როგორ შეიძლება ღვთის მაღლი ყოფილიყო, თუ მისი რისხვა უდანაშაულო მესამე მხარეზე გადმოიღვრებოდა? იესო შუამავალია იმ სრული გაგებით, რომ იგი თავად ღმერთს გვიცხადებს, რადგან ის არის ღმერთი.

არიანიზმის წინააღმდეგ პირდაპირი პასუხის სახით, კრებამ დაამატა ფორმულირება: „ძე არის შობილი მამისგან, ღმერთი ღმერთისგან, ნათელი ნათლისგან, ჭეშმარიტი ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთისგან, შობილი და არა შექმნილი.“ ეს ბოლო განცხადება დამატებული იყო იმ მიზნით, რომ განემარტათ, რომ ძის შობა არის ღვთის შინაგანი, აუცილებელი და მარადიული აქტი. ეს გამონათქვამი გამოორიცხავდა იმ აზრის გავრცელებას, რომ ძე იყო დროებით და შეზღუდულად შექმნილი არსება ან რაიმე სახის მეორეული და ჰიბრიდული სუბსტანცია. თეოლოგი შედი აღნიშნავდა ამ ფორმულირების მნიშვნელობას: „ეს ფრაზა შეიცავდა დოგმის მეტაფიზიკურ ბირთვს და იყო კრიტიკული ტესტი ტრინიტარიზმის

40 კორინთელთა მიმართ 13.13;

მართლმადიდებლური და არამართლმადიდებლური აღქმისთვის.“ კრებამ ყურადღებით შეარჩია სიტყვები, რათა დოქტრინის ფილოსოფიური მნიშვნელობა ზუსტად განესაზღვრა და არ დარჩენილიყო ორთოდოქსული შეხედულების არასწორი ინტერპრეტაციის შესაძლებლობა.

ნიკეის კრებაზე მცირე დისკუსია გაიმართა სულიწმიდის შესახებ. პირველ რიგში, სულიწმიდის ადგილთან დაკავშირებით სამებაში არ არსებობდა ისეთი ერთსულოვნება, როგორც ძეზე. მეორეც, ათანასესა და სხვა ორთოდოქსულ მოძღვრებს ესმოდათ, რომ თუ დამტკიცდებოდა, რომ იესო მამასთან ერთი არსისაა, მაშინ ბიბლიური მონაცემებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა, რომ სულიწმიდაც იგივე ღვთაებრივი არსის უნდა ყოფილიყო. როგორც კი კრებამ დაადასტურა ორი ღვთაებრივი პირის არსებობის ბიბლიური და ფილოსოფიური საფუძვლიანობა, მესამე პირის დასაბუთება შედარებით მარტივი ამოცანა გახდა. ამასთან, არიანელებმა ველარ შეძლეს ენის ბუნდოვანებაში დამალვა მას შემდეგ, რაც ჰომოუსიოსი (homousios) მათ წინააღმდეგ მკაფიოდ იქნა გამოყენებული.

კრების მონაწილეთა უმეტესობამ ხელი მოაწერა სიმბოლოს, თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ დავა დაესრულებინა, ნიკეის კრებამ გამოიწვია ნახევარი საუკუნის განმავლობაში მიმდინარე თეოლოგიური არეულობა, რომელიც პოლიტიკური ჩარევებითა და ათანასესა და არიანელობის მომხრეთა მორიგეობით გამარჯვებით ხასიათდებოდა. საბოლოოდ, 381 წელს კონსტანტინოპოლში 150 ეპისკოპოსი შეიკრიბა და ნიკეის რწმენა პირვანდელი ფორმით დაამტკიცა, როგორც ერთადერთი კანონიერი რელიგია იმპერიაში, და დაგმო არიანელობის ყველა ფორმა.

10. ყოვლადწმიდა სამების დოგმატის შესაქლო გავლენები ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე

როდესაც საუბარია სამ შტოზე ან სამ პიროვნულობაზე, რომელიც ერთიანდება ერთ არსში, ბუნებრივია ჩნდება მოსაზრება ასეთი დოგმატებისა და დოქტრინების ურთიერთდაკავშირების მცდელობისა. არსებობს სახარებისეული საფუძვლები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ყოვლადწმიდა სამების დოგმატის თავისებურებებზე და იკვეთება მისი შესაძლო გავლენები ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე, როგორც მმართველობისა და ნების გამოხატულების ღვთაებრივ და მიწიერ მოვლენაზე.

11. სამების თეოლოგიის გავლენები კონსტიტუციონალიზმზე, ისტორიული ანალიზი

ყოვლადწმიდა სამების ქრისტიანული დოგმატის გასაანალიზებლად საჭიროა ადამიანთა გამოხსნის ისტორიის პერსპექტივიდან ამოსვლა. აღნიშნულის გარეშე, სამება შესაძლებელია იყოს მხოლოდ ვარაუდი და, ალბათ, ფიქციაც კი. მართალია, სამების დოგმატის გაგება შეუძლებელია ადამიანთა დახსნის ისტორიის შესწავლის გარეშე, თუმცა ამავე თვალსაზრისით შეუძლებელია ქრისტიანული ისტორიული შეხედულების სრული გაგება, ღმერთის ნებასთან მუდმივი ანალიზის გარეშე. სამართლის სამების თეოლოგიამ დიდი ყურადღება უნდა

მიაქციოს სამ ნარატივს: უპირველეს ყოვლისა, არის ღმერთის მიერ საკუთარი თავისა და ღვთის ქმედებების წმინდა წერილში გამჟღავნების ადგილები; ძველი აღთქმის ღმერთი არის ცოცხალი ღმერთი, რომელიც ახორციელებს სუვერენიტეტს ყველა ერზე და მოქმედებს ღვთისნიერი ხალხისადმი დადებული შეთანხმების ერთგულებით (McIlroy, 65–67, 105–112) იესო ქრისტემ ცხადყო, რომ ცოცხალი ღმერთი იყო მამა და პირადად ეცადა სამყარო ღმერთის წიაღში დაებრუნებინა. ეს გამოცხადება კულმინაციას განიცდის ტრინიტარულ მოვლენებში: ჯვარცმის, აღდგომის, ამაღლებისა და სულთმოფენობისას, როდესაც ღმერთი-აცი მორჩილების ნიშნად თავს შესწირავს ღვთის ნებას, აღდგება მარადიულ სიცოცხლეში, ამაღლდება მამის წინაშე და განთავისუფლდება, სული მისი გადმოვა ეკლესიაზე, ანუ მის მისტიურ სხეულზე. მეორე თხრობა არის ერებს შორის ღვთის მოღვაწეობის ისტორია. სადაც სული მოქმედებს, სული მოწოდებს ქრისტეს მეფობასა და ღვთის მამობას. სული, ასევე გადმოსცემს ღმერთის აუცილებელ მოწოდებას და მცნებებს, რომელთა უგულებელყოფა არც ერთ ადამიანს არ შეუძლია. მესამე მონათხრობი, რომელსაც უნდა გავეცნოთ, არის ძის მიერ, სულიწმიდის მეშვეობით, ხალხის უფალთან შერიგება, ეს მესამე თხრობა არის ამბავი კაცთა და ქალთა შესახებ, რომლებიც შეძრწუნებულნი არიან ღვთის სულით, ისინი შეურიგდნენ მამას ღვთის ძის მეშვეობით, გაერთიანდნენ ეკლესიის თანამეგობრობაში და გარდაიქმნენ ღვთის შვილის მსგავსებებად (McIlroy D., Trinity, 2022, 350). ადამიანების მიერ შექმნილმა პოზიტიურმა სამართალმა უნდა უპასუხოს ამ გამოწვევას. ადამიანებმა უნდა აღიარონ არსებული წესრიგი, უპასუხონ იესო ქრისტესთან დაკავშირებულ კითხვებსა და მიიღონ თავიანთი შეზღუდვები სულის გადასარჩენად, რომლის საუკეთესო გამოვილენებაც უფლის მიერ დაარსებული ეკლესიაა. სწორედ ამ სულისკვეთებით იქმნება კონსტიტუციონალიზმი, რათა ერთი მხრივ შესაძლებლობა გაჩნდეს ადამიანთა კანონისადმი მორჩილების, მაგრამ მეორე მხრივ გაჩნდეს სივრცე ტირანული ნორმებისგან თავდასაღწევად საკონსტიტუციო სასამართლოს სახით. ამიტომაცაა, რომ კონსტიტუციური წესრიგი, თავისი არსით, არ არის ადამიანთა უნარების შედეგად მიღებული სისტემა, ვინაიდან, როგორც ანდრას შაიო აღნიშნავს, კონსტიტუციური წყობის შექმნის სურვილი უფალთან დადებული სანაძლეოა, რომელიც იმთავითვე კრახისთვისაა განწირული (McIlroy D., Trinity, 2022, 350-355);.

12. სამეზა და კონსტიტუცია

ქრისტოლოგია და კონსტიტუციონალიზმი ჩვეულებრივ არ არის ერთმანეთთან შერწყმული და დაკავშირებული კონცეფციები. ქრისტოლოგია ზოგადად გაგებულია, როგორც სისტემატური თეოლოგიის კონკრეტული, გარკვეულწილად ტექნიკური დარგი, ხოლო კონსტიტუციონალიზმი არის თანამედროვე სამართლის სისტემების კონკრეტული, თუმცა ფუნდამენტური ასპექტი. აქედან გამომდინარე, ერთი შეხედვით, ორივე ძალიან განსხვავებულ სფეროებში ბინადრობს. თუმცა, ასეთი ვარაუდი ნიშნავს ორივეს არასწორად გაგებას. სამართლისა და თეოლოგიის დისციპლინები ისე ხშირად გადაიკვეთება, რომ აუცილებელი ხდება მათ შორის არსებული კავშირის გაგება და განხილვა. ასეთი კავშირები

არსებობს არა მხოლოდ პრემოდერნულ თეოკრატიულ სახელმწიფოებში, არამედ თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი. აბრაამ კუიპერი, რომელიც იყო ნიდერლანდების პრემიერ მინისტრი 1901 წლიდან 1905 წლამდე, ამბობდა რომ „ჩვენი ფსიქიკური სამყაროს არც ერთი ნაწილი არ უნდა იყოს ჰერმეტიულად დახურული დანარჩენისგან და, უფრო მეტიც, არ არის ისეთი თავისუფალი სივრცე ჩვენი ადამიანური არსებობის სფეროდან, რომელზედაც ქრისტე, არ ამბობდეს: „ჩემი!“ (Kuyper A., 1998, 488) მოგვიანებით, მეოცე საუკუნეში, პოლონელმა პოეტმა და ფილოსოფოსმა კაროლ ვოიტილამ თავისი გამოსვლა დაიწყო სიტყვებით „ადამიანთა ცოდვების გამომსყიდველი, იესო ქრისტე, არის სამყაროსა და ისტორიის ცენტრი.“ (Paul O., 1996, 48) ეს იყო მისი პირდაპირი დარტყმა მარქსისტულ სოციოლოგიაზე, რომლის მიხედვითაც ისტორიის დინამიკა არის კლასობრივი კონფლიქტი (Rowland T., 2022, 388) 1990 წელს ევროპული კომუნიზმის დაღუპვის შემდეგ, ვოიტილას ებრაელმა თანამემამულემ ადამ მიხნიკმა თქვა, რომ „ჩვენ ჩვენი იუდეო-ქრისტიანული კულტურის შვილები ვართ და ვიცით, რომ ეს კულტურა, რომელიც სახელმწიფოსადმი ლოიალობას გვირჩევს, მუხლთმოყრას მხოლოდ ღმერთისადმი გვიბრძანებს. ამიტომ ვიცით, რომ ჭეშმარიტების ერთგულება ძალაუფლებაში მონაწილეობაზე მაღლა უნდა დავაყენოთ. ჩვენ ვიცით, რომ მივალნიეთ ჩვენს ფესვებს, რომ **პოლიტიკის ჭეშმარიტება, საბოლოოდ, ჭეშმარიტების პოლიტიკაშია.** ჩვენ უარვყოფთ პოლიტიკური უტოპიის რწმენას.“ (Michnik A., 1990, 28–29) მარქსიზმის ოპონენტების პოზიციის შესაბამისად, დიტრის ბონჰოფერმა, ერთ-ერთმა ქრისტიანმა მოწაფემ ფაშიზმის დროს, განაცხადა: ის [იესო ქრისტე] დგას ჩვენსა და ღმერთს შორის და სწორედ ამიტომ დგას ჩვენსა და ყველა სხვა ადამიანსა და ნივთს შორის. ის არის შუამავალი არა მხოლოდ ღმერთსა და ადამიანს შორის, არამედ ადამიანსა და ადამიანს, ადამიანსა და რეალობას შორის. ვინაიდან მთელი სამყარო მისია და მისთვის შეიქმნა.⁴¹ ის არის ერთადერთი შუამავალი მსოფლიოში. რა თქმა უნდა, არსებობს უამრავი ღმერთი, რომლებიც ადამიანებს პირდაპირ წვდომას სთავაზობენ და სამყარო, ბუნებრივია, იყენებს ყველა შესაძლებლობას, რათა შეინარჩუნოს თავისი პირდაპირი ძალაუფლება ადამიანებზე, მაგრამ სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რის გამოც იგი ასე მწარედ ეწინააღმდეგება ქრისტეს (Bonhoeffer D., 1995, 95). დათქმის მიხედვით, რომ არ არსებობს სხვა სახელი ზეცის ქვეშ, რომლითაც ადამიანები გადარჩებიან, იესო ქრისტეს გარდა, კარდინალმა ანჟელო სკოლამ დაასკვნა: სხვა პასუხი, სხვა საფუძველი არ მიეცა ადამიანს, გარდა იმისა რომელიც უკვე არსებობდა; მაგრამ მიუხედავად ამისა, ადამიანის თავისუფლებამ შეიძლება მაინც ვერ დაამტკიცოს ის პასუხი, რომელიც მან მაღლით მიიღო. ეს ჩარჩო წარმოადგენს სცენარს, რომლის ფარგლებშიც ისტორია ვითარდება და რამდენადაც ადამიანის თავისუფლება თავს არიდებს ამ შეხვედრას, იმდენად იძენს შეხვედრა დაპირისპირების მახასიათებლებს (Rowland T., 2022, 389) ამრიგად, ადამიანის ისტორიული ცხოვრება ხდება ქრისტესა და სამყაროს შორის არსებული მოთხოვნის/მტკიცების დიალექტიკის ფორმით. ქრისტესადმი არსებული მტკიცება სრულყოფილია და ის არ უშვებს გამონაკლისს (Scola A., 1991, 322–331) ნებისმიერი მეცნიერი, რომელიც სერიო-

41 იოანეს სახარება 1.3; კორინთელთა მიმართ 8.6; ებრაელთა მიმართ;

ზულად ეკიდება მეოცე-ოცდამეერთე საუკუნის გამოჩენილი ინტელექტუალების ამგვარ მტკიცებებს, იძულებულია დაუპირისპირდეს ქრისტოლოგიისა და კონსტიტუციონალიზმს შორის ურთიერთობის მიმართების საკითხს. ვინაიდან ადამიანის ცხოვრება არსებითად სოციალურია, ქრისტოლოგია და კონსტიტუციონალიზმი აღმოჩნდნენ ურთიერთდაკავშირებული და ამ ურთიერთობის დალაგების პროცესი უმთავრესი საკითხია როგორც თეოლოგიისთვის, ასევე კონსტიტუციური სამართლისთვის. სწორედ ამიტომ აღნიშნულ ურთიერთმიმართებაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს ქრისტოლოგიის ძირითადი პრინციპების შესახებ, როგორებადაც ისინი ჩამოყალიბდა ქალკედონის კრებაზე 451 წელს (Rowland T., 2022, 390); ლიბერალიზმის თანამედროვე თეოლოგიური კრიტიკის აღწერა, განსაკუთრებით იმის შესახებ, რასაც მეოცე საუკუნის პოლიტიკური თეორეტიკოსი ჯონ როულსი „პოლიტიკურ ლიბერალიზმს“ უწოდებდა (როლზი ჟ., 2018, 356) ნაწილი ქრისტეს მეფობის საღვთისმეტყველო მნიშვნელობის შესახებ, მათ შორის პავლეს კონცეფცია „ქრისტეში ყველაფრის აღდგენის შესახებ“, რომელიც არის ყველაზე გავრცელებული კვეთა კონსტიტუციურ სამართალსა და ქრისტოლოგიაზე ფიქრებისთვის (Rowland T., 2022, 390)

13. „სამკვიწოსტასოვანი ერთღმერთობა“ და სამხელისუფლებიანობის ერთსახელმწიფოებრიობა

როგორც ზემოთ არაერთხელ აღვნიშნეთ, ხელისუფლების დანაწილების პრინციპი დგას რამდენიმე მნიშვნელოვან ფუნდამენტზე, კერძოდ, სახელისუფლებო შტოები ერთმანეთისგან გამიჯნული არიან მათი კომპეტენციების მიხედვით. დაუშვებელია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების მიერ ერთმანეთის კომპეტენციებში ჩარევა, თუმცა მსგავსი მიდგომა მაშინაა აბსოლუტურად გამართლებული, როდესაც ადგილი არ აქვს ხელისუფლების რომელიმე შტოსაგან ძალაუფლების მიტაცების მცდელობას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ ხელისუფლების შტოები მართალია უფლებამოსილებებით გამიჯნულნი არიან, თუმცა დაუშვებელია მათი იზოლირება ერთმანეთისგან, რადგან მათი საქმიანობა ერთიანდება საერთო სახელმწიფოებრივი იდეის ქუდ ქვეშ. სწორედ ამიტომ საკანონმდებლოც, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებაც ცალ-ცალკე წარმოადგენენ სახელმწიფოს და ტრიადაშიც ერთიანდებიან, როგორც საერთო სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი. მთავარი ელემენტი, რაც ნებისთ თუ უნებლიეთ აღებული უნდა იყოს ყოვლადწმიდა სამების ღვთაებიდან, არის სამპიროვანი ღმერთის გაგება. როგორც აღვნიშნეთ, ღმერთს გააჩნია სამი დამოუკიდებელი პიროვნება, რომლებიც არსით ღმერთნი არიან, რაზეც მეტყველებს წმინდა წერილის ის ადგილები, რომელშიც შესაძლებელია მათზე, როგორც ღმერთზე ლოცვა, თუმცა მათი ტრიადა ერთიანდება ერთღმერთობაში. როგორც წინამდებარე კვლევის დასაწყისში აღინიშნა, სამების თითოეულ წარმომადგენელს უფლებრივად განსხვავებული ფუნქცია აკისრიათ, თუმცა საჭიროების ჟამს მოქმედებენ როგორც სრული ერთ არსი. სწორედ ამაზეა დაფუძნებული ხელისუფლების ნაწილების პრინციპიც, ვინაიდან როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება მიიტაცებს ძალაუფლებას, საკანონმდებლო ხე-

ლისუფლებას უწევს მისი მაგივრობის გაწევა, და როდესაც სასამართლო ხელისუფლებას არ ძალუძს განახორციელოს მართლმსაჯულება გამოსაყენებელი ნორმის არარსებობის მოტივით, მას უწევს იმოქმედოს ისე, როგორც კანონშემოქმედმა და მსაჯულმა ერთდროულად. სწორედ ეს არის უენდელ ჰოლმის სამართლებრივი რეალიზმის არსი და იგი არა თუ არღვევს ხელისუფლების დანაწილების პრინციპს, არამედ პირდაპირ ემსახურება მისი საერთო სულისკვეთების აღსრულებას (პაუნდი რ., 2017, 40) მისი აზრით, სასამართლოს ფაქტობრივი ქმედებები შეადგენს სამართალს. მისი აზრით, სამართალი შინაგანი მორალის გარე გამოხატულებაა (აფონასინი ე., დიდიკინი ა., 2017, 67). სამხელისუფლებიანობის ერთსახელმწიფოებრიობა ვლინდება ყოვლადწმიდა სამების დოგმატში, ვინაიდან ღმერთის სამპიროვნულობა და მისი ერთარსებობა იდენტური სულისკვეთების მატარებელი არიან. უკეთესი თვალსაჩინოებისთვის, საინტერესოა როგორ ხსნიან წმინდა მამები სამების დოგმატს ყოფით ენაზე, რათა უკეთ აღქმადი და გასაგები გახდეს ადმიანებისთვის. მაგალითად: მზე, მზის სხივი და ნათელი;⁴² თეოლოგიური განმარტებით მზე არის მამა ღმერთი, მზის სხივი არის ძე ღმერთი, ხოლო ნათელი არის სული წმიდა. ისინი ერთმანეთისგან გამომდინარეობენ, ემსახურებიან თავიანთი ფუნქციის შესრულებას, თუმცა არსით ერთნი არიან. პარალელი რომ გავავლოთ, მზე არის საკანონმდებლო ხელისუფლება, რომელიც არის უმაღლესი წარმომადგენლობითი და მისგან გამომდინარეობს აღმასრულებელი ხელისუფლება, რადგან სწორედ მის მიერ ხდება მისი უფლებამოსილების ცნობა და ამის ფონზე იქმნება სასამართლო, რომლის გაჩენის აუცილებლობაც ისტორიულად ჩნდებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზე იყო მინიმუმ ორი სუბიექტი. ასევე, სამების დოგმატი ხატოვნად ვლინდება ისე, როგორც ფესვი, ღერო და ნაყოფი. აქაც ზუსტად იმავეს თქმა შეიძლება, რომ ფესვი გვევლინება როგორც წყარო შემდეგი გამოვლინებებისა, თუმცა მისი ყოფისთვის აუცილებელია დანარჩენი ორის არსებობაც. ხელისუფლების დანაწილების დოქტრინაშიც იგივე გამიჯვნა გვხვდება. ერთმანეთისგან დამოუკიდებელად ვერ იარსებებს ვერცერთი სახელისუფლებო შტო.

დასკვნა

ქრისტიანულმა თეოლოგიამ შესაძლებლობა მოგვცა გამოკვეთილიყო ისეთი გარემოებები, რომელსაც, შინაარსობრივად, ზედმინვენით მიემსგავსა საერო მმართველობას ფორმები. სწორედ ქრისტიანული აზროვნება გამოკვეთს შემოქმედების ღვთაებრივ აქტს, რომელიც ეკუთვნის მამა ღმერთს; ძე ღმერთის მიერ ცოდვათა გამოსყიდვის ფუნქციას და სულიწმიდისათვის მიკუთვნებულია განწმენდის ღვთაებრივი ფუნქცია. აქვე, გამოიკვეთა, რომ ამ სამი მოქმედებიდან თითოეული მმართველთა თავისუფლებას გარკვეულ შეზღუდვებს/საზღვრებს უწესებს. სამების შესახებ ბიბლიურ დოქტრინას მივყავართ დასკვნამდე, რომ პოლიტიკური და კანონშემოქმედებითი ავტორიტეტი უნდა იყოს გამოყენებული, რათა შენარჩუნებული იქნას მამა ღმერთის მიერ შემოქმედების მიერ მომადლებული წყალობანი. მნიშვნელოვანია, რომ უნდა განხორციელდეს ღირსე-

42 <https://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/pomazanski/4.htm> [11.01.2024]

ბაზე, სამართლიანობასა და გულმონყალებაზე ზრუნვა, რაც ღვთის მთავარი საზრუნავია; ამავდროულად, უნდა გამოიკვეთოს სულიწმიდის ფუნქცია, რათა განხორციელდეს ადამიანების ცხოვრების შეცვლა ძე ღმერთის სიკვდილისა და აღდგომის საფუძველზე. ფაქტობრივად იდენტურია საერო ხელისუფლებაში განერილი კონსტიტუციები, რომლის მეშვეობითაც ხდება მმართველთა პასუხისმგებლობის განსაზღვრა, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოებს შორის უფლებამოსილებების სათანადოდ გადანაწილება, პოლიტიკის არეალში ინსტიტუციათა ფუნქციების აღიარება, და ხელისუფლების მიზნისა და საზღვრების განსაზღვრა. კონსტიტუციების ტრინიტარული აღწერა ხაზს უსვამს მათ პრაქტიკულ აუცილებლობას დაცემულ სამყაროში იმის მითითების გარეშე, თითქოს-და კონკრეტული კონსტიტუცია მუდმივი ან სრულყოფილია.

საბოლოოდ, ხელისუფლების დანაწილების ძირეული ასპექტები, რაშიც იგულისხმება უფლებამოსილებათა გამიჯვნა, ძალთა ბალანსი და ერთ სახელმწიფოებრიობა, დოქტრინალურ დონეზე მთელი სისავსით გვხვდება ყოვლადწმიდა სამების ბიბლიურ საფუძვლებში და ამით ხაზი ესმევა, რომ ადამიანი, გარდა პოლიტიკური ცხოველისა, უმთავრესად არის თეოლოგიური ქმნილება. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ცალკე კვლევის საგანს შესაძლოა წარმოადგენდეს სახარებისეული გავლენების შესწავლა ცალკეულ პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არისტოტელე, კუპრავა თ. თარგმანი, პოლიტიკა, წიგნი III, თბილისი, 1995;
- აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძის, ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენაეას რედაქტირებით, თბილისი, 2017;
- ბალათურია გ., ბალათურია ო., სტრატეგიული დაგეგმვა სახელმწიფო მმართველისა და ბიზნესის ამოცნებში, 2009;
- ევანსი რ., ფილოსოფია და თეოლოგია შუა საუკუნეებში, თბილისი, 2012;
- გოგიაშვილი გ., სამოსამართლო სამართალი, თბილისი, 2020;
- ირემაძე თ., ფილოსოფია და ღვთისმეტყველება, ჟურნალში: „უფლის ციხე“, №2, თბილისი, 2012, 58-64;
- მეტრეველი ვ., დავითაშვილი ვ., პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია, თბილისი, 1999;
- მონტესკიე, კანონთა გონი, წიგნი XI;
- ონიანი ს., უკიდურესი აუცილებლობა, როგორც სახარებისეული ტელეოლოგიური განმარტების ფორმულის-„შაბათი კაცისათვის და არა კაცი შაბათისათვის“ – ანარეკლი სჯულის კანონში, სამართლის ჟურნალი, თბილისი, 2011;

- პაუნდი რ., მოსამართლე ჰოლმის წვლილი სამართლის მეცნიერებაში, დ. გეგნავას თარგმანი, სამართლის მეთოდები №2, გ. ხუბუა და დ. გეგნავას რედაქტირებით, თბილისი, 2017;
- პატარაია დ., ჯონ ლოკი, ორი ტრაქტატი მმართველობაზე, საიუბილეო კრებული: მზია ლეკვეიშვილი 85, თბილისი, 2014;
- პლატონი, სახელმწიფო, ბაცანა ბრეგაძის თარგმანი, მეორე გამოცემა, თბილისი, 2020;
- როლზი ჟ., პოლიტიკური ლიბერალიზმი, ჭიაბერაშვილის თარგმანი, თბილისი, 2018;
- ჭელიძე ა., ჩარკვიანი თ. ძალაუფლების დანაწილება და „კონტროლისა და ბალანსის“ პრინციპები საქართველოში, თბილისი, 2013;
- Barber N., The Principles of Constitutionalism, 2018;
- Bergman M., Montesquieu's Theory of Government and the Framing of the American Constitution, 1990;
- Bernal C., Separation of Powers: The Biblical Foundations of the Separation of Powers and the Catalytic Judicial Role in Christianity and Constitutionalism;
- Bilchitz D., "Introduction: The Evolution of the Separation of Powers in the Global South and Global North" 2018;
- Bonhoeffer D., The Cost of Discipleship, 1995;
- Calabresi S.G. & K. Bady. Is the Separation of Powers Exportable? Harvard Journal of Law and Public Policy, 2010, 13;
- CAHN M., FORCEHIMES T., TALISSE B., The Democracy Reader, 2021, 86;
- Carey G., THE SEPARATION OF POWERS IN UNITED STATES OF AMERICA: PAST AND PRESENT, 2004;
- Claus L., Montesquieu's Mistakes and the True Meaning of Separation, 2004;
- Colman J., John Locke's Moral Philosophy. Edinburgh: Edinburgh University Press, 1983;
- Ekins R., Self-Government and the Kingdom of Heaven, in this volume. In the scriptures, see 1 Samuel, 8:8;
- FINLAY, C. J. Self-Defence and the Right to Resist, International Journal of Philosophical Studies;
- Frazier S. D., The Trinity in The Thought of Basil of Caesarea, The Western Tradition, And A Modern Greek Orthodox Theologian. Theological Research Exchange Network (TREN): Theses & Dissertations, 2002;
- FRIEDRICH, C. J., Tradition and Authority, London, 1972;
- GENCER, B. Sovereignty and the Separation of Powers in John Locke, 2010, 323-339;

- Goldoni M., Montesquieu and the French Model of Separation of Powers, 2013;
- Grudem, W. A., Systematic theology: an introduction to biblical doctrine, England, 1994;
- Grudem U., Systematic Theology, 1994;
- Hendel, Charles Evans Hughes and the Supreme Court (1951), II quoted by Bernard Schwartz in American Constitutional Law 1955;
- Herman G., The American Constitution 3rd Edn.;
- JENKINS D., THE LOCKEAN CONSTITUTION: SEPARATION OF POWERS AND THE LIMITS OF PREROGATIVE. 2011, . 543-589;
- Jonathan L. E., Separation of Powers, the Political Branches, and the Limits of Judicial Review, 1990;
- Kramer L., The People Themselves: Popular Constitutionalism and Judicial Review, Oxford University Press 2004;
- Kuyper A., Sphere Sovereignty” in James D Bratt (ed), Abraham Kuyper, A Centennial Reader, 1998;
- Locke J., Two Tracts on Government, London, 1967;
- Lolordo, Antonia. Locke’s Moral Man. Oxford: Oxford University Press, 2012;
- Lowry W., ORIGIN AS TRINITARIAN, The Journal of Theological Studies, 1936, 225-240;
- McDonnell K., A trinitarian theology of the Holy Spirit. Theological Studies, 1985;
- McIlroy D., Trinity: Against Leviathan: The Implications of Trinitarian Theology for Constitutionalism in Christianity and Constitutionalism, 2022;
- McIlroy, A Biblical View of Law and Justice;
- Meesters, A., The Cappadocians and their trinitarian conceptions of God. 2012;
- Michnik A., After the Revolution: The New Dangers to the New Democracies, New Republic, 1990;
- Montesquieu B.D., The Spirit Of The Laws, translated by Nugent T., 1949;
- Nagar Dr. M., Polity and Governance – II, 2015;
- Nugent Th., The Spirit of the Laws, trans. 1949, bk. XI;
- Paul O., The Encyclicals of John Paul II Michael J Miller ed and tr, 1996;
- Richard A., John Locke. Oxford, 1971;
- Rowland T., Christology: Christology and Constitutionalism in Christianity and Constitutionalism. Edited by: Aroney N., and Leigh I., 2022;
- SAM J., SEPARATION OF POWERS: JUDICIAL INDEPENDENCE, 1998;

- Schauer F., “Judicial Review and the Modest Constitution, 2004;
- Schlafty P., The Supremacist: The Tyranny of Judges and How to Stop It (Spence 2004);
- Schwartz B., American Constitution of Law, 1955;
- Scola A., Claim of Christ, Claim of the World: On the Trinitarian Encyclicals of John Paul II 1991, 322–331;
- Shackleton R., Montesquieu: A Critical Biography, 1961;
- Smail T., Like Father, Like Son: The Trinity Imaged in Our Humanity, 2005;
- Singh T., PRINCIPLE OF SEPARATION OF POWERS AND CONCENTRATION OF AUTHORITY, 1996;
- Trang t., SEPARATION OF POWERS IN JOHN LOCKE’S POLITICAL PHILOSOPHY, 2022;
- Tushnet M., Weak Courts Strong Rights: Judicial Review and Social Welfare Rights in Comparative Constitutional Law, 2009;
- Versteeg M., Zackin E., Constitutions Unentrenched: Towards an Alternative Theory of Constitutional Design, 2016;
- VileM .J.C., Constitutionalism and the Separation of Powers, 1967;
- Waldron J., The Core of the Case against Judicial Review 2006;
- Waluchow W., Constitutionalism” in Edward N Zalta (ed), The Stanford Encyclopedia of Philosophy 2018;
- Waneye, C., The Cappadocian Fathers and Their Contributions to the Trinitarian Debate. BTSK Insight, 14, 146–159;
- Wenzel J., Bowler SH., Legislating from the State Bench: A Comparative Analysis of Judicial Activism, 1997, 3; American Politics Research 363– 379;
- WEST, T. G. THE GROUND OF LOCKE’S LAW OF NATURE. Social Philosophy and Policy, 2012;

სამართლებრივი აქტები:

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია [17.10.1787];
საფრანგეთის ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია, დამტკიცებული საფრანგეთის კონსტიტუციით [04.10.1958];

ბიბლია:

ძველი აღთქმა:

1. დაბადება;

ახალი აღთქმად:

2. სახერაბად მათესი;
3. სახერაბად მარკოზისი;
4. სახერაბად იოანესი;
5. საქმე წმიდათა მოციქულთა (აღწერილი ლუკა მახარებელისად);
6. ეპისტოლე პავლე მოციქულისა რომაელთა მიმართ;
7. ეპისტოლე პავლე მოციქულისა ეფესელთა მიმართ;
8. ეპისტოლე პავლე მოციქულისა კორინთელთა მიმართ;
9. ეპისტოლე პავლე მოციქულისა ებრაელთა მიმართ;
10. ეპისტოლე პავლე მოციქულისა გალატელთა მიმართ;

მსოფლიო საეკლესიო კრება

11. ნიკეის პირველის მსოფლიო საეკლესიო კრება;
12. ნიკეის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრება;

ელექტრონული წყაროები:

13. <http://library.church.ge/index.php?option=com_content&view=article&id=657%3A2016-07-28-09-33-34&catid=54%3A2016-03-23-07-24-06&Itemid=73&lang=ka> [08.01.2024];
14. <<https://www.orthodoxy.ge/gvtismetkveleba/pomazanski/4.htm>> [11.01.2024];
15. <<https://plato.stanford.edu/entries/common-good/>> [13.01.2024];
16. <<https://www.thegomezfamily.info/blog/historical-development-trinity>> [05.01.2024];

სამხრეთ კავკასია როგორც მნიშვნელოვანი დარეგულირებული ენერგორესურსების მიწოდებაში

შესავალი

რეალური მოვლენების ანალიზი და შეფასება ხორციელდება სახელმწიფოს შიგნით განვითარებული პროცესების შესაბამისად, ნაცვლად გლობალური მოვლენების და შიდასახელმწიფოებრივი სიტუაციის კომბინირებული ანალიზისა. ამ მიზნებისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოში მიმდინარე მოვლენების არაერთგზის (რეგიონულად და გლობალურად) განხილვა. დღესდღეობით, მსოფლიოში მიმდინარეობს გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია, რომელმაც (მეტწილად) უნდა განსაზღვროს მომავალი 100 (ასი) წლის ხედვა. გეოგრაფიული მდებარეობა განაპირობებს სახელმწიფოს გეოპოლიტიკურ პოტენციალს. ამ მიზნებისთვის მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონში ძალთა განლაგების შეფასება და სტრუქტურირება. ამიერკავკასიის ქვეყნებისთვის მნიშვნელოვანია ერთის მხრივ, ისტორიული მოცემულობის გააზრება და მეორე მხრივ, თანამედროვე პოლიტიკური კონიუქტურის სწორი აღქმა. ამდენად, გლობალური სიმშვიდისთვის აღარ არის საკმარისი მხოლოდ ფაქტების ცოდნა, საჭიროა კონკრეტულ საკითხზე ანალიტიკური მიდგომა და მისი შემდგომი მეცნიერული განჭვრეტა. საყურადღებოა, თუ როგორ იცვლება სამყარო გეოპოლიტიკური პოზიციონირების გათვალისწინებით? ხისტი სახით ინტერვენციის გარდა თანამედროვე გლობალურ დაპირისპირებებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს მიერ ღია ნაბიჯების განხორციელებას (მოიაზრება რბილი ძალის პრინციპების აქტიურად გამოყენება), რაც არსებითად გულისხმობს საკომუნიკაციო საშუალებების მნიშვნელობის ზრდას. 2023 წლის 14 დეკემბერს ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭებით, საქართველოსთვის წარმოიქმნა ახალი შესაძლებლობები: გამყარდა ქვეყნის პოტენციალი, რაც განაპირობებს რეგიონული მასშტაბით საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკურ ჰაბად ქცევას. მიმდინარე რეალობაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში საგარეო ინტერესები არის რეგიონის ცენტრში გავლენის მოპოვება და მართვა რეგიონის განვითარების ინტერესების უკუპროპორციულად.⁴³

ისტორიულმა პრაქტიკამ ცხადყო, რომ გარე ძალების დახმარების გარეშე სახმრეთ კავკასია ვერ გაუმკლავდებოდა იმდროინდელ გეოპოლიტიკურ მეტოქეობას. საქართველო შეელას გერმანიას სთხოვდა, სომხეთი დახმარებისთვის მიმართავდა დიდ ბრიტანეთს, აზერბაიჯანლებს კი თურქები ჯერაც ძმე-

43 ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. EU neighbours east [დეკემბერი 15, 2023]. იხ: <https://euneighbourseast.eu/ka/news/latest-news/evropulma-sabchom-sakharthvelos-kandidati-khveqhnis-statusi-mianicha/>

ბად მიაჩნდათ.⁴⁴ გასული საუკუნის მოვლენათა მიმდინარეობამ განაპირობა, რომ სახელმწიფო კავკასიაში, რომელმაც შეიქმნა ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკების და აზერბაიჯანელი მუსავატების მიერ (ამიერკავკასიის რესპუბლიკამ) 1918 წლის 22 აპრილიდან 1918 წლის 26 მაისამდე იარსება.⁴⁵ 1918 წლის 26 მაისს გაიხსნა საქართველოს ეროვნული საბჭოს პირველი სხდომა, ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“.⁴⁶ 1918 წლის 28 მაისს აზერბაიჯანის ეროვნულმა საბჭომ, მამედ ამინ რასულზადეს ხელმძღვანელობით, ქვეყნის დამოუკიდებლობა და პირველი რესპუბლიკის ჩამოყალიბება გამოაცხადა, რაც დადასტურდა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში „აზერბაიჯანის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აქტზე“ ხელმოწერით. მნიშვნელოვანია, რომ იმ დროიდან მოყოლებული სახელმწიფოებს შორის ურთიერთშორისი დამოკიდებულება დღესდღეობით უკვე გამყარებულია სტრატეგიულ თანამშრომლობის დონემდე. აღვნიშნავთ, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის არსებითი სახე შეიძინა ურთიერთსასარგებლო მოქმედებებმა, რაც ერთის მხრივ, განაპირობებს ურთიერთობების შემდგომ განვითარებას და მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად აღრმავებს 2 (ორ) სახელმწიფოს შორის ორმხრივი ინტერესის სფეროებში თანამშრომლობას. აღნიშნული ცხადყოფს, სამხრეთ კავკასიას როგორც რეგიონული თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითს, რომელიც მუდმივად მყარდება ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ახალი ხარისხობრივი მახასიათებლებით.⁴⁷

თემის აქტუალობას წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის რეგიონის როლი და მნიშვნელობა ენერგორესურსების მიწოდებაში, რომლის პროცესები ხასიათდება: განსაკუთრებული დინამიურობით, გეოპოლიტიკური ვითარების და მისი თანმდევი მოვლენების უსაფრთხოების გათვალისწინებით.

კვლევის მეთოდები. ვიყენებთ საერთაშორისო ურთიერთობებში დამკვიდრებული შემდეგი კვლევის მეთოდებს: 1) ისტორიულ-აღწერილობითი – ისტორიული ანალიზის საფუძველზე შევისწავლეთ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ურთიერთობები; 2) მონაცემთა ლოგიკური ანალიზი და შედარება – ამ მეთოდებით თანმიმდევრულად განვიხილეთ სამხრეთ კავკასიაში მოცემული რეალობა და წინა პლანზე წამოვწიეთ რეგიონის გეოპოლიტიკური მდებარეობა და რეგიონის ენერგორესურსების მიმზიდველობა; 3) კონტენტ ანალიზი – შევისწავლეთ და განვიხილეთ სხვადასხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რის შედეგად მოვახდინეთ ლოგიკური და თანმიმდევრული დასკვნების გაკეთება;

44 საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე. დონალდ რეიფილდი. [პალიტრა L თბილისი, 2019]. [ISBN9789941350030].

45 ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. იხ: <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=7993>

46 ისტორია. ეროვნული სასახლე 1918-1921. [Copyright © 2024 | Created By Integral]. იხ: <https://youthpalace.ge/ka/history>

47 https://azertag.az/ru/xeber/azerbaidzhan_i_gruziya_svyazi_strategicheskogo_partnerstva_vyshedshie_na_uroven_soyuznicheskih-2562128

ენერგორესურსები როგორც სუვერენიტეტის მდგომარეობა

ისტორიული დაკვირვებით ვლინდება, რომ 1919 წელს ჩარლზ მოზერის ხელმძღვანელობით თბილისში ჩამოვიდა აშშ-ს საბჭო, რომლის მისია ითვალისწინებდა სამხრეთ კავკასიაში ამერიკულ-ქართული კომპანიის შექმნის გეგმის განხილვას. ამერიკელი ბიზნესმენების ჯგუფმა საქართველოს იმდროინდელ მთავრობას მიმართა წინადადებით, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნის საზღვაო ტრანსპორტის კომერციული მიზნებისთვის განვითარებას. პარალელურად, აშშ აქტიურობდა სამხრეთ კავკასიაში „ამერიკის ახლო აღმოსავლეთის დახმარების კომიტეტის“ ჰუმანიტარული მისიით, რომელიც კონფლიქტურ რეგიონებში მოსახლეობას საკვებითა და ტანსაცმლით ამარაგებდა. კომიტეტი ასევე ფლობდა საწყობს, სადაც დასაქმებული იყო საქართველოს მოქალაქეები და სისტემატურად აწვდიდა მათ დახმარებას ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში (Andro Kacharava Alexander Daushvili., 2020, 98)

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს სტრატეგიულმა პარტნიორმა აშშ-ს სახით და გათვლით, მნიშვნელოვანი წარმატებები მოუტანა. კერძოდ, აშშ მიზანი იყო მაქსიმალურად გაეთიშა თამაშიდან ენერგეტიკულ სექტორში მოღვაწე ორი დომინირებული ქვეყანა: რუსეთის ფედერაცია და ირანის ისლამური რესპუბლიკა.⁴⁸ ცივი ომის დასრულების შემდეგ აშშ-მ მეტი ყურადღება დაუთმო მსოფლიო ენერგორესურსებზე შეუზღუდავი წვდომის მოპოვებას, ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკის სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად. თანამედროვე რეალობაში, აშშ პოზიციონირებს გლობალურად პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და სხვა სფეროებში თავისი ფუნდამენტური უპირატესობების მოპოვებასა და აღორძინებაზე. თუმცა, გლობალური ეკონომიკური ვითარება, რომელიც ხასიათდება: მხირი ენერგორესურსების ხელმისაწვდომობისთვის, ფართომასშტაბიანი სტრუქტურული ცვლილებებით, ახალი კრიზისებით და ფასების არასტაბილურობით გლობალურ ენერგეტიკულ ბაზრებზე, ავალდებულებს მდგრადი ეროვნული ენერგეტიკული პოლიტიკის განვითარებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აშშ-ს გლობალური ასპარეზობა მისი გარე ენერგეტიკული სტრატეგიის დივერსიფიკაციის მიზნებისთვის წარმოადგენს ენერგეტიკული დიპლომატიის მთავარი გამოწვევას. ამ თვალსაზრისით, სამხრეთ კავკასიას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ნავთობისა და გაზის სატრანზიტო ზონას ცენტრალური აზიიდან ევროპაში, სადაც აშშ ცდილობს შეამციროს ამიერკავკასიის რეგიონის დამოკიდებულება რუსეთიდან მიწოდებაზე.⁴⁹ მათი უგულვებელყოფით თავიდან იქნებოდა არიდებული პოლიტიკური მიზნებით ე.წ. ენერგოსანქციების გამოყენება, რაც მნიშვნელოვანწილად შეასუსტებდა ამ

48 უსაფრთხოების ახალი გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში. გვ.14 სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობა. [სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სტუდენტური ორგანიზაციის ნაშრომთა კრებული. გორი, 2023 წელი].

49 აშშ-ს ენერგეტიკული დიპლომატია მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრების ტრანსფორმაციის პირობებში (სამხრეთ კავკასიის ვექტორი) გვ.49. ვაჰე დავითიანი, სილვა ხაჩიკიანი. [ბრიუსელის სახელმწიფო უნივერსიტეტი]. იხ: <https://vectors.ge/wp-content/uploads/2023/03/c42f9735a-92761d8ae38819c6eff829c.pdf>

უკანასკნელთა გეოპოლიტიკური მიზნების განხორციელებას. ამისათვის, აშშ-მ შეიმუშავა დასავლური პოზიციებისა და ბერკეტების გაზრდის სტრატეგია სამხრეთ კავკასიის რეგიონში.⁵⁰

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ისწრაფვიან უსაფრთხო და მშვიდობიანი განვითარებისკენ, ახალი გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური შესაძლებლობების მიზნობრივად გამოყენების პარალელურად. როგორც ისტორიული პრაქტიკა ცხადყოფს, სამხრეთ კავკასიის რეგიონის სტრატეგიულმა სატრანსპორტო დერეფანმა მნიშვნელოვანი დიპლომატიური როლი ითამაშა, როგორც რეგიონში განთავსებულ ქვეყნებს შორის, ისე მიტმასნების პოლიტიკაშიც. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბილ კლინტონის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობით, ასევე, აზერბაიჯანისა და თურქეთის ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს და დიდი ძალისხმევა გაიღეს მე-20 საუკუნის უდიდესი პროექტის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის განხორციელებაში. აშშ დაინტერესებულია საქართველოს ენერგოსისტემის დივერსიფიკაციით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს ჩინურ, რუსულ ან სხვა კაპიტალზე დამოკიდებულების თავიდან აცილებას. აღნიშნული მსჯელობის თანახმად, ევროკავშირთან ერთად და მსოფლიო ბანკის დახმარებით, USAID (აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო) და USEA (ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის ასოციაცია) საყურადღებოა წყალქვეშა ელექტროენერგიის გადამცემი კაბელის მშენებლობას შავი ზღვის ფსკერზე რუმინეთში, რაც შესაძლებელს გახდის გაზარდოს ორივე ქვეყნის ქსელების საიმედოობის დივერსიფიკაცია და დამოუკიდებლობა.⁵¹

მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიშის შეფასებით, შუა დერეფანს დიდი პოტენციალი აქვს და მას დიდი როლი ეკისრება ყაზახეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის და საქართველოს გზების დივერსიფიკაციაში. ანგარიშში მითითებულია, რომ შუა დერეფნის მოსაწყობად გამართული ინფრასტრუქტურა და დიფიკალთაზაცია სწრაფად უნდა შესრულდეს. მიზანმიმართული პოლიტიკით კი ყაზახეთის რესპუბლიკას, აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს ექსპორტის მოცულობის და პროდუქციის და დამატებითი ღირებულების გაზრდა საწარმოო საქმიანობის აგლომერაციის ხელშეწყობის გზით შეუძლია. დღევანდელი გეოპოლიტიკა ცხადყოფს, რომ ევროპას და აზიას შორის კომერციული მიზნებისთვის ვაჭრობის განხორციელება შესაძლებელია 3 (სამი) ძირითადი მარშრუტით: ჩრდილოეთის დერეფანი (გადის რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე), სამხრეთის დერეფანი (ფაქტობრივად არის საზღვაო მარშრუტი, რომელიც აკავშირებს ჩინეთს ევროპასთან) და შუა დერეფანი. ეს უკანასკნელი შედარებით

50 უსაფრთხოების ახალი გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში. გვ.14 სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობა. [სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, სტუდენტური ორგანიზაციის ნაშრომთა კრებული. გორი, 2023 წელი].

51 აშშ-ს ენერგეტიკული დიპლომატია მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრების ტრანსფორმაციის პირობებში (სამხრეთ კავკასიის ვექტორი) გვ.61 აშშ-ს ენერგეტიკული დიპლომატიის სამხრეთ კავკასიური ვექტორი. ვაჰე დავითიანი, სილვა ხაჩიკიანი. [ბრიუსელის სახელმწიფო უნივერსიტეტი]. იხ: <https://vectors.ge/wp-content/uploads/2023/03/c42f9735a92761d8ae38819c6eff829c.pdf>

ახალი მარშუტია, რომელიც კვეთს ცენტრალური აზიის რესპუბლიკის ქვეყნებს, კავკასიის რეგიონს და თურქეთს (Modebadze, 2023). თურქეთთან დაკავშირებით აღნიშნავთ, რომ თურქეთის შიდა პოლიტიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები ერთგვარად განმარტავს მის მის ძირითად პრობლემებს. ცივი ომის დასრულების შემდგომ თურქეთი თვითონ გახდა ლიდერი იქ, სადაც მანამდე მას უმნიშვნელო როლი ეჭირა (გაჩეჩილაძე, 2019, 115-120). აშშ განიხილავს აზერბაიჯანის რესპუბლიკას, აშშ-სთვის ნავთობისა და გაზის მარაგების კონტექსტში, მის მონაწილეობას რეგიონულ ენერგეტიკულ და ლოგისტიკურ პროექტებში და როგორც მთავარ პარტნიორს ევროპისთვის ნახშირწყალბადების რესურსების მიწოდებაში რუსეთის მონაწილეობის გარეშე.⁵² აშშ-მ გამოხატა აქტიური მხარდაჭერა ჯერ კიდევ განუხორციელებელი ენერგოპროექტის ფარგლებში და სწორედ ამ მხარდაჭერის საფუძველზე 1999 წელს, ეუთოს სამიტზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ რუსეთს გაეყვანა თავისი სამხედრო კონტიგენტი საქართველოს ტერიტორიიდან. აღნიშნული ცნობილია, როგორც „სტამბულის შეთანხმება“ და შედეგად 2001-დან 2007 წლამდე საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის ფედერაციის მხრიდან მოხდა სამი უდიდესი სამხედრო ბაზის გაყვანა.

შუა დერეფნის როლი ენერგორესურსების მიწოდებაში

საკომუნიკაციო კუთხით სამხრეთ კავკასიის რეგიონი სავსებით სამართლიანად მიიჩნევა ჩრდილოეთის დერეფნის რეალურ ალტერნატივად. აღნიშნულიდან გამომდინარე სამხრეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს არა მხოლოდ კავკასიის რეგიონის ქვეყნებზე, არამედ მსოფლიო ტრანსნაციონალურ პროცესებზეც, მათ შორის და არა მხოლოდ ევროატლანტიკურ სივრცეში არსებულ მდგომარეობაზე მაგალითის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ ჩრდილო-ატლანტიკური სახელშეკრულებო ორგანიზაციის (აბრ. NATO) გეოპოლიტიკური ინტერესები რეგიონში. შუა დერეფანში ჩინეთიდან სატვირთო ავტომობილების გავლა ხაზგასმით უთითებს საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის ასპექტზე და ქვეყნის გარდამტეხ როლზე ევროპის და აზიის კონტინენტების დაკავშირების ფაქტზე.

ამდენად საქართველოს პოზიციონირება საერთაშორისო ასპარეზზე მზარდი დინამიკით ხასიათდება (არდოტელი, 2024).

ამ გამონეგებისა და პოტენციალის გათვალისწინებით, აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკისთვის (ისევე როგორც თურქეთისთვის) შუა დერეფნის ეფექტურობის ამაღლებამ უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა, რაც ხაზგასმულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. 2022 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა ე.წ. „გზამკვლევს“ აზერბაიჯანის რესპუბლიკას, საქართველოს, ყაზახეთის რესპუბლიკას და თურქეთს შორის, რომელშიც ჩამოთვლილია პრიორიტეტული ინვესტიციები და ქმედებები, რომლებიც საჭიროა შუა

52 აშშ-ს ენერგეტიკული დიპლომატია მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრების ტრანსფორმაციის პირობებში (სამხრეთ კავკასიის ვექტორი) გვ.61 აშშ-ს ენერგეტიკული დიპლომატიის სამხრეთ კავკასიური ვექტორი. ვაჰე დავითიანი, სილვა ხაჩიკიანი. [ბრიუსელის სახელმწიფო უნივერსიტეტი]. იხ: <https://vectors.ge/wp-content/uploads/2023/03/c42f9735a92761d8ae38819c6eff829c.pdf>

დერეფნის გასაუმჯობესებლად. 2023 წლის ივნისში აზერბაიჯანი, საქართველო და ყაზახეთი შეთანხმდნენ ერთობლივი ლოგისტიკური ოპერატორის შექმნაზე. ამავდროულად, მსოფლიო ბანკმა, ევროკავშირმა, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკმა (აბრ. EBRD), აზიის განვითარების ბანკმა (აბრ. ADB) და მრავალმხრივი განვითარების სხვა საერთაშორისო ბანკებმა და ორმხრივმა პარტნიორებმა დაადასტურეს თავიანთი მხარდაჭერა და ინტერესი ტექნიკური დახმარებისა და ინვესტიციების განევის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, სამხრეთ კავკასიაში მსოფლიო ბანკის რეგიონული დირექტორის როლანდ პრაისის განცხადება, რომელმაც აღნიშნა, რომ შუა დერეფნის სრულად განვითარების შემთხვევაში არსებობს ეკონომიკური განვითარების უზარმაზარი პოტენციალი და საამისოდ საჭიროა გარკვეული დრო და ინვესტიციები. არსებითი მნიშვნელობის საკითხად კვალიფიცირდება მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა (როგორც საჯარო ისე კერძო პირებთან). მსოფლიო ბანკის რეგიონალურმა დირექტორმა სამხრეთ კავკასიაში აღნიშნა საქართველოს როლსა და მნიშვნელობაზე, რომ საქართველო არის ერთ-ერთი საკვანძო ქვეყანა. კვლევამ ცხადყო, რომ საქართველო, ყაზახეთი და აზერბაიჯანი 3 (სამი) ძირითადი ქვეყანაა შუა დერეფანში. 2030 წელს შეხედულებასთან და მოლოდინებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ საჭიროა კომერციაზე, კერძო სექტორზე საერთო ხედვა. შუა დერეფანი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ როგორც ხიდი ევროპასა და აზიას შორის, არამედ როგორც დამხმარე ფაქტორი რეგიონთაშორისი ვაჭრობის განვითარებისთვის.⁵³

შუა დერეფანში ჩინეთიდან სატვირთო ავტომობილების გავლა ხაზგასმით უთითებს საქართველოს სტრატეგიული მდებარეობის ასპექტზე და ქვეყნის გარდამტეხ როლზე ევროპის და აზიის კონტინენტების დაკავშირების ფაქტზე. 2024 წლის 27 მაისს პირველად შედგა შუა დერეფნის გავლით ტვირთის გადაზიდვა⁵⁴, კერძოდ ჩინეთიდან (ქ. ურუმჩი) დატვირთული ჩინური სატვირთო ავტომობილები ევროპაში ტვირთის გატანა საქართველოს გავლით დაიწყეს (თუ ამ დრომდე გადაზიდვები ხორციელდებოდა სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით, 2024 წელს აღნიშნულ მარშრუტს დაემატა ტვირთის გადაზიდვა საავტომობილო ტრანსპორტით, მხარეებს შორის გაიცვალა ორმხრივი გადაზიდვის ნებართვები). ორგანიზებული საპილოტე ავტოგადაზიდვა საქართველოში ყაზახეთის, კასპიის ზღვის და აზერბაიჯანის გავლით შედგა. როგორც ცნობილია, ჩინეთიდან ევროპაში საზღვაო მარშრუტით ტვირთის გადაზიდვა საჭიროებს 52 (ორმოცდათორმეტი) დღეს, იმ დროს როდესაც ყაზახეთი-ჩინეთის საზღვრიდან შუა დერეფნის გავლით საქართველოს პორტებამდე საკონტეინერო გზავნილის განხორციელება შესაძლებელია 12 (თორმეტი) დღეში, ამავე რაოდენობის დროს საჭიროებს ავტოგზავნილი ანალოგიური ტრანსპორტის გამოყენებით. შუა დერეფანი უკიდურესად მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ევროკავშირისა და ცენტრალური აზიის რესპუბ-

53 Unlocking the Potential of the Middle Corridor. The World Bank Group article. [February 27, 2024 Tbilisi, Georgia]. *ibid*: <https://www.worldbank.org/en/events/2024/02/27/unlocking-the-potential-of-the-middle-corridor>

54 The Middle Corridor is Being Funded Faster than Expected. The Times of Central Asia (English). [01 July 2024]. *ibid*: <https://timesca.com/the-middle-corridor-is-being-funded-faster-than-expected/>

ლიკებისთვის, არამედ პეკინისთვისაც, რადგან ის ჩინეთს სავაჭრო მარშრუტების დივერსიფიკაციის საშუალებას აძლევს. ჩინეთი ვერ მიაღწევს ეკონომიკურ ზრდას და კეთილდღეობას საერთაშორისო ბაზრებზე წვდომის გარეშე (Modebadze, 2023, 27). ყაზახეთის ტრანსპორტის სამინისტროს საავტომობილო ტრანსპორტის კონტროლის კომიტეტის თავჯდომარე, ალი ალტაი, განაცხადა, რომ ჩინეთიდან დასავლეთის ქვეყნებს ასობით მილიონი ტონა ტვირთის საზღვაო გზით გადაზიდვა საჭიროებს 52 (ორმოცდათორმეტი) დღეს, ხოლო მცირე მოცულობის ტვირთი რკინიგზით 22 (ოცდაორი) დღის განმავლობაში მიეწოდება. რაც შეეხება საავტომობილო ტრანსპორტს ალტაის შეფასებით შუა დერეფნის გამოყენებით ავტოტრანსპორტირება დროს 12 (თორმეტი) დღემდე ამცირებს, რომლის დროსაც მიწოდება შუალედური დატვირთვა/გადმოტვირთვის გარეშე მოხდება.⁵⁵



საქართველოს ეკონომიკის მინისტრის მოადგილის გურამ გურამიშვილის განცხადებით: „ზემოხსენებული მარშრუტი სარკინიგზო ხაზით ფუნქციონირებს 2017 წლიდან, თუმცა დღეს პირველად ჩაერთო ამ გადაზიდვაში ავტოსატრანსპორტო საშუალება და მიმდინარე წლის 26 მაისს საქართველოში შემოვიდა პირველი ავტოსატრანსპორტო გზავნილი, რომელიც იყო საქართველოს დანიშნულებით. მიწოდების ჯაჭვში აღნიშნული გაადვილებს მობილობას და გაამარტივებს მიწოდების ჯაჭვს. 2023 წელს ჩინეთსა და საქართველოს შორის გადანყდა ორმხრივი ნებართვების გაცემის შესახებ, რამაც პრაქტიკული ასახვა ჰპოვა 1 (ერთი) წლის შემდეგ და შუა დერეფნის გასწვრივ საქართველოში საავტომობილო მიმოსვლით არის შესაძლებელი ტვირთების შემოტანა-გაგზავნა. გარდა აღნიშნულისა მხარეებს შორის დაიგეგმა 2024 წლის ივლისის თვეში ანალოგიურ მარშრუტზე საქართველოს გავლით სატრანზიტო გადაზიდვა, რომელიც დასრულდება თურქეთის რესპუბლიკაში. რაც თავის მხრივ საჭიროებს ლოჯისტიკური სერვისების მრავალფეროვნებას. ყოველივე აღნიშნულის მეშვეობით, საქართველო გაიმყარებს პოზიციას გლობალური მიწოდების ჯაჭვში რაც ხელშემწყობი ფაქტორია ლოჯისტიკური სერვისების განვითარებისთვის. აღმოსავლეთ-დასავლეთის საავტომობილო მაგისტრალი არის ერთ-ერთი არსებითი ნაწილი ამ პროექტისადმი ინფრასტრუქტურული მზაობის გამოვლენისა. გარდა ამისა აღსანიშნავია ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი; აქტიურ ფაზა-

55 საგაზეთო გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ნ.791. ისტორიაში პირველად – ჩინურმა სატვირთო ავტომობილებმა ევროპაში ტვირთის სატრანზიტო გადაზიდვა საქართველოს გავლით დაიწყეს. [27 მაისი, 2024 წელი]

ში შევიდა ანაკლიის პორტის მშენებლობისთვის საჭირო პროცედურები. საქართველო ხდება მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტორი გლობალური მიწოდების ჯაჭვში შუა დერეფნის სახით. ყველა ქვეყანა არის საკუთარი ბაზრის დამცველი, შესაბამისად კვოტებთან მიმართებით დადგენილია რიგი შეზღუდვები. მნიშვნელოვანია, რომ საქართველო აწარმოებს არაერთგზის მოლაპარაკებებს ხსენებული კვოტების ზრდასთან დაკავშირებით“ (გურამიშვილი 2024). სატრანზიტო დერეფნის ჩამოყალიბებამ, სამხრეთ კავკასიის რეგიონის ქვეყნებს (მათ შორის საქართველოს) განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა გლობალურ ენერგოპოლიტიკაში დანიშნულების კუთხით და რეგიონი განათავსა ღირსეულ, უზადლო ადგილას მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე. სამხრეთ კავკასიის რეგიონში არსებულ ენერგოდერეფანს სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება (უსაფრთხოების ახალი გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში, 2023, 14). ამდენად, მნიშვნელოვანია ამიერკავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკურ სივრცეში პოზიციონირების სწორად წარმართვა/გამოყენება. გეოგრაფიულმა მდებარეობამ განაპირობა საქართველოს როლის გაძლიერება. ასევე სავაჭრო ურთიერთობებმა ევროპის და აზიის ქვეყნებთან. შუა აზიის ქვეყნებმა აქტიურად დაიწყეს ვაჭრობა ევროპასთან, რუსეთი დიდწილად სანქცირებულია და საქართველოს სატრანსპორტო ფუნქცია გაძლიერდა. ინფრასტრუქტურა რომ გვინყობდეს ხელს სამჯერი მეტი ტვირთის გადაზიდვა იქნება შესაძლებელი, ვიდრე დღეს.⁵⁶

მსოფლიო ბანკის 2023 წლის კვლევის მიხედვით, შუა დერეფანს დიდი როლი ეკისრება ყაზახეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს გზების დივერსიფიკაციაში (მსოფლიო ბანკის ახალი ანგარიშის შეფასება). როგორც ანგარიშიდან ვიგებთ, რომ შუა დერეფნის მოსაწყობად საკვანძო მნიშვნელობის მქონეა შესრულდეს და მოწესრიგდეს გამართული ინფრასტრუქტურა (ინფრასტრუქტურული პრიორიტეტების შეფასების პარალელურად არსებითი მნიშვნელობისაა ეფექტიანობის ზრდის საკითხი და ახალი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება) ელექტრონული სერვისების (გაციფრულების) მიზანმიმართული პოლიტიკით დანერგვა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყაზახეთის რესპუბლიკას, აზერბაიჯანის რესპუბლიკას და საქართველოს ექსპორტის მოცულობის პროდუქციის და დამატებითი ღირებულების გაზრდა შეუძლია საწარმოო საქმიანობის აგლომერაციის ხელშეწყობის გზით.⁵⁷ მსოფლიო ბანკი მთავარი ყურადღებას ინფრასტრუქტურაზე, დერეფნის გაციფრულებასა და საფასო პოლიტიკაზე ამახვილებს.

წინამდებარე კვლევა მოიცავს შეკითხვას – რა არის საჭირო შუა დერეფნის პოტენციალის ათვისებისთვის და მისი შემდგომი განვითარებისთვის? სტატისტიკური მონაცემები ავლენს, რომ საქონლის მიწოდება, ტრანსპორტირება 2022 წელს 2021 წელთან შედარებით 33%-ით გაიზარდა, თუმცა თუმცა 2023 წლის 8 თვეში ტრანსპორტირება 37%-ით შემცირდა. შუა დერეფნის ამოქმედება საგრძნობლად აამაღლებს შუა ტვირთბრუნვის აბსოლუტურ მაჩვენებლებს. ის რომ 2030 წლისთვის დერეფანი სრულად ამოქმედდეს საჭიროა სამუშაოების

56 საგაზეთო გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ნ.790. წითელ ზღვაში ვითარება უფრო იძაბება. საქართველოზე გამავალ დერეფანზე მოთხოვნა კიდევ გაიზარდება. [20 მაისი, 2024 წელი]

57 Middle trade and transport corridor. [The World Bank 2023]. *ibid*: <https://documents1.worldbank.org/curated/en/099020924131511552/pdf/P1803221ba75ba0e41ad4b157d03027bf7d.pdf>

გატარება. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსოფლიო ბანკის ტრანსპორტის მიმართულების ხელმძღვანელმა ევროპასა და შუა აზიის რეგიონში, შომიკ მენდრატმა, აღნიშნა რომ საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარება. დიჯიტალიზაციის ზრდა და საზღვრის მართვასა და სერვისების გამარტივება. ზემოხსენებულისთვის საჭიროა ერთი სერვისი და ერთი მილი, რათა გადამზიდებმა რომლებსაც A პუნქტიდან ადგილიდან B პუნქტამდე სურთ გადაადგილება იფიქრონ დერეფანზე, როგორც სიცოცხლისუნარიან ალტერნატივაზე, რამდენადაც საქმე არ ეხება მხოლოდ კონტეინერების ერთი ბოლოდან დანიშნულების ადგილამდე გადატანას. შუა დერეფანს აქვს პოტენციური შექმნას სამუშაო ადგილები კავკასიაში, ყაზახეთში. ამ მიზნებისთვის როდესაც საკითხი ეხება ეკონომიკურ დერეფანად გადაქცევაზე გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალი.⁵⁸

საქართველოს ეკონომიკის დამდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, გურამ გურამიშვილი აღნიშნავს, რომ შუა დერეფანში ტვირთების გადაზიდვის პროცესის გაციფრულებაზე კონსულტანტები მუშაობენ. დღესდღეობით საბაჟო უწყებები ურთიერთშორის ცვლიან ინფორმაციას წინმსწრებად მიმდინარეობს გასატარებელი ტვირთის შესახებ ინფორმაციის დამუშავება. იგეგმება ამ პროცესის გაციფრულება და მოქცევა ერთიანი პლატფორმის ქვეშ. ზემოხსენებული მიუთითებს თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ინფრასტრუქტურის ხელშეწყობისთვის დიჯიტალიზაციის ასპექტს. ამ მიზნებისთვის მნიშვნელოვანია სატრასპორტო (ლოჯისტიკური) პოტენციალის სწორად განსაზღვრა და გამოყენება. მიმდინარე რეალობაში უკვე იდგმება აღნიშნულის რეალიზების ნაბიჯები (ამ მიზნებისთვის გადგმული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2023 წლის 18 ოქტომბრის საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება ახალ კომპიუტერიზებულ სატრანზიტო სისტემა NCTS მიერთების შესახებ).⁵⁹

საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი შუა დერეფანი არ არის მხოლოდ გზა ტრანსპორტირებისთვის, ის ქმნის ეკონომიკურ პოტენციალს. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი რეგიონების განვითარება. 2030 წლისთვის სამინისტრო დაასრულებს ყველა მაგისტრალს, რომელიც ტვირთთა გადაზიდვას უზრუნველყოფს.⁶⁰

კვლევამ აჩვენა, რომ შუა დერეფანში ტრანსპორტირების ამჟამინდელი ხარჯები მაღალი და არასტაბილურია. ხარჯები უფრო ახლოსაა ჩრდილოეთის დერეფნის ფიქსირებულ ტარიფებთან, მიუხედავად იმისა რომ ტრანსპორტირების დრო ორჯერ უფრო მეტია შუა დერეფნის გასწვრივ. კვლევაში აღნიშნულია რომ 2022 წელს საშუალოდ დასჭირდა 50-დან 53 დღემდე ტვირთის გადაზიდვას

58 The World Bank representative: Middle Corridor has potential to create jobs for people in Caucasus. [Agenda.ge, 27 Feb 2024 – 13:01, Tbilisi, Georgia]. view: <https://agenda.ge/en/news/2024/723#gsc.tab=0>

59 საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №75 2024 წლის 12 მარტი. [მიღების თარიღი: 12/03/2024]. [სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017807]. იხ: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6129774?publication=0>

60 შუა დერეფანი არ არის მხოლოდ გზა ტრანსპორტირებისთვის, ის ეკონომიკურ პოტენციალს ქმნის. საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი. [27 თებერვალი, 2022]. იხ: <https://ge.kavkazplus.com/news.php?id=54280>4>

დოსტიკიდან კონსტანცამდე შუა დერეფნის გავლით. ყველაზე დიდი შეფერხებები საზღვაო გადაკვეთებზეა. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია გემების ნაკლებობასთან.⁶¹

დასკვნა

მნიშვნელოვანია აღინიშნოს საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის და სომხეთის ინტერესების თანხვედრა: არ დაუშვან რაიმე სახის დესტაბილიზაცია სამხრეთ კავკასიის რეგიონში. სომხეთს (სომხეთის პრეზიდენტს) მეტად გონივრულად მიჰყავს სახელმწიფო პოლიტიკა (მართალია წვალებით, თუმცა რეგიონის ინტერესების შესაბამისად). როგორც პრემიერ-მინისტრმა ფაშინიანმა გამოთქვა: „ყველაზე კარგი გარანტია არის საზოგადოების მხრიდან ლეგიტიმაცია და არა რომელიმე კონკრეტული გარანტორი ქვეყნის მხარდაჭერა. დღეს გარანტორია, თუმცა ხვალ შეიძლება იქცეს პოტენციურ მონინალმდეგედ. აქ გვინდა მოვიშველიოთ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ლორდი პალმერსტონის (1784-1865) 1848 წლის 1-ლი მარტის განცხადება: „დიდ ბრიტანეთს არ ჰყავს მუდმივი მეგობრები და მუდმივი მტრები, დიდ ბრიტანეთს აქვს მუდმივი ინტერესები“.⁶²

საჭიროა რომ საქართველომ მოსაზღვრე ქვეყნებთან, სტრატეგიულ მოკავშირეებთან (მათ შორის: თურქეთთან, აზერბაიჯანის რესპუბლიკასთან, სომხეთის რესპუბლიკასთან) დაამყაროს მჭიდრო ურთიერთობები, რაც მიზნად უნდა ისახავდეს რეგიონული მშვიდობის გარანტიის მყარი ფუნდამენტის შექმნას. საქართველოს დამოუკიდებლობის სურვილმა და დამოუკიდებლობამ მოუტანა დამოუკიდებლობა სომხეთის რესპუბლიკას და აზერბაიჯანის რესპუბლიკას. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებმა რამდენიმე დღის განსხვავებით დამოუკიდებლობის შესახებ გამოაცხადეს თბილისში. პოლიტიკის მეცნიერულ დონეზე შესწავლა არ უნდა წარიმართოს დოგმატურად, ვინაიდან ნაცვლად პოლიტიკის დოგმატურ საკითხად კვალიფიცირებისა, უნდა ფასდებოდეს რაციონალურად. რამდენადაც მეცნიერული კვლევის მიზანი სწორედ მიზეზშედეგობრივი კავშირების ძიებაა.⁶³

კვლევამ აჩვენა, რომ შუა დერეფანში ტრანსპორტირების ამჟამინდელი ხარჯები მაღალი და არასტაბილურია. ხარჯები უფრო ახლოსაა ჩრდილოეთის დერეფნის ფიქსირებულ ტარიფებთან, მიუხედავად იმისა რომ ტრანსპორტირების დრო ორჯერ უფრო მეტია შუა დერეფნის გასწვრივ. კვლევაში აღნიშნულია რომ 2022 წელს საშუალოდ დასჭირდა 50-დან 53 დღემდე ტვირთის გადაზიდვას დოსტიკიდან კონსტანცამდე შუა დერეფნის გავლით. ყველაზე დიდი შეფერხებები საზღვაო გადაკვეთებზეა. ძირითადი პრობლემები დაკავშირებულია გემების ნაკლებობასთან. მაღალი ფასები, დროის არაპროგნოზირებადობა, მიკვლევა-

61 Middle trade and transport corridor. [The World Bank 2023]. View: <https://documents1.worldbank.org/curated/en/099020924131511552/pdf/P1803221ba75ba0e41ad4b157d03027bf7d.pdf>

62 Oxford Essential Quotations\$ Oxford Essential Quotations (4 ed.). [speech, House of Commons, 1 March 1848]. view: <https://www.oxfordreference.com/display/10.1093/acref/9780191826719.001.0001/q-oro-ed4-00008130>

63 პოლიტიკა მოკლე შესავალი. გვ. 124 პოლიტიკის შესწავლა მეცნიერულად. კენეთ მინოუგი. [ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2019]. [ISBN 978-9941-30-284-8]

დობის სისტემების არარსებობა, ლოგისტიკური ცენტრების დაბალი ხარისხი სახელდება ძირითად პრობლემებად, რომელსაც გავლენა აქვს შუა დერეფნის გასწვრივ სარკინიგზო ტრანსპორტზე. დასკვნის სახით წარმოვადგენთ ჩვენს დამოკიდებულებას და აღვნიშნავთ, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი მსოფლიოში მიმდინარე გეოპოლიტიკური ცვლილებების ერთ-ერთი ეპიცენტრია. ახალი ფინანსურ-ეკონომიკური შესაძლებლობები ავითარებს ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობას, დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დანერგვას, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრირებას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. დღევანდელ რეალობაში ირაციონალიზმი და რეალურ ძალთა განლაგების გაუთვალისწინებულობა ინვესტორების რეგიონალურ კონფლიქტს ან გლობალურ განხეთქილებას. ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი (შემდგომ შუა დერეფანი) ჩინეთსა და ევროპას შორის სატრანზიტო ტვირთის სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივაა. ამის შესახებ აღნიშნა ყაზახეთში ევროკავშირის ელჩმა კესტუტის იანკაუსკასმა. მისი თქმით ყაზახეთი ევროპის და აზიის, ევროკავშირის და ჩინეთის კვანძებია. ჩინეთსა და ევროკავშირის შორის სახმელეთო ტვირთის უმეტესი ნაწილი ტრანზიტით ყაზახეთის გავლით გადის, ხოლო ათწლეულების განმავლობაში ბევრი ეს საფაქრო ნაკადი რუსეთის გავლით, ჩრდილოეთ მარშრუტით გადიოდა. ელჩის შეფასებით, უკრაინის ომის დაწყებიდან და ევროკავშირის სანქციების დაწესების შემდეგ ზოგიერთმა კომპანიამ თავისი ლოგისტიკური ოპერაციები სანქცირებული ქვეყნებიდან გადაიტანა, რამაც ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის განვითარებას მისცა ბიძგი.⁶⁴ ყაზახეთის რესპუბლიკაში ევროკავშირის ელჩმა, კესტუტის იანკაუსკასმა, განაცხადა, რომ ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტი ჩინეთსა და ევროპას შორის სატრანზიტო ტვირთის სიცოცხლისუნარიანი ალტერნატივაა.⁶⁵

გამოყენებული ლიტერატურა:

გაჩეჩილაძე რ., ახლო აღმოსავლეთი ტომი II გეოპოლიტიკა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2019

მინოუგი კ., პოლიტიკა მოკლე შესავალი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი 2019

რეიფილდი დ., საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინზე, პალიტრა L გამომცემლობა, თბილისი 2019

სტუდენტური ორგანიზაციის ნაშრომთა კრებული, უსაფრთხოების ახალი გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში. გვ.14 სამხრეთ კავკასიის, როგორც ენერგორესურსების სატრანზიტო დერეფნის სტრატეგიული მნიშვნელობა. სსიპ.

64 საგაზეთო გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ნ.788. შუა დერეფნით სატვირთო მიმოსვლის გასაძლიერება შესაძლებელია. [10 მაისი, 2024 წელი]

65 საგაზეთო გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ნ.790. წითელ ზღვაში ვითარება უფრო იძაბება. საქართველოზე გამავალ დერეფანზე მოთხოვნა კიდევ გაიზრდება. [20 მაისი, 2024 წელი]

დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია, გორი 2023 წელი

სამხრეთ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა – თეზისების კრებული, კავკასია გზაჯვარედინზე რეგიონული სტაბილურობის გამოწვევები, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, 11 ივნისი, 2016 წელი

სამხრეთ კავკასიის და ახლო აღმოსავლეთის თანამედროვე გეოპოლიტიკური მდგომარეობა, თსუ-ს ელ. გამომცემლობა 2016

საგაზეთო გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ნ.791 ისტორიაში პირველად – ჩინურმა სატვირთო ავტომობილებმა ევროპაში ტვირთის სატრანზიტო გადაზიდვა საქართველოს გავლით დაიწყეს, 27 მაისი 2024 წელი

საგაზეთო გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ნ.790 წითელ ზღვაში ვითარება უფრო იძაბება. საქართველოზე გამავალ დერეფანზე მოთხოვნა კიდევ გაიზრდება, 20 მაისი 2024 წელი

საგაზეთო გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ნ.788 შუა დერეფნით სატვირთო მიმოსვლის გასამმაგება შესაძლებელია, 10 მაისი 2024 წელი

საგაზეთო გამოცემა „ბანკები და ფინანსები“ ნ.790 წითელ ზღვაში ვითარება უფრო იძაბება. საქართველოზე გამავალ დერეფანზე მოთხოვნა კიდევ გაიზრდება, 20 მაისი 2024 წელი

ჯაფარიძე ე., ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები სამხრეთ კავკასიაში, გამომცემლობა: უნივერსალი, თბილისი 2021

Kacharava A. Daushvili A., The Democratic Republic of Georgia Struggle for Independence 1918-1921, Artanuji, Tbilisi 2020

Modebadze V. Challenges Facing Humanity Since the Outbreak of the War in Ukraine, Lambert Academy Publishing, 2023

ინტარნეტ რესურსები:

ევროპულმა საბჭომ საქართველოს კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიანიჭა. EU neighbours east [15 დეკემბერი, 2023]. იხ: <https://euneighbourseast.eu/ka/news/latest-news/evropulma-sabchom-sakharthvelos-kandidati-khveqhnis-statusi-mianicha/>

ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. იხ: <http://www.nplg.gov.ge/saskolo/index.php?a=term&d=45&t=7993>

ისტორია. ეროვნული სასახლე 1918-1921. (2024) იხ: <https://youthpalace.ge/ka/history>

Ахмедов Х., Азербайджан и Грузия: связи стратегического партнерства, вышедшие на уровень союзнических. (Баку, 7 апреля, 2023) https://azertag.az/ru/xeber/azerbaidzhan_i_gruziya_svyazi_strategicheskogo_partnerstva_vyshedshie_na_uroven_soyuznicheskih-2562128

აშშ-ს ენერგეტიკული დიპლომატია მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრების ტრანს-
ფორმაციის პირობებში (სამხრეთ კავკასიის ვექტორი) ვაჰე დავითიანი, სილ-
ვა ხაჩიკიანი. [ბრიუსელის სახელმწიფო უნივერსიტეტი]. იხ: [https://vectors.ge/
wp-content/uploads/2023/03/c42f9735a92761d8ae38819c6eff829c.pdf](https://vectors.ge/wp-content/uploads/2023/03/c42f9735a92761d8ae38819c6eff829c.pdf)

ჩინური სატვირთო ავტომობილები საქართველოს გავლით თურქეთში ტვირთების
გადაზიდვას ივლისში გეგმავენ. ავტორი: თაია არდოტელი. [28 მაისი, 2024
წელი]. იხ: [https://www.bpn.ge/article/125241-chinuri-satvirto-avtomobilebi-sa-
kartvelos-gavlit-turketshi-tvirtebis-gadazidvas-ivlisshi-gegmaven/](https://www.bpn.ge/article/125241-chinuri-satvirto-avtomobilebi-sa-kartvelos-gavlit-turketshi-tvirtebis-gadazidvas-ivlisshi-gegmaven/)

Unlocking the Potential of the Middle Corridor. The World Bank Group article. [February
27, 2024 Tbilisi, Georgia]. ibid: [https://www.worldbank.org/en/events/2024/02/27/
unlocking-the-potential-of-the-middle-corridor](https://www.worldbank.org/en/events/2024/02/27/unlocking-the-potential-of-the-middle-corridor)

The Middle Corridor is Being Funded Faster than Expected. The Times of Central Asia
(English). [01 July 2024]. ibid: [https://timesca.com/the-middle-corridor-is-be-
ing-funded-faster-than-expected/](https://timesca.com/the-middle-corridor-is-be-ing-funded-faster-than-expected/)

Middle trade and transport corridor. [The World Bank 2023]. ibid: [https://documents1.
worldbank.org/curated/en/099020924131511552/pdf/P1803221ba75ba0e41ad4b
157d03027bf7d.pdf](https://documents1.worldbank.org/curated/en/099020924131511552/pdf/P1803221ba75ba0e41ad4b157d03027bf7d.pdf)

გურამ გურამიშვილი: შუა დერეფნის მიმართ სულ უფრო მზარდია ინტერესი,
რაც ქმნის ახალ შესაძლებლობებს მარშრუტის შემდგომი გაფართოებისა და
დამატებითი ტვირთების მოზიდვისათვის. საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების სამინისტრო. [27 თებერვალი, 2024 წელი]. იხ: [https://
www.economy.ge/?page=news&nw=2464](https://www.economy.ge/?page=news&nw=2464)

The World Bank representative: Middle Corridor has potential to create jobs for people
in Caucasus. [Agenda.ge, 27 Feb 2024 – 13:01, Tbilisi, Georgia]. view: [https://agen-
da.ge/en/news/2024/723#gsc.tab=0](https://agenda.ge/en/news/2024/723#gsc.tab=0)

საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №75 2024 წლის 12 მარტი. [მილე-
ბის თარიღი: 12/03/2024]. [სარეგისტრაციო კოდი: 230210000.22.033.017807].
იხ: <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/6129774?publication=0>

შუა დერეფანი არ არის მხოლოდ გზა ტრანსპორტირებისთვის, ის ეკონომიკურ
პოტენციალს ქმნის. საქართველოს ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგ-
ილე მზია გიორგობიანი. [27 თებერვალი, 2022]. იხ: [https://ge.kavkazplus.com/
news.php?id=54280>4](https://ge.kavkazplus.com/news.php?id=54280>4)

Oxford Essential Quotations\$ Oxford Essential Quotations (4 ed.). [speech, House
of Commons, 1 March 1848]. view: [https://www.oxfordreference.com/dis-
play/10.1093/acref/9780191826719.001.0001/q-oro-ed4-00008130](https://www.oxfordreference.com/display/10.1093/acref/9780191826719.001.0001/q-oro-ed4-00008130)

საზოგადოებრივ ადგილას განხორციელებული სექსუალური შევიწროების სამართლებრივი და პრაქტიკული ასპექტები – რეაგირების პროცესი

შესავალი

სექსუალური შევიწროება ფართოდ გავრცელებულ მოვლენას წარმოადგენს. 2014 წელს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) კვლევის თანახმად, მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 10-დან 1, ანუ 120 მილიონი 20 წლამდე ასაკის გოგო გახდა იძულებითი სქესობრივი აქტის ან სხვა სახის იძულებითი სექსუალური ქმედების ობიექტი.⁶⁶

2015 წელს ქალთა მიმართ ძალადობის საკითხზე ევროკავშირის მასშტაბით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ 18-დან 29 წლამდე ასაკის ყოველი მესამე ქალიდან ერთზე მეტმა (38%) განიცადა სექსუალური შევიწროების მინიმუმ ერთი ფორმა გამოკითხვამდე 12 თვით ადრე, ისევე როგორც თითქმის ყოველი მეხუთე ქალი (24%) 30-დან 39 წლამდე ასაკის. ევროკავშირის მასშტაბით, სექსუალური შევიწროების რისკი საშუალოზე მაღალია 18-დან 39 წლამდე ასაკის ქალებისთვის.⁶⁷ 2017 წელს ჩატარებული კვლევის თანახმად „საქართველოში სექსუალური შევიწროება 5-დან 1 ქალს ცხოვრების განმავლობაში ერთხელ მაინც განუცდია“.⁶⁸

სტამბოლის კონვენციით აღებული ვალდებულების შესრულებას ემსახურებოდა 2019 წლის დასაწყისში, საქართველოს პარლამენტის მიერ განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც ადმინისტრაციულ სამართლებრივ პასუხისმგებლობას დაექვემდებარა სექსუალური შევიწროების ფაქტები, ამასთან, ცვლილებები შევიდა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში და შრომის კოდექსში. სექსუალური შევიწროების საკითხი ქართულ კანონმდებლობაში მრავალმხრივ არის მოწესრიგებული, წინამდებარე ნაშრომში შეეხება მხოლოდ საზოგადოებრივ ადგილას განხორციელებული სექსუალური შევიწროების სამართლებრივ და პრაქტიკულ ასპექტებს.

1. სექსუალური შევიწროების არსი და საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირება

სექსუალური შევიწროება მთელს მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული მოვლენაა, რომლის მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი, თუმცა, უმეტესად აღნიშნული ქმედების მსხვერპლები ქალები არიან. საყოველთაოდ

66 UN WOMEN – ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში 2022, https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/updated_vaw_geo_web4-3.pdf (15.09.2024).

67 Violence Against Women: an EU-wide Survey, 2015, https://www.jafnretti.is/static/files/8_FRA_VAW_Survey_25_Sep_Reykjavik.pdf (15.09.2024).

68 UN Women/ევროკავშირი – 2017 წლის ეროვნული კვლევა, საქსტატი/გაეროს ქალთა ორგანიზაცია.

აღიარებულ ფაქტს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სექსუალური შევიწროება გამანადგურებელ გავლენას ახდენს მსხვერპლთა ჯანმრთელობაზე და მათ კეთილდღეობაზე.⁶⁹ სექსუალური შევიწროება დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმად განიხილება, რომელსაც ძალიან ხშირად საფუძვლად უდევს საზოგადოებაში გავრცელებული გენდერული სტერეოტიპები. დასაქმებისა და პროფესიულ სფეროში ქალისა და კაცის თანაბარი შესაძლებლობების და მოპყრობის შესახებ 2006/54/EC დირექტივის თანახმად, რომელიც ევროკავშირის ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის კონსოლიდირებულ ვერსიას წარმოადგენს, შევიწროება და სექსუალური შევიწროება ეწინააღმდეგება ქალს და მამაკაცს შორის თანასწორობის პრინციპს და წარმოადგენს სქესის ნიშნით დისკრიმინაციას.⁷⁰

ყველა თანხმდება, რომ თითოეული ადამიანი დაცული უნდა იყოს სექსუალური შევიწროებისგან განურჩევლად იმ სივრცისა, სადაც მას უწევს ყოფნა. არაერთი საერთაშორისო აქტი⁷¹ მოუწოდებს ქვეყნებს შექმნან ისეთი სამართლებრივი სივრცე, სადაც სრულყოფილად მოახდენენ სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების განხორციელებას და აღნიშნული ქმედების ჩამდენი პირების პასუხისგებაში მიცემას, იქნება ეს სამოქალაქო, ადმინისტრაციული თუ სისხლის სამართლებრივი მექანიზმების გამოყენების მეშვეობით.

ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მიხედვით: „სექსუალური შევიწროება მოიცავს არასასურველ, სექსუალური ხასიათის ქცევას, მათ შორის, ფიზიკურ კონტაქტსა და სხვა მცდელობებს, სექსუალური შინაარსის მქონე განცხადებებს, პორნოგრაფიის ჩვენებასა და სექსუალური ხასიათის მოთხოვნებს, მნიშვნელობა არ აქვს, ასეთი ქცევა გამოხატული იქნება ვერბალურად თუ ქმედებით. ამგვარი პრაქტიკა დამამცირებელია და შესაძლოა, ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები გამოიწვიოს. დისკრიმინაციულია ქმედება, თუ ქალს აქვს გონივრული ეჭვი, რომ მისი გაპროტესტება უარყოფით გავლენას მოახდენს მის სამსახურებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის, სამსახურში აყვანასა თუ დაწინაურებაზე, ან როდესაც ასეთი ქცევა მას მტრულ სამუშაო გარემოს უქმნის“.⁷²

არაერთი კვლევით დასტურდება, რომ სექსუალური შევიწროების მსხვერპლი გაცილებით უფრო მეტი ადამიანი ხდება, ვიდრე ამის დაფიქსირება ხორციელდება. „ევროკავშირში ჩატარებული კვლევის მიხედვით, რომელშიც 42 000 ადამიანი მონაწილეობდა, ყოველ მეორე ქალს (55%) 15 წლის ასაკის შემდეგ

69 სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში, UN WOMEN საქართველო, 2021 წელი, გვ.: 11.

70 Directive 2006/54/ec of the european parliament and of the council of 5 July 2006. <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2006:204:0023:0036:en:PDF> (15.09.2024).

71 1. UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12: Violence against women, 1989, §1, <http://www.un.org/womenwatch/daw/cedaw/recommendations/recomm.htm#recom12>. 2. Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011, § 207, გვ. 33-35, <https://rm.coe.int/16800d383a>.

72 სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში, UN WOMEN საქართველო, 2021 წელი, გვ.: 11-12.

ერთხელ მაინც გამოუცდია სექსუალური შევიწროება.⁷³ „მსოფლიოში, საშუალოდ, 18 წლის და მეტი ასაკის ქალთა 75%-ს, რაც დაახლოებით ორი მილიარდი ქალია, გამოუცდია სექსუალური შევიწროება.“ (Chamie, J. 2018) სტატისტიკური მონაცემებიც კი, რომელიც არ ასახავს სრულყოფილ რეალობას, მიუთითებენ ამ პრობლემის მასშტაბურობაზე და მისი გავლენის დამანგრეველ შედეგებზე.

2. სექსუალური შევიწროების დეფინიცია

საქართველომ სექსუალური შევიწროების დეფინიცია 2019 წელს მიიღო და გაატარა მთელი რიგი საკანონმდებლო ცვლილებები იმისათვის, რომ მომხდარიყო სრულყოფილი საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად ცვლილებები განხორციელდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში, ასევე, შრომის კოდექსში. აღსანიშნავია, რომ საქართველომ აირჩია სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების ადმინისტრაციულ სამართლებრივი რეგულირება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად,⁷⁴ სექსუალური შევიწროება ეს არის საზოგადოებრივ ადგილებში პირის მიმართ არასასურველი სექსუალური ხასიათის ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხყოფელ გარემოს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ სექსუალურ შევიწროებას აქვს თავისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებები, სუბიექტური გარემოებებია:

- ✓ სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისთვის უნდა იყოს არასასურველი;
- ✓ სექსუალური ხასიათის ქცევა მიზნად უნდა ისახავდეს ან/და იწვევდეს პირის ღირსების შელახვას;
- ✓ სექსუალური ხასიათის ქცევა ადრესატისთვის უნდა ქმნიდეს დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, შეურაცხყოფელ ან ღირსების შემლახველ გარემოს.

რაც შეეხება სექსუალური შევიწროების ობიექტურ კრიტერიუმებს:

- ✓ სახეზე უნდა იყოს სექსუალური ხასიათის ქცევა,
- ✓ სექსუალური ხასიათის ქცევა უნდა განხორციელდეს კონკრეტული პირის მიმართ საზოგადოებრივ ადგილას.

სექსუალური შევიწროების სამართალდარღვევის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი, პასუხისმგებლობის ასაკს (16 წელს) მიღწეული, ფიზიკური

73 European Union Agency for Fundamental Rights, Violence against women: an EU-wide survey, 2014.
– European Union Agency for Fundamental Rights. Available at: <https://fra.europa.eu/en/publication/2014/violence-against-women-eu-wide-survey-main-results-report>.

74 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166¹-ე მუხლი.

პირი, განურჩევლად რაიმე ნიშნისა.

სექსუალური შევიწროება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც განზრახ, ისე გაუფრთხილებლობით. „შევიწროების საქმის განხილვისას, ასევე ჩნდება შემაწინროებლის განზრახვის საკითხი. აღსანიშნავია, რომ შევიწროების ქცევა არ საჭიროებს ადამიანის ღირსების შემლახავი ან დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი ან შეურაცხყოფელი გარემოს შექმნის განზრახვის არსებობის დადასტურებას.“ (ახობაძე, 2015, 9). საქართველოს კანონმდებლობით, რომელიც თანხვედრაშია საერთაშორისო სტანდარტებთან, პირის ღირსება არის აბსოლიტური უფლება, რომლის შეზღუდვაც დაუშვებელია. „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-17 მუხლის [ძველი რედაქცია] პირველი პუნქტის მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი სუბიექტი... ღირსება ადამიანს აქვს იქედან გამომდინარე, რომ ის ადამიანია ... ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის პატივისცემაზე“.⁷⁵ სექსუალური შევიწროება წარმოადგენს პირის უფლებებში უხემ ჩარევას, მის მიმართ არასასურველი და ხშირ შემთხვევაში შეურაცხყოფელი ქმედების განხორციელებას, შესაბამისად, აღნიშნული პირდაპირ ლახავს ადამიანის ღირსებას. შესაძლებელია სამართალდამრღვევი მიზნად ისახავდეს მსხვერპლის ღირსების შელახვას ან შესაძლოა მას არ გააჩნდეს ასეთი მიზანი, თუმცა, მისმა ქცევამ მსხვერპლში გამოიწვიოს ღირსების შელახვა, ორივე შემთხვევაში ქმედება უნდა შეფასდეს სექსუალურ შევიწროებას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166¹-ე მუხლით გათვალისწინებული სექსუალური შევიწროების დადგენისთვის აუცილებელია სახეზე იყოს შემდეგი გარემოებების ერთობლიობა: ქმედება კონკრეტული პირის მიმართ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივ ადგილას, სახეზე უნდა იყოს სექსუალური ხასიათის ქცევა (სექსუალური ხასიათის ქცევად მიიჩნევა სექსუალური ხასიათის ფრაზების თქმა ან/და მიმართვა, გენიტალიების ჩვენება ან/და სექსუალური ხასიათის სხვა ნებისმიერი არასიტყვიერი ფიზიკური ქცევა), რომელიც მიზნად ისახავს ან/და იწვევს მისი ღირსების შელახვას, და ქმნის მისთვის დამაშინებელ, მტრულ, დამამცირებელ, ღირსების შემლახველ ან შეურაცხყოფელ გარემოს. აღნიშნული ელემენტებიდან რომელიმე ელემენტის არარსებობა გამორიცხავს ქმედების სექსუალურ შევიწროებად შეფასებას.⁷⁶

3. სექსუალური შევიწროებაზე რეაგირების პროცესი

სექსუალური შევიწროების ფაქტზე რეაგირების პროცესი რამდენიმე კომპონენტს აერთიანებს, ის თავის თავში მოიცავს, როგორც მსხვერპლის მიერ

75 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, II-30.

76 უფრო ვრცლად შეგიძლიათ იხილოთ: ნ. გელოვანი, „საზოგადოებრივ ადგილას განხორციელებული სექსუალური შევიწროება – არსებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი რეგულირება და პრობლემური ასპექტები“, სამეცნიერო ჟურნალი – „სამართალი და მსოფლიო“, ტომ. 8 №21 (2022). <https://lawandworld.ge/index.php/law/article/view/294/262> (15.09.2024).

საკითხის თაობაზე შესაბამისი უფლებამოსილი პირისადმი მიმართვას, ასევე უფლებამოსილი პირის მიერ საკითხის ცოდნას, სწორ რეაგირებას და ამ რეაგირების საფუძველზე „ჭეშმარიტების“ დადგენას, რის საფუძველზეც, შემდგომ სასამართლო ამბობს საბოლოო სიტყვას სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობა-არარსებობის საკითხთან დაკავშირებით.

4. სექსუალური შევიწროების მტკიცების სამართლებრივი სტანდარტი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მეოთხე კარი განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოების ძირითად დებულებებს, აღნიშნული კოდექსის 236-ე მუხლის თანახმად „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.“ მეორე ნაწილის თანახმად კი „ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.“ შეიძლება ითქვას, რომ მტკიცებულება არის კონკრეტული გარემოების დამადასტურებელი ინფორმაციის შემცველი ობიექტი, ან სუბიექტის მიერ მოწოდებულ ინფორმაცია, რომელიც ასაბუთებს ამა თუ იმ მოვლენის, ფაქტის არსებობა-არარსებობას.

მტკიცებულებების მხოლოდ არსებობა საკმარისი არ არის, აუცილებელია მათი სათანადო შეფასება, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის თანახმად „ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.“

სექსუალური შევიწროების დადგენა საკმაოდ რთული სამართლებრივი პროცესია და ეს არ არის დამოკიდებული მხოლოდ ერთი მხარის განცხადებაზე. მხოლოდ იმის თქმა, რომ სექსუალურ შევიწროებას ჰქონდა ადგილი, საკმარისი არ არის და საჭიროა შესაბამისი მტკიცებულებების არსებობა.

ქართული კანონმდებლობა საკითხის განმხილველ პირს აკისრებს ვალდებულებას, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას კონკრეტული გარემოებები გამოარკვიოს, კერძოდ: „ორგანო (თანამდებობის პირი) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას მოვალეა დაადგინოს: ჩადენილი იყო თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ბრალეულია თუ არა პირი მის ჩადენაში, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას, არის თუ არა პასუხისმგებლობის შემამ-

სუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი, არის თუ არა საფუძველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მასალების ამხანაგური სასამართლოს, საწარმოში, დაწესებულებაში, ორგანიზაციასა და მათ სტრუქტურულ ქვედანაყოფებში შექმნილ საზოგადოებრივი ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივისათვის განსახილველად გადასაცემად, აგრეთვე გამოარკვიოს სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.⁷⁷ სწორედ აღნიშნული გარემოებების დადგენის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს ის მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც ორგანო (თანამდებობის პირი) იღებს გადაწყვეტილებას სექსუალური შევიწროების ფაქტის არსებობა-არარსებობის განხილვისას.

აღსანიშნავია, რომ პრობლემურია არა მხოლოდ სამართლებრივი ჩარჩოს არსებობა, არამედ ის საკითხებიც, რომლებიც დაკავშირებულია სექსუალური შევიწროების ფაქტის მტკიცებასთან. საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები განაპირობებს სექსუალური შევიწროების შემსწრე პირთა ან დაზარალებულთა მხრიდან სამართალდამცავ ორგანოსთან თანამშრომლობის სირთულეს, ხშირ შემთხვევაში ის პირები, ვინც ფლობენ ინფორმაციას სექსუალური შევიწროების შესახებ, არ თანამშრომლობენ შესაბამის უწყებებთან. ამასთან, ძირითადად შემთხვევებში სექსუალური შევიწროება ხორციელდება ლატენტურად, სხვათა შეუმჩნევლად, რაც განაპირობებს მტკიცებულებების სიმწირეს.

სექსუალური შევიწროება გენდერის ნიშნით დისკრიმინაციის განსაკუთრებული ფორმაა, შესაბამისად, ამ ქმედებას ახასიათებს ის ნიშნები, რაც ზოგადად არის დამახასიათებელი დისკრიმინაციული ქმედებისთვის – ლატენტური ბუნება, შემსწრე პირთა ნაკლებობა ან მათი მხრიდან თანამშრომლობის სურვილის არქონა, ქმედების სხვადასხვა მიზეზით გამართლება და სხვა.

5. სექსუალური შევიწროებაზე რეაგირებისას მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების პროცესი

სექსუალური შევიწროების ფაქტზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ერთიანდება შემდეგი გარემოებები: სექსუალური შევიწროების ფაქტზე შეტყობინების მიღება და დაუყოვნებლივი რეაგირება, მტკიცებულებების მოძიება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, შესაბამისი ოქმის შედგენა, სამართალდარღვევის ოქმის და მტკიცებულებების სასამართლოში წარდგენა და სასამართლოს მიერ სექსუალური შევიწროების ფაქტის დადგენა ან უარყოფა.

6. შეტყობინების მიღება და დაუყოვნებლივი რეაგირება

სექსუალური შევიწროების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მრავალი გზით განხორციელდეს: სამართალდამცავი უწყებისადმი მიმართვით, განცხადების დაწერით, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში შეტყობინების გაკეთებით და სხვა. არ არსებობს აღნიშნულ ფაქტთან

77 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 264-ე მუხლი.

დაკავშირებით მიმართვის რაიმე სპეციალური ფორმა. შესაბამისი ორგანო, პირი ვალდებულია რეაგირება განხორციელოს მიმართვის ფორმის მიუხედავად. აღნიშნული ხელს უწყობს სამართალდარღვევის ფაქტზე რეაგირების ეფექტურად განხორციელებას, ვინაიდან, ის არ უქმნის დამატებით ბარიერებს მსხვერპლს თუ პოტენციურ მსხვერპლს მიმართოს სამართალდარღვევის თაობაზე.

სექსუალური შევიწროების სამართალდარღვევის ფაქტზე ინფორმაციის მიღებისთანავე უნდა განხორციელდეს დაუყოვნებლივი რეაგირება, რაც გულისხმობს უფლებამოსილი პირის მხრიდან შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების პროცესი იწყება. საწყის ეტაპზე სავარაუდო მსხვერპლთან გასაუბრება და მისგან სრული ინფორმაციის მიღება ხდება, ასევე, სავარაუდო შემავიწროებლის იდენტიფიცირება და მასთან გასაუბრება. ამასთან, თუ ფაქტს ჰყავს შემსწრე, აუცილებლად ხდება გასაუბრების ჩატარება აღნიშნულ პირთან და იმ ინფორმაციის მიღება, რომელსაც ის ფლობს სავარაუდო სამართალდარღვევის შესახებ.

7. მტკიცებულებათა მოძიება/შეგროვება

მტკიცებულებების არსებობა და მათი სიმწირე სექსუალური შევიწროების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. „საერთაშორისო კვლევების თანახმად, სექსუალური შევიწროების შემთხვევებს ფარულობა ახასიათებს, რაც ართულებს მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას და მსგავს საქმეებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა მიერ წარმოდგენილ სუბიექტურ მტკიცებულებებს. ამ დროს წინა პლანზე იწევს მსხვერპლის სანდოობის შეფასება, რა დროსაც ყურადღება უნდა მიექცეს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებულ ფაქტებს, მის კავშირს თვით სექსუალური შევიწროების ფაქტთან და მსხვერპლისა და შემავიწროებლის ქცევის საერთო მახასიათებლებს.“⁷⁸ ამასთან, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზეც, რომ ხშირ შემთხვევაში, სექსუალური შევიწროების მსხვერპლს ახასიათებს მის მიმართ განხორციელებული სექსუალური შევიწროების დამადასტურებელი ფაქტების, მტკიცებულებების განადგურება, ვინაიდან ეს მტკიცებულებები დაკავშირებულია მისთვის არასასურველი შემთხვევასთან და ამ ხერხით ცდილობს დაივიწყოს ის.⁷⁹

სექსუალურ შევიწროების ფაქტზე მტკიცებულება შეიძლება იყოს:

- მსხვერპლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მომხდარი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ;
- შემსწრე პირების მიერ მოწოდებული ინფორმაცია;
- იმ პირთა მიერ მოწოდებული ინფორმაცია, რომლებმაც ნახეს მსხვერპლი აღეგებულ მდგომარეობაში ან/და რომლებსაც მსხვერპლმა მოუყვა სექსუალური შევიწროების შესახებ (ე.წ. ირიბი ჩვენება, მართალია მას ისეთი მტკიცებულებითი ძალა არ აქვს, როგორიც „პირდაპირ ჩვენებას“,

78 Ontario Human rights Commission, Policy on preventing Sexual and Gender-based Harassment, გვ. 18.

79 საქართველოს სახალხო დამცველი, 2018 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, გვ. 8.

თუმცა სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს. ამასთან, სახალხო დამცველი განმარტავს, რომ „არაპირდაპირ მოწმეთა არსებობას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, უმრავლეს შემთხვევაში სავარაუდო მსხვერპლის პირველი რეაქცია არა სამართლებრივი დაცვის გზების ძიება, არამედ არასასურველი სექსუალური გამოცდილების ისეთი ადამიანისათვის გაზიარებაა, ვისაც ენდობა.“⁸⁰ აღნიშნული მტკიცებულების მნიშვნელობაზე და სანდოობაზე არაერთ დოკუმენტში არის მითითებული, მაგალითისთვის საქმეში *Gibbons v. Sports Medicine Inc.*, ადამიანის უფლებათა ტრიბუნალმა სარწმუნოდ მიიჩნია სექსუალური შევიწროების მსხვერპლის მეგობრის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, რომ მსხვერპლი მასთან სახლში მივიდა აღელვებულ მდგომარეობაში და ისტერიულად ტიროდა სექსუალური შევიწროების განმახორციელების მიერ ჩადენილი ქმედების გამო, მიიჩნია, როგორც სანდო მტკიცებულება და მხედველობაში მიიღო გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე. *Gibbons, 2003*).

- მიმონერა;
- სხვა სახის წერილობითი მტკიცებულება;
- მსხვერპლის მიერ მოწოდებული ე. წ. „სქრინ შოთები“ (მიმონერის ამსახველი მასალა);
- მსხვერპლის ან/და მესამე პირების მიერ გაკეთებული ვიდეოჩანაწერი;
- მსხვერპლის ან/და მესამე პირების მიერ გაკეთებული აუდიოჩანაწერი;
- ფსიქოლოგის ან ფსიქიატრის მიერ გაკეთებული დასკვნა;
- მეორე მხარის (სავარაუდო სამართალდამრღვევის მიერ) მოწოდებული ინფორმაცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს შეუძლია შეაგროვოს შემდეგი მონაცემები:

- სავარაუდო მსხვერპლის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- სავარაუდო სამართალდამრღვევის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- სავარაუდო სამართალდამრღვევზე ადრე დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები ანალოგიურ ქმედებაზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მტკიცებულებების ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლია მოიპოვოს ყველა მასალა/მტკიცებულება/ინფორმაცია, რომელიც სამართალდამრღვევის საქმესთან კავშირშია.

სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს, სასამართლო მტკიცებულების სახით მხედველო-

⁸⁰ პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, სახალხო დამცველი, 2020 წელი, გვ. 42, <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021031110082436854.pdf> (15.09.2024).

ბაში იღებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს, გასაუბრების ოქმს და მხარეთა ახსნა-განმარტებებს.⁸¹

აღსანიშნავია, რომ სასამართლოს მიერ მიღებულ დადგენილებებში, ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ, მტკიცებულებათა ჩამონათვალში მითითებულია ისეთი მტკიცებულებები, როგორებიცაა: შეტყობინება, მხარეთა ახსნა-განმარტებები, ინფორმაცია პიროვნების შესახებ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სხვა.⁸²

მტკიცებულებების ამგვარი ვიწრო ჩამონათვალი გამომდინარეობს, როგორც თავად ქმედების ხასიათიდან და ბუნებიდან, ასევე, მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ სექსუალური შევიწროების შესწავლის დროს უფლებამოსილი პირი „თავს არ იწუხებს“ უფრო დეტალური და ყოველმხრივი შესწავლა განახორციელოს და ამ შესწავლის საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების სიმრავლე წარუდგინოს შემდგომ განმხილველ პირს. შეიძლება ითქვას, რომ ვინაიდან, ამ ეტაპზე, სასამართლო გაცილებით დაბალი სტანდარტით ხელმძღვანელობს სამართალდარღვევის ფაქტზე გადანყვეტილების მიღების ეტაპზე, უფრო „მეტი“ მტკიცებულებების მოძიება არ ხდება. აღნიშნული დასკვნის გაკეთება შესაძლებელია ერთის მხრივ საერთო სასამართლოების ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების მიერ მიღებული შემაჯამებელი გადანყვეტილებების ანალიზით, რომლითაც დასტურდება, რომ სასამართლო სამართალდარღვევის შეფასებას ახდენს ძირითადად მსხვერპლის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, მეორეს მხრივ ადმინისტრაციული წარმოების მასალების შესწავლითა და საკითხზე მომუშავე ადვოკატებისგან მიღებული ინფორმაციით.⁸³ რა თქმა უნდა თავისი ხასიათიდან გამომდინარე, სექსუალური შევიწროება არ გამოირჩევა მტკიცებულებათა სიუხვით, თუმცა, ეს არ ათავისუფლებს სამართალწარმოების განმახორციელებელ პირს სრულყოფილი სამართალწარმოების განხორციელებისგან და საქმისთვის მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებისგან.

სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვეტილებების შესწავლის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სექსუალური შევიწროების საქმეები გამოირჩევა მტკიცებულებების სიმწირით, ძირითად შემთხვევაში აღნიშნულ ფაქტს არ ჰყავს შემსწრე პირი, მსხვერპლი და სამართალდამრღვევი ადგილზე მარტონი იმყოფებიან, ან იმყოფებიან ისეთ ადგილას, სადაც არ არიან მოწმეები, არ ხდება ადგილის ვიდეო გადაღება და სხვა. ცხადია, ეს ართულებს მტკიცებულებების მოპოვებას და თავისთავად განაპირობებს ფაქტის შედარებით დაბალი სტანდარტით მტკიცებას.

განსხვავებულად არის მოწესრიგებული მტკიცებულებების მოპოვების პრო-

81 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 ივლისის №4/4547-20 დადგენილება.

82 თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 04 თებერვლის №4/338-21 დადგენილება, გვ.4.

83 ერთ-ერთ საქმეზე მსხვერპლის ადვოკატი ითხოვდა მსხვერპლის მეგობრის (რომელსაც მსხვერპლმა მოუყვა მომხდარის შესახებ და რომელმაც ნახა სექსუალური შევიწროების შემდგომ მსხვერპლი) გამოკითხვას, თუმცა, პოლიციის თანამშრომლებმა განუმარტა, რომ ამის აუცილებლობა არ იყო, ვინაიდან მოძალადე აღიარებდა სამართალდარღვევას.

ცედურა შრომით ურთიერთობებში განხორციელებული შევიწროების დროს, ამ შემთხვევაში პირმა, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველს განცხადებით/საჩივრით მიმართავს სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებით, ვალდებულია მიუთითოს ის ფაქტები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, ამასთან, უნდა წარადგინოს შესაბამისი მასალები, რის შემდეგაც სავარაუდო დისკრიმინაციული ქმედების განმარტებული პირს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

8. სექსუალური შევიწროების სამართალდარღვევაზე ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადები

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არაუგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს 4 თვეს. 208-ე მუხლის თანახმად სექსუალური შევიწროება წარმოადგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეს, შესაბამისად, სექსუალური შევიწროების ფაქტზე ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს პირს სამართალდარღვევის ჩადენიდან (დენადი სამართალდარღვევის არსებობის შემთხვევაში გამოვლენის დღიდან) ოთხი თვის ვადაში.

აღსანიშნავია, რომ ზოგადი ვადიდან გამონაკლისს ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც შეეხება იმ შემთხვევებს, როდესაც ფაქტთან დაკავშირებით დაწყებულია გამოძიება, ამ შემთხვევაში გამოძიების დაწყება ფაქტობრივად აჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადებს სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტამდე. იმ შემთხვევაში თუ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ან გამოძიება, მაგრამ დამრღვევის ქმედებაში არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არაუგვიანეს ერთი თვისა სისხლისსამართლებრივი დევნის ან გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან.

ამასთან, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში გასაჩივრებისას ადმინისტრაციული სახდელის დადების ვადის დენა შეჩერდება სასამართლოს მიერ ამ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

9. უფლებამოსილი პირის მიერ საქსუალური შევიწროების ფაქტზე გადაწყვეტილების მიღება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით. ამასთან, სახდელის დადებისას მხედველობაში მიიღება ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. სწორედ აღნიშნულ სამართლებრივ აქტებზე დაყრდნობით იღებს უფლებამოსილი პირი გადაწყვეტილებას.

10. სამართალწარმოების პროცედურა

სექსუალური შევიწროების ფაქტზე გადაწყვეტილების მიღების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს საქმეში არსებულ მტკიცებულებებით. სასამართლო აფასებს იყო თუ არა სახეზე საზოგადოებრივი სივრცეში განხორციელებული სექსუალური შევიწროება, იყო თუ არა ის არასასურველი, მსხვერპლისთვის ღირსების შემლახავი და სხვა, „საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სექსუალური შევიწროების საქმეების განხილვისას ასევე გამოყენებული უნდა იქნეს ქალის მიერ გონივრული ალქმის სტანდარტი (reasonable woman standard), რომელიც მხედველობაში იღებს სექსუალური შევიწროების ფაქტის თაობაზე ქალისა და მამაკაცის განსხვავებულ ალქმებს. აღნიშნული სტანდარტი, სექსუალური შევიწროების ფაქტს განიხილავს ქალის პერსპექტივიდან და წარმოადგენს გენდერულად სენსიტიურ მიდგომას. „გონივრული ალქმის სტანდარტი“ გამოორიცხავს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტი უნივერსალურად მიღებული წესით განისაზღვროს და შეფასდეს ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ქმედება.“ (Bonnie B. Westman, 808). მოსამართლე არკვევს სახეზე არის თუ არა სექსუალური შევიწროების ქმედების ყველა შემადგენელი ელემენტი, შემდგომ კი აფასებს საქმეში არსებული მტკიცებულებები, რამდენად ადასტურებენ ფაქტის განხორციელებას.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239-ე მუხლის 60¹-ე ნაწილის თანახმად საზოგადოებრივ ადგილას განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების განმხორციელებელ უწყებად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განისაზღვრა, შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირი მაგ.: საპატრულო პოლიციის პატრულ-ინსპექტორი, მართლწესრიგის ოფიცერი, უზნის ინსპექტორ-გამომძიებელი და სხვა, ვალდებულია რეაგირება მოახდინოს მოქალაქის განცხადებაზე/შეტყობინებაზე, სადაც იგი მიუთითებს, რომ გახდა სექსუალური შევიწროების მსხვერპლი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად სექსუალური შევიწროების სამართალდარღვევები დაექვემდებარა სასამართლოს განსჯადობას. აღნიშნულიდან გამომდინარე საქართვე-

ლოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166¹-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და მოპოვებული მასალები, სამართალდამრღვევის დაჯარიმების მიზნით, უნდა წარადგინოს საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეს განიხილავს 7 დღის ვადაში.

სასამართლო განხილვაზე ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ აღნიშნული პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფის ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი თანამშრომლის მიერ.

სექსუალური შევიწროების ფაქტზე რეაგირების ვადები განისაზღვრება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე მუხლით და სწორედ მათზე დაყრდნობით უნდა იმოქმედოს შესაბამისმა უფლებამოსილმა პირმა.

აღსანიშნავია, რომ სექსუალური შევიწროების თაობაზე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და შესაძლებელია მისი გასაჩივრება ადმინისტრაციული წესით. პირველ ინსტანციის სასამართლოს დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესახებ შეიძლება ერთჯერადად გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში, მხარისათვის მისი ჩაბარებიდან 10 დღის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

11. უფლებამოსილი პირის მიერ მსხვერპლთან მოპყრობის

თავისებურებები

უფლებამოსილი პირის მიერ სექსუალური შევიწროების მსხვერპლთან მოპყრობა განსხვავებულ თავისებურებებს საჭიროებს. ცხადია, რომ აღნიშნული ქმედება მძიმე ზემოქმედებას ახდენს არა მხოლოდ მსხვერპლის ფიზიკურ მდგომარეობაზე, არამედ მის მენტალურ მდგომარეობასაც უქმნის საფრთხეებს, შესაბამისად, მსხვერპლთან მოპყრობის დროს უფლებამოსილმა პირმა განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს და:

- დაიცვას ეთიკის სტანდარტები;
- გაითვალისწინოს მისი ემოციური მდგომარეობა;
- სთხოვოს მომხდარის მოყოლა, თუმცა არ აიძულოს ამბის სწრაფად მოყოლა;
- შეკითხვები უნდა დასვას იმგვარად, რომ გამოსაკითხმა პირმა არ იგრძნოს ზეწოლა ან დანაშაულის გრძნობა მომხდარის გამო;
- არ დაუშვას მსხვერპლთან ზედმეტი პირების კომუნიკაცია;
- დაიცვას კონფიდენციალურობა, დაარწმუნოს გამოსაკითხი პირი, რომ არ გაამჟღავნებს მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას;

- უზრუნველყოს მსხვერპლის და შემავიწროებლის ერთმანეთთან შეხვედრის თავიდან აცილება, რათა თავიდან აირიდოს მისი ხელახალი ვიქტიმიზაცია;
- არ დაადანაშაულოს ის მომხდარის პროვოცირებაში და თავი შეიკავოს ნებისმიერი შეფასებისაგან;
- არ გამოხატოს პირადი აზრი დაზარალებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით;
- აჩვენოს დაზარალებულს მისი პატივისცემა და თანაგრძნობა საუბრის ტონითა და მანერით, მისი დამოკიდებულებით საქმისადმი, რათა დაზარალებულმა რეალურად დაინახოს, რომ უფლებამოსილი პირი, ვინც სწავლობს მის საქმეს მისი მხარდამჭერია;
- გაითვალისწინოს კულტურული ფაქტორები და დაზარალებულის მხრიდან ტაბუირებული თემებისადმი სენსიტიურობა;
- მიზანშეწონილია, გამოკითხვის პროცესი შეწყდეს თუ გამომძიებელი შეამჩნევს, რომ დაზარალებული საუბრისას ძალიან ნერვიულობს. ასეთ დროს უნდა მიეცეს შესვენების საშუალება.

რა თქმა უნდა ეს ფაქტორები არ არის ამონურვადი და შესაძლებელია, რომ ფაქტის შესწავლის პროცესში სხვა გარემოებებმაც იჩინოს თავი, აუცილებელია ამ დროს უფლებამოსილი პირი ზოგადი ეთიკის და სტანდარტების დაცვით მოქმედებდეს.

12. სამსახური შევიწროებასთან დაკავშირებული პრაქტიკა, სტატისტიკური მონაცემები

საზოგადოებრივ ადგილას განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებაზე სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას უნდა ახორციელებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს და საერთო სასამართლოების შესაბამისი სამსახურები, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად: „2019 წლის 10 მაისიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სექსუალური შევიწროების მუხლი ამოქმედდა, 2020 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ საზოგადოებრივ ადგილებში განხორციელებული სექსუალური შევიწროების 43 ფაქტი იქნა გამოვლენილი, რომლებიც განსახილველად სასამართლოს გადაეცა. 2019 წელს, სექსუალური შევიწროების 19, ხოლო 2020 წლის იანვარ-სექტემბრის პერიოდში – 24 ფაქტი იქნა იდენტიფიცირებული. არსებული პრაქტიკის თანახმად სექსუალური შევიწროების ჩადენა ძირითადად ქუჩასა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხდება, რაც უმეტესად, სხვადასხვა ფიზიკური ფორმის სექსუალური ხასიათის ქცევაში გამოიხატება. პრაქტიკის ანალიზი ასევე აჩვენებს, რომ სექსუალური შევიწროების ფაქტების უმრავლესობა დღის საათებში ხორციელდება.“⁸⁴

შინაგან საქმეთა სამინისტრო მნიშვნელოვან ინფორმაციას გვანდის სექსუ-

84 <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-sazogadoebriv-adgilebshi-gankhortsiebuli-seq-sualuri-shevitroebis-shesakheb-angarishis-onlain-prezentatsia-gamarta/14183> (15.09.2024).

ალური შევიწროების მსხვერპლთა და შემავიწროებელთა ასაკთან დაკავშირებითაც, კერძოდ „მსხვერპლთა ასაკი 16-დან 45 წლამდე, ხოლო სამართალდამრღვევთა ასაკი – 17-დან 55 წლამდე მერყეობს. სამართალდარღვევის მსხვერპლები ხდებიან როგორც ქალები, ისე კაცები, თუმცა, უმრავლეს შემთხვევაში, სექსუალური შევიწროება სწორედ ქალებისა და გოგონების მიმართ ხორციელდება.“⁸⁵

რაც შეეხება სექსუალური შევიწროების ფაქტებზე გამოყენებული სანქციის სახეს, ძირითად შემთხვევაში ეს არის ჯარიმა. „ასევე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივ ადგილებში განხორციელებული სექსუალური შევიწროების საქმეებზე გამოვლენილ სამართალდამრღვევთა მიმართ, სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის სახით ძირითად შემთხვევაში ჯარიმა გამოიყენება.“⁸⁶

საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან, 2021 წლის 16 ნოემბერს გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის თანახმად, სექსუალურ შევიწროებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების აღრიცხვა დაიწყო 2020 წლიდან, ამავე წერილის თანახმად 2020 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განხილულ იქნა სულ 26 სამართალდარღვევის ფაქტი, რადროსაც სამართალდარღვევის ყველა ფაქტი სასამართლომ მიიჩნია განხორციელებულად, 24 შემთხვევაში სახდელის სახით გამოიყენა ჯარიმა, ერთ შემთხვევაში გამასწორებელი სამუშაო, ასევე, ერთ შემთხვევაში ადმინისტრაციული პატიმრობა.⁸⁷

აღსანიშნავია, რომ 2020 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ განხილული 26 სამართალდარღვევიდან, 13 შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში, 3 – ბათუმში, 2 – ქუთაისში, 2 – ბორჯომში, თითო-თითო შემთხვევა დაფიქსირდა წყალტუბოში, რუსთავეში, ახალციხეში, ახალქალაქში, ზუგდიდში და კასპში. გარდა თბილისში მომხდარი შემთხვევებისა ყველა სამართალდამრღვევის მიმართ ყველა რეგიონში სახდელის სახით გამოყენებულ იქნა ჯარიმა. ადმინისტრაციული პატიმრობა გამოყენებულ იქნა იმ შემთხვევაში, როდესაც სექსუალური შევიწროება განხორციელდა წვრილმან ხულიგნობასთან ერთობლიობაში.⁸⁸

2021 წლის იანვარი-სექტემბრის იგივე მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად: 24 სამართალდარღვევის ფაქტი, საიდანაც 13 შემთხვევა დაფიქსირდა თბილისში, 5 – ბათუმში, 2 ბორჯომში, თითო-თითო შემთხვევა დაფიქსირდა – ახალქალაქში, კასპში, მცხეთაში და საჩხერეში. ამასთან, ყველა შემთხვევაში სახდელის სახით გამოყენებულ იქნა ჯარიმა.⁸⁹

თბილისის საქალაქო სასამართლოსგან 2021 წლის 10 ნოემბერს მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ

85 <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-sazogadoebriv-adgilebshi-gankhortsiebuli-seq-sualuri-shevitroebis-shesakheb-angarishis-onlain-prezentatsia-gamarta/14183> (15.09.2024).

86 <https://police.ge/ge/shinagan-saqmeta-saministrom-sazogadoebriv-adgilebshi-gankhortsiebuli-seq-sualuri-shevitroebis-shesakheb-angarishis-onlain-prezentatsia-gamarta/14183> (15.09.2024).

87 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის №პ-801-21 წერილი.

88 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის №პ-801-21 წერილი.

89 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის №პ-801-21 წერილი.

განხილულ იქნა 5 სამართალდარღვევის შემთხვევა, რომელთაგან 2 შემთხვევა ამავე წელს იქნა განხილული და 2 პირი ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად და ორივე მათგანის მიმართ სახდელის სახით გამოყენებულ იქნა ჯარიმა.⁹⁰

საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სექსუალური შევიწროების სამართალდარღვევის ამოქმედებიდან, ანუ 2019 წლის 10 მაისიდან, 2021 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში, აღნიშნული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაკისრებული აქვს ჯამში სულ 52 პირს.

დასკვნა

საქართველოს კანონმდებლობა სექსუალურ შევიწროებას საზოგადოების ყველა სივრცეში კრძალავს, თუმცა, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის აუცილებელია ის განხორციელდეს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში. საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი არის სივრცე, სადაც ნებისმიერ პირს აქვს ყოფნის უფლება. აღნიშნული უფლების რეალიზება არ არის დამოკიდებული მის მინიჭებაზე, მისით სარგებლობა ნებისმიერ პირს შეუძლია. სახელმწიფოს ვალდებულებას წარმოადგენს შეუქმნას უფლებით მოსარგებლე პირს ისეთი გარემო, სადაც ის შეძლებს თავისუფლად ისარგებლოს ამ უფლების ფარგლებით.

გენდერული დისკრიმინაციის აღნიშნული ფორმა – სექსუალური შევიწროება, ვნებს არა მხოლოდ მსხვერპლის უფლებებსა და ინტერესებს, არამედ ქმნის გარემოს, რომელიც ნებისმიერი პირისთვის შეიძლება იყოს უფლების შემზღუდავი და დამაზიანებელი. საერთაშორისო სტანდარტებთან თანხვედრაში მყოფი საქართველოს კანონმდებლობაში განსაზღვრული სექსუალური შევიწროების ელემენტები საშუალებას იძლევა, რომ სახელმწიფო ეფექტურად რეაგირებდეს ამ ფაქტებზე. მიუხედავად განხორციელებული ცვლილებებისა და ამ საკანონმდებლო ბაზის არსებობისა, სექსუალური შევიწროების შემთხვევებზე მიმართვიანობის დაბალი მაჩვენებელი აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა ახალი და უფრო ეფექტური ზომების გატარება, ასევე განხორციელებული შემთხვევების და რეაგირებების შესწავლა და ანალიზი.

პირს უფლება აქვს დაცული იყოს სექსუალური შევიწროებისაგან როგორც პირად, ისე საჯარო სივრცეში. სახელმწიფოს პასუხისმგებლობა გაცილებით მაღალია, როდესაც საქმე ეხება საჯარო სივრცეში განხორციელებულ სექსუალურ შევიწროებას, ვინაიდან, საჯარო სივრცე უფრო მეტი დაცულობით ხასიათდება და როდესაც ამ სივრცეში პირს არ გააჩნია სექსუალური შევიწროებისაგან დაცულობის გარანტიები, რა თქმა უნდა აღნიშნული აისახება სახელმწიფოს იმიჯზე, მის როლზე ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებზე.

ადმინისტრაციულსამართლებრივი მექანიზმი, სისხლისსამართლებრივ მექანიზმთან შედარებით უფრო მსუბუქ მექანიზმს წარმოადგენს, რაც თავის მხრივ იწვევს იმას, რომ სამართალდარღვევის შეფასებას არ სჭირდება მტკიცებულებების

90 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 10 ნოემბრის №3-04123/5192553 წერილი.

ბათა ისეთი მაღალი სტანდარტი, როგორც სჭირდება სისხლის სამართლის დანაშაულის დადასტურებას. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამართალწარმოების განმახორციელებელმა პირმა ხელოვნურად უნდა შექმნას ბარიერები და არ შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა.

სექსუალური შევიწროება საკმაოდ კომპლექსური საკითხია, რომელიც არაერთ მნიშვნელოვან გარემოებას აერთიანებს. აუცილებელია სახელმწიფომ დააქამაყოფილოს ყველა კრიტერიუმი ამ მოვლენის წინააღმდეგ ეფექტურად საბრძოლველად. სასურველი შედეგის მისაღებად, მნიშვნელოვანია შემდეგი რეკომენდაციების მხედველობაში მიღება:

- საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება რელევანტური უწყებების და პირების კოორდინირებული მუშაობის მეშვეობით. ამასთან, სექსუალური შევიწროების სამართალდარღვევებზე ცნობიერების ამაღლების გარდა აუცილებელია მუშაობა გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრის მიმართულებით, რაც გარკვეულ შემთხვევებში განხილება, როგორც სექსუალური შევიწროების საფუძველი;
- სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების განმახორციელებელი პირების და უწყებების გადამზადება, მათი ცნობიერებისა, მგრძნობელობის და ინფორმირებულობის გაზრდა მსგავსი კატეგორიის ფაქტებზე რეაგირების განხორციელების საკითხებთან მიმართებით;
- სასამართლომ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, ასევე ის თუ რამდენად სრულყოფილად ჩატარდა სამართალწარმოება, თუ დადგინდება, რომ არ მოხდა სათანადო სამართალწარმოების ჩატარება და ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულებების მოპოვება, რაც შედეგად იწვევს არასაკმარის მტკიცებულებითი სტანდარტის არსებობას, მიიღოს კანონიერი გადაწყვეტილება და დადგენილებაში დაასაბუთოს ის (მათ შორის მიუთითოს სამართალწარმოების ხარვეზებზე და გადანაცვებების მიზეზებზე);
- სახელმწიფო უწყებების მიერ თემატური კვლევის და ანალიზის ჩატარება, რომლითაც გაანალიზდება სექსუალური შევიწროების რეგისტრირებული შემთხვევები, შეისწავლება ადმინისტრაციული წარმოების მასალები და სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილებები. ანალიზის და შეფასების საფუძველზე გამოკვეთილ მიგნებებზე დაყრდნობით კი დაიგეგმება სახელმწიფოს პოლიტიკა დისკრიმინაციის ამ ფორმასთან ეფექტურად საბრძოლველად.

აღნიშნული რეკომენდაციების კოორდინირებულად და გეგმიურად განხორციელების გზით, შესაძლებელი იქნება გენდერული დისკრიმინაციის ამ ფორმის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ნორმატიული აქტები:

საქართველოს კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ;
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.;
საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი.

ქართული ლიტერატურა:

სექსუალური შევიწროება – ქალთა უჩინარი დისკრიმინაცია, კვლევის ანგარიში,
ქ. ახოზაძე, 2015 წელი;
სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული და-
ნაშაულების კომენტარები, ავტორთა კოლექტივი, 2020 წელი.

სახალხო დამცველის მიერ მომზადებული დოკუმენტები:

საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში ადამიანის უფლებათა
და თავისუფლებების მდგომარეობის შესახებ;
„სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან
აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ“, საქართველოს სახ-
ალხო დამცველი, 2016;
საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის რეკომენდაცია შევიწროებით
და სექსუალური შევიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის
დადგენის შესახებ;
საქართველოს სახალხო დამცველი, 2018 წლის სპეციალური ანგარიში „დისკრიმ-
ინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის
მდგომარეობის შესახებ“;
საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის რეკომენდაცია სექსუალური შე-
ვიწროებით გამოხატული სქესის ნიშნით დისკრიმინაციის დადგენის თაობაზე;
საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის რეკომენდაცია სექსუალური შე-
ვიწროების დადგენის შესახებ;
პრაქტიკული სახელმძღვანელო სექსუალური შევიწროების შესახებ, საქართვე-
ლოს სახალხო დამცველი, 2020 წელი.

საქართველოს საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებები:

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის N2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“;
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 04 თებერვლის №4/338-21 დადგენილება;
თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 ივლისის №4/4547-20 დადგენილება.

უცხოური ლიტერატურა:

Di Leonardo, Political Economy of street Harassment, 1981;
UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 12: Violence against women, 1989
UN Committee on the Elimination of Discrimination against Women (CEDAW), General Recommendation No. 19: Violence against women, 1992;
eborah A. Campbell, „The Evolution of Sexual Harassment Case Law in Canada“, 1992,
Grant Bowman, Street harassment and the informal Ghettoization of Women. 1993;
Tuerkheimer, D. (1997). Street harassment as sexual subordination: the phenomenology of gender-specific harm. Wisconsin Women’s Law Journal Vol. 12;
Bonnie B. Westman, The reasonable women standard, William Mitchell law review;
Ontario Human Rights Commission, Policy on preventing sexual and gender-based harassment, 7. Burden of Proof, Evidentiary Issues;
UN, What is Sexual Harassment?;
Ann C. McGinley, Reasonable Men?, Connecticut Law Review, Vol. 45, 2012;
Harassment related to Sex and Sexual Harassment law in 33 European Countries, European Commission, 2013;
European Union Agency for Fundamental Rights, Violence against women: an EU-wide survey, 2014. – European Union Agency for Fundamental Rights;
Jenkins, ‘Everyone’s Business: Fourth National Survey on Sexual Harassment in Australian Workplaces’;
Handbook of European Non-Discrimination Law, 2018 ed;
ILO, UN Women, Addressing Violence and Harassment against Women in the World of Work, 2019.

კვლევები და ანგარიშები:

General Recommendation No. 19 (II-th session, 1992);

Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, 2011;

European Union Civil Service Tribunal (CST), F-42/10, Carina Skareby v. European Commission, 16 May 2012;

The U.S. Equal Employment Opportunity Commission, “Policy guidance on current issues of sexual harassment”, Guidance – B;

European Union Agency for Fundamental Rights, Violence against women: an EU-wide survey, 2014. – European Union Agency for Fundamental Rights;

Chamie, J. 2018. “Sexual Harassment: At Least 2 Billion Women” in Inter Press Service News Agency [31 October 2018].

Violence Against Women: an EU-wide Survey, 2015.

Directive 2006/54/ec of the european parliament and of the council of 5 July 2006.

UN Women/ევროკავშირი – 2017 წლის ეროვნული კვლევა, საქსტატი/გაეროს ქალთა ორგანიზაცია

UN WOMEN – ქალთა მიმართ ძალადობის კვლევა საქართველოში 2022.

სხვა ანგარიშები და საჯარო ინფორმაცია:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მომზადებული კვლევა ადევნებასთან დაკავშირებით, 2019 წელი;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 16 ნოემბრის №3-801-21 წერილი;

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2021 წლის 10 ნოემბრის №3-04123/5192553 წერილი;

სექსუალური შევიწროება სამუშაო ადგილზე საქართველოს საჯარო სამსახურში, UN WOMEN საქართველო, 2021 წელი.

უცხო ქვეყნის პრაქტიკა:

Potapczyk v. MacBain, 1984 CanLII 11 (CHRT);

The U.S. Supreme Court, Meritor Savings Bank v. Vinson, 477 U.S. 57 (1986);

Supreme court of the United States, Josef Oncale, Petitiones v. Sundownet offshore service. N96-568, 1998;

Mahmoodi v. University of British Columbia and Dutton, 1999 BCHRT 56 (CanLII);

Willis v. Blencoe, 2001 BCHRT 12 (CanLII), §58;

Gibbons v. Sports Medicine Inc., 2003 HRTO 26 (CanLII), §6;

Harrison v. Nixon Safety Consulting and others (No. 3), 2008 BCHRT 462 (CanLII);

ECtHR, Y v. Slovenia, no. 41107/10, 28/05/2015.

ინტერნეტ წყაროები:

<https://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2021/workplace%20sexual%20harassment%20in%20the%20civil%20service%20in%20georgia%20geo.pdf?la=ka&vs;>

[https://amherstma.gov/DocumentCenter/View/34714/2016-ATM-Results---UNOFFICIAL?bidId=;](https://amherstma.gov/DocumentCenter/View/34714/2016-ATM-Results---UNOFFICIAL?bidId=)

[https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatishh.pdf;](https://www.un.org/womenwatch/osagi/pdf/whatishh.pdf)

[http://ombudsman.ge/res/docs/2020030416283364211.pdf.](http://ombudsman.ge/res/docs/2020030416283364211.pdf)

<https://police.ge/ge/politsiam-vanshi-seqsualuri-shevitsroebis-faqtze-erti-piri-gamoavlina/13754>